



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლიბეხანი

№ 103 მარტი 2016

ტყიბული: დაბრუნება მიწის ქვეშ **33. 26**

როგორი პრემიერია გიორგი კვიციანი? **33. 36**

მიწის პოლიტიკა **33. 46**

რაში იხარჯება სკოლის ბიუჯეტი? **33. 50**

ფოტოპროექტი: ღამის ცა ასტროფოტოგრაფის თვალით **33. 62**

მწერლები - მათი ქალები და კაცები **33. 76**

ISSN 1987-7528



9 774987 752008

ფასი 5 ლარი

1737
2016

აღმოჩენა

გრაფიტაციული ტალღები

ახალი სიღი უსილავი სამყაროსკენ

33. 54



ლიბერალი
№ 16 მარტი 2016

- მანანის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი
- მედიის რედაქტორი
ლიკა ჯაპახიძე
- ახალი მხარის რედაქტორი
დათო გამისონია
- ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
- მხარის მკვლევარი
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ჯაპახიძე, ქეთევან ლევინაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია, სალომე გორგოძე
- მხარის მკვლევარი
ლევან ახალაია, დავით ბუხრიციძე, გრიგოლ გეგელია, გიორგი მკვიციანი, გიორგი ახვლედიანი, როკოლოზ ჯანჯღავა, დავით ფორცხალავა, დავით დვალა, ლევან ბერძენიშვილი
- მხარის მკვლევარი
თორნიკე ლორთქიფანიძე
- რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი
ნათია ორმოცაძე
- მხარის მკვლევარი
ქეთევან ქავთარაძე
- სურათების მკვლევარი
მლენ ხარაზაშვილი
- დამხმარებელი მკვლევარი
მზია კუბლაშვილი
- მხარის მკვლევარი
გივი ნაზარაშვილი
- ურნალის გამომცემის მსურველები
დავით კავშირდია: 247 02 46

ამონაბეჭდი:
მს. „ლიბერალი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის
მ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საბეჭდო უფლებები დაცულია.
ურნალში გამოქვეყნებული
საბეჭდო ნაწილობრივ და/ან
მთლიანად გამოყენება რედაქციის
ინტენციის გარეშე აკრძალულია.

სადა:
მს. „სტუდია“
მისამართი: თბილისი, წერეთლის
მ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

ამონაბეჭდი ერთხელ, ყოველ
მ. რიცხვში. პირველი ნომერი
გამოცემულია 2009 წლის მაისში.
გამომცემელი საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

თამაშობანა

ქართულ საზოგადოებრივ-პო-
ლიტიკურ ცხოვრებას თუ ჩაუღრ-
მავდებით, შეუძლებელია, ერთი
განცდა არ დაგეუფლოთ: მთელი
რიგი პროცესები, რაც, ნესით,
სერიოზულ ელფერს უნდა ატარე-
ბდეს, მაგალითად, პარლამენტის
მიერ კანონპროექტების განხილვა,
მთავრობის გადწყვეტილებები,
დეპუტატთა გამოსვლები... თამა-
შის განცდას ტოვებს. ამ სიტყვის
პირდაპირი გაგებით. ვთამაშობთ
პრეზიდენტობანას, დეპუტატო-
ბანას, მინისტრობანას, არტისტობანას,
მწერლობანას, და სხვა და სხვა.



სერიოზულობას მოკლებულობა –
თუ შეიძლება ამგვარი ნეოლოგიზმის
გამოყენება, ერთნაირად ახასიათებს,
პოლიტიკოსს და არაპოლიტიკოსს, ხე-
ლისუფალს და ოპოზიციას, ხელოვანსა
და არახელოვანს.

ამ განცდას, ერთი მხრივ, შესაძლოა
ტოვებს ცოდნა იმისა, გადწყვეტილე-
ბების მიმღები სტრუქტურების წარმო-
მადგენლები, იგივე ზემოთ ნახსენები
პატივცემულნი ბატონები და ქალბატო-
ნები რეალურად წარმოადგენენ სათა-
მამოებს, რომელთა დაფაზე გადაად-
გილება სულაც არ გახლავთ მათივე
ნება-სურვილს დაქვემდებარებული
ქმედება. მეორე მხრივ კი, რაც ჩემთვის
პირადად მდგომარეობის უფრო ზუსტ
აღბეჭდვას წარმოადგენს, თამაშის
განცდა რჩება ქმედებათა შედეგების
შინაარსისგან დაცლიდან, მათი ადამი-
ანებისგან განცალკევებიდან, ვირტუა-
ლური რეალობის მსგავსი აღქმისგან.
განვმარტავ:

როგორ შეიძლება მარისხუანის დეკრი-
მინალიზაციის შესახებ კანონპროექტის
კენჭისყრას დაერქვას საკანონმდებლო


პროცესი? ეს იყო კენჭისყრობანა,
სადაც არავის გაუთვალისწინებია მისი
უკვე დამდგარი ან სამომავლო შედეგე-
ბი. არავის დაუნახავს გაუბედურებული
ოჯახები, არავის უგრძვნია აბსურდის
სიმძაფრე. მათ უბრალოდ კოტიტა თი-
თები დააჭირეს ღილაკებს, ითამაშეს.

ან, როგორ შეიძლება მმართველი
ძალის შიგნით მიმდინარე მოვლენებს
დაერქვას პოლიტიკური პროცესი? ეს
გახლავთ პოლიტიკოსობანა. და ოპერის
გახსნა? ლევან ვასაძის 120 შენიშე-
ნა განათლების სამინისტროს? გოგი
თოფაძე? შსს გასპარ ნოეს ფილმების
კვალდაკვალ?

თუმცა, „ლიბერალის“ წინამდებარე
ნომერში თქვენ ნახავთ ადამიანებს,
რომლებიც არ თამაშობენ. ადამიანე-
ბს, რომლებიც კაცობრიობის უკეთესი
მომავლისთვის იღწვიან, როგორც,
მაგალითად ligo-ს მეცნიერები, ან
ბავშვები ფიზიკის ლაბორატორიიდან.
ნახავთ ადამიანებს, რომლებიც გა-
დარჩენისთვის იბრძვიან და შიმშილის,
ავადმყოფობების, უკიდურესი გაჭირვე-
ბის ფონზე ეწვიან ცხოვრების ჭაპანს,
როგორც ტყიბულელი თუ ქსნელი
მუშები. თამაშისთვის მათ ნამდვილად
არ სცალიათ.

ზურაბ ვარდიაშვილი, ურნალის რედაქტორი


- 04 ავტორები
მიმოხილვა
- 06 იმრალის ტუსალი და სხვა
ქურთები
ავტორი: ლევან ახალაია
თვალსაზრისი
- 10 „ბედნიერი არაბეთი“ დღეს
ავტორი: ნიკოლოზ ჯანჯღავა
- 16 სეკულარიზმი და ქრისტიანობა
ავტორი: გრიგოლ გეგელია
ინტერვიუ
- 22 25 ლარი და 60 თეთრი
ავტორი: სოფო აფციაური
რეპორტაჟი
- 26 დაბრუნება მიწის ქვეშ
ავტორი: სოფო აფციაური
პოლიტიკა
- 36 როგორი პრემიერია გიორგი
კვირიკაშვილი?
ავტორი: დათო გამისონია
სამართალი
- 42 არბიტრაჟი – დავა სასამართლოს
გარეშე
ქეთევან ლვედაშვილი
საზოგადოება
- 46 მიწის პოლიტიკა
ავტორი: თათია ხალიანი
განათლება
- 50 რაში იხარჯება სკოლის ბიუჯეტი
ავტორი: სალომე გორგოძე
სამყარო
- 54 ახალი ხიდი უხილავი სამყაროსკენ
ავტორი: დავით ფირცხალავა
- 58 სინათლის მომთენიერებლები
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი
ფოტოპროექტი
- 62 ღამის ცა ასტროფოტოგრაფის
თვალით
ავტორი: დავით დვალი
ბიბლიოთეკა
- 74 ჩვენ, პოეტები საქართველოსი
ავტორი: გიორგი კეკელიძე
- 76 მწერლები – მათი ქალები და
კაცები
ავტორი: ლევან ბერძენიშვილი
კულტურა
- 80 არც სწრაფად, არც მაღლა, არც
ძლიერად...
ავტორი: დავით ბუხრიკიძე
სპორტი
- 83 რალაცა
ავტორი: გიო ახვლედიანი



ბანათიება

რაში იხარჯება სკოლის ბიუჯეტი


თბილისის №84 საჯარო სკოლაში შედარებით მცირე კონტინგენცია, სულ – 535 მოსწავლე. 2015 წელს სკოლის ვაუჩერულმა დაფინანსებამ 317 901 ლარი შეადგინა. სერტიფიცირებული მასწავლებლების დაფინანსებამ – 17 584 ლარი. სკოლამ დამატებითი შემოსავალი იჯარიდან და საგანმანათლებლო სერვისებიდან – წრებიდან მიიღო, სულ 9178 ლარი. ხელფასებისთვის 295 235 ლარი გაიხარჯა. ოფისის ხარჯმა კი 43 778 ლარი შეადგინა. წლის ბოლოს ბიუჯეტიდან ნაშთის სახით 5 483 ლარი დარჩა.

 სალომე გორგოძე
83.50

სამყარო

სინათლის მომთვინიერებლები


მზის სხივების მარგი ქმედების კოეფიციენტი ზედაპირზე დაცემული სხივების ინტენსივობასა და ტემპერატურაში გამოხატება, ზოლო ინტენსივობის ზღვრული სიდიდის შემდეგ გამოყოფილი ენერჯის რაოდენობის დამოკიდებულება ინტენსივობაზე ხდება არანრფივი. მარტივად რომ ვთქვათ, გამოყოფილი ენერჯია იზრდება არა მხოლოდ მოკლებული ენერჯის ტოლად, არამედ, გაცილებით მკვეთრად. ანუ, პანელის „ჩაბნელებული“ ნაწილი გვაძლევს ნაკლებ ელექტროენერჯის, მაგრამ „გაკაშკაშებული“ მხოლოდ იმდენად მეტს კი არ გამოიმუშავებს, რომ ზრდა ჯამში ნული მივიღოთ, არამედ, გაცილებით მეტს, ასე იზრდება მარგი ქმედების კოეფიციენტი.

 ზურაბ ვარდაიშვილი
83.58

ინტახივი

25 ლარი და 60 თეთრი


ყველა შენი ქმედება საკუთარ სიცოცხლეზე გადის, ერთი შეცდომა და უფსკრულში ხარ; დიდი ყურადღებაა საჭირო; ელემენტარული ნორმების ცოდნა, მაგალითად, არ შეიძლება სიგარეტის მოწევა. მაგრამ ადრე დაფასებაც სხვანაირი იყო. არ იფიქროთ, რომ კომუნისტურ პერიოდს მივტირი, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ ჩემი პროფესია გაცილებით მეტად იყო დაფასებული. ამას ჰაერზე არ ვამბობ, მაგალითად, იყო პერიოდი, თუ შახტში მათ საჭმელს არ წავიღებდი, შიგნით არ მიშვებდნენ – კარგად უნდა იკვებო, რომ კარგად იმუშაო.

 სოფო აფციაური
83.22

სამოხბი

რალაცა


ასე შეიძლება ჩაითვალოს, რომ საზღვარგარეთის ამბავში მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივარი ვარ. კაი ძველიც. რაც სპორტის უურნალ-გაზეთებში მიმუშავია, იქ ყველამ იცოდა და ახლაც ეხსომება ვინმეს.

 გიო ახვლედიანი
83.83

აიხაიოთაა

ჩვენ, პოეტები საქართველოსი ანუ არის თუ არა ყველა ქართველი პოეტი ორჯერ პოეტი

დღეს რომ საქართველოში პოეზიაა პოპულარული, ასეთი საშინელი ამბავი იშვიათად ყოფილა. თუმცა გამოვტყდეთ – ლექსმოყვარეობა დიდწილად ყოველთვის ზერელე გახლდათ. ახლა ინტერნეტიდეთა ერაში უფრო აიშვა თავი.


 გიორგი კეკელიძე
83.74




სამყარო

ახალი ხიდი უხილავი სამყაროსკენ

გრავიტაციული ტალღების არსებობა აინშტაინის მიერ 1916 წელს აღმოჩენილი ზოგადი ფარდობითობის თეორიის წინასწარმეტყველებაა. აღნიშნული თეორიის მიხედვით, სივრცე-დრო წარმოადგენს „სცენას“ მატერიისთვის, რომელზეც ნებისმიერ ობიექტს – მათ შორის ჩვენ – გვაქვს საკუთარი ადგილი (შეგვიძლია, ვიმოძრაოთ ნებისმიერი სივრცითი მიმართულებით და მხოლოდ „წინ“ დროში). ამავდროულად, სივრცე-დროითი სცენა არ არის „უძრავი“. აინშტაინის თეორიის თანახმად, ნებისმიერ ობიექტ A-ს, რომელსაც ამა თუ იმ სახის ენერჯია აქვს, თავის გარშემო სივრცე-დროის გამრუდება შეუძლია. სხვა, ახლოს მყოფი ობიექტი B გამრუდებულ სივრცე-დროში იცვლის მოძრაობის მიმართულებას და ამ ცვლილებას აღიქვამს, როგორც მიზიდულობას A-სკენ.

 დათო ფირცხალავა
83.20



გიორგი გეგელია სეკულარიზმი და ქრისტიანობა

ყველას გვსმენია მოსაზრება, რომ სეკულარიზმი ქრისტიანობის მტერია, ხოლო სეკულარისტები ადამიანები, რომელიც შეთქმულან და განიზრახავენ მართლმადიდებელი ეკლესიის დასუსტებასა და დამხობას. სინამდვილეში, ქრისტიანობა არსებითად სეკულარული რელიგიაა, ხოლო სეკულარიზმი, როგორც მონაწილის პრინციპი, დღეს უპირველეს ყოვლისა სწორედ ქრისტიანობის ინტერესებშია.



ლევან ბერძენიშვილი მწერლები – მათი ქალები და კაცები

ანაბელ ლისადმი მიძღვნილი ლექსი, დიდი ხანია, აწუხებთ ლიტმცოდნეებს, ვინაიდან, ანაბელ ლი, როგორც ასეთი, პოს ცხოვრებაში არ ყოფილა. ამიტომაცაა, რომ სპეციალისტები პოს შემოქმედებაში მის პროტოტიპებს ეძებენ. ყველაზე დიდი შანსი, იყოს ანაბელ ლი, პოეტის მეუღლეს, ვირჯინია კლემს აქვს.



ნიკა ჯანჯღა „ბედნიერი არაბეთი“

როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, რომელსაც ოდესღაც Arabia Felix ანუ „ბედნიერი არაბეთი“ ერქვა, ახლა სისხლიანი დაპირისპირების ტერიტორიად გადაიქცა?



საარბიტრაჟო დავა იმ შემთხვევაშიც მოსახერხებელია, თუკი საკუთარ ან კომპანიის იმიჯზე ზრუნავთ და არ გასურთ, სხვა პირსა თუ კომპანიასთან თქვენი უთანხმოების შესახებ ვინმემ შეიტყოს.



ქეთი ლვედაშვილი დავა სასამართლოს გარეშე

შესაძლოა, ბევრმა თქვენგანმა არ იცის, რომ კერძო დავის გადასაწყვეტად ყოველთვის სასამართლოში წასვლა საჭირო არ არის. უკვე მეექვსე წელია, საქართველოში კერძო არბიტრაჟი მოქმედებს. დავების გადანყვების ამ ალტერნატივას სასამართლოსთან შედარებით რამდენიმე დადებითი მხარე აქვს,



ბლოგი

ზურა ჯიშკარიანი სილარიზის მაუგლებს

იქნებ ახლაც ვწევარ იმ ჯართით დატვირთულ ვაგონში, რომელიც ზღვიდან დაიძრა და მიდიოდა არსაით, გაურკვეველი მიმართულებით და ერთადერთი, რაც მრჩება, არის ის, რომ დავტკბე ცით?



ქართული
ბანკთა ეროვნული
სისტემა



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

Georgia

Part of the
ProCredit Group

ჩემი საბანკო სივრცე

საიზი
DROP BOX



ბანკომატი
ATM

უნივერსალური ბანკომატი
UNIVERSAL ATM



გადარიცხვაები
PAYMENTS



ATM



საინფორმაციო ტერმინალი
INFO TERMINAL



სწრაფი გადახდაები
PAY BOX



facebook.com/procreditbankgeorgia



*22 22



220 22 22



procreditbank.ge

იმრალის ტუსალი და სხვა ქურთები

ლევან ახალაია



5-წლიანი დაპირისპირების შემდეგ, 28 თებერვალს სირიაში სამოქალაქო კონფლიქტის მონაწილე მხარეები საბრძოლო მოქმედებების დროებით შეწყვეტას დასთანხმდნენ. დროებითი ზავის დაცვის პირობა სირიის პრეზიდენტმა, ოპოზიციამ და სირიელი ქურთების შეიარაღებულმა რაზმებმაც დადეს. ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციები ჰუმანიტარული მისიის დაგეგმვაზე მუშაობენ, ხოლო დიპლომატების მთავარი ამოცანა სირიის პრეზიდენტისა და ძირითადი ოპოზიციური ჯგუფების მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებაა. სამხედრო მადალჩინოსნების მთავარ თავსატეხად კი „ისლამური სახელმწიფოსა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების იზოლირება და დამარცხება რჩება.

თურქეთი და არაბული სახელმწიფოების ნაწილი ექსტრემისტების წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციას კვლავ არ გამოირიცხავენ. ანკარის ასეთი პოზიცია კი, სავარაუდოდ, უკვე არა იმდენად „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების დამარცხების სურვილს, არამედ თურქეთის საზღვრის სიახლოვეს სირიელი ქურთების „სახალხო თავდაცვის რაზმების“ გააქტიურებას უკავშირდება. ქურთი მებრძოლების მცდელობას, სირიის ჩრდილოეთში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი აზაზი დაეკავებინათ, უკვე მოჰყვა თურქეთის მთავრობის მკაცრი რეაქცია. თებერვლის ბოლოს თურქმა სამხედროებმა სირიელი ქურთების პოზიციებს ცეცხლი რამდენჯერმე გაუხსნეს. ეს ინციდენტი კი სირიაში დაპირისპირების კიდევ ერთი ახალი ფრონტის გახსნის საფრთხეს ქმნის.



„იზოლირებული თურქეთი“

სირიელი ქურთების „სახალხო თავდაცვის რაზმებს“ თურქეთში „ქურთ მუშათა პარტიის“ მოკავშირე ტერორისტულ დაჯგუფებად მიიჩნევენ. მართალია, თავად სირიელები ამას უარყოფენ და აცხადებენ, რომ მათი მიზანი სირიაში ქურთული ავტონომიის ფორმირებაა, მაგრამ რეჟებ ტაიპ ერდოღანის განცხადებებიდან ჩანს, რომ თურქეთისთვის ეს იდეაც კატეგორიულად მიუღებელია და ამ პოზიციის დასაცავად ვაშინგტონთან დავასაც არ მოერიდება. განსხვავებული პოზიცია აქვთ აშშ-სა და ევროკავშირში, სადაც ქურთ სირიელებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან პარტნიორებად მიიჩნევენ.

სირიაში ქურთები მოსახლეობის 7-10 პროცენტს წარმოადგენენ. ისინი, ძირითადად, დამასკოსა და ალექოში, ასევე ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე აფრინსა და ჩრდილო-აღმოსავლეთით განლაგებულ ქამილიში ცხოვრობენ. სირიის ხელისუფლება მათ წლების განმავლობაში ავიწროებდა. 1960-იანი წლებიდან 300 ათას ქურთს მოქალაქეობა ჩამოართვეს, მათი კუთვნილი მიწები კი არაბებს დაურჩევს.

2011 წელს სირიაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე სირიელი ქურთი მეზობლები სარგებლობენ როგორც რუსეთის, ისე აშშ-ის მხარდაჭერით. ამასთან მათ მოახერხეს, თავიდან აეცილებინათ ღია კონფლიქტი სირიის პრეზიდენტის არმიასთან. „სახალხო თავდაცვის რაზმებმა“ თურქეთის საზღვრის სიახლოვეს მდებარე რამდენიმე რაიონის „ისლამური სახელმწიფოსგან“ გათავისუფლებაც შეძლეს და ამჟამად მათ ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობენ, რაშიც რუსეთის ავიაციაც ეხმარება.

თურქეთის ხელისუფლებას კი აშკარად არ სურს, სირიასთან საზღვარზე ყველა საკონტროლო გამშვებ პუნქტს ქურთები აკონტროლებდნენ. ამასთან ქურთმა მეზობლებმა სწორედ ის ტერიტორია დაიკავეს, სადაც ანკარა ე.წ. ბუფერული ზონის მოწყობას მოითხოვდა.

პრემიერ-მინისტრ აჰმედ დავუთოღლუს განცხადებით, მთავრობა არ დაუშვებს სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს „ტერორისტული სტრუქტურების“ ფორმირებას და ნებისმიერ ასეთ საფრთხეს ადეკვატურ პასუხს გასცემს.

თურქეთში, სადაც ქურთ სეპარატისტებს წლების განმავლობაში ებრძვიან, შიშობენ, რომ სირიაში ქურთული ავტონომიის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნით გამოვლენ თურქეთში მცხოვრები ქურთებიც.

„კუნძულ იმრალის ტუსალი“

მარმარილოს ზღვაში, რომელიც თურქეთის ევროპულ ნაწილს აზიურისგან ყოფს, მდებარეობს პატარა კუნძული იმრალი. სიმბოლურია, რომ სწორედ აქაა აგებული ციხე, რომელშიც 1999 წლიდან სასჯელს იხდის თურქეთში ყველზე ცნობილი პატიმარი, „ქურთ მუშათა პარტიის“ ლიდერი აბდულა ოჯალანი. ქურთისტანის დამოუკიდებლობის და შემდეგ ავტონომიისთვის მეზობლი ოჯალანი 2009 წლამდე საკანში მართო იმყოფებოდა მიუხედავად ამისა, ის დღემდე რჩება თურქეთში ქურთების მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ლიდერად. „ქურთ მუშათა პარტიის“ ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ 1984 წლიდან დაიწყო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავად ოჯალანი ამ დროს სირიას აფარებდა თავს და იქიდან ხელმძღვანელობდა თანამებრძოლებს. 1998 წელს, ანკარის ზენოლის შემდეგ,



სირიის მოქმედი ლიდერის, ბაშარ ასადის მამა, ჰაფეზ ასადი იძულებული გახდა, ოჯალანი ქვეყნიდან გაეძევებინა.

1999 წელს კი თურქულმა სპეცსამსახურებმა ის კენიაში დააკავეს. სპეცოპერაციის დროს თავად ოჯალანს უთხრეს, რომ ის ნიდერლანდებში პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად მიემგზავრებოდა.

ოჯალანის დაპატიმრების შემდეგ, „ქურთ მუშათა პარტიის“ ლიდერმა ახალ მიზნად დემოკრატიული კონფედერაციის ჩამოყალიბება დაასახელა, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შექმნილი ქურთული ავტონომიები უნდა გაერთიანდეს.

ქურთი მებრძოლებისა და თურქეთის ხელისუფლების დაპირისპირებას წლების განმავლობაში 40 ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

რეჟიმ ტაიპ ერდოღანის მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქურთებთან სამშვიდობო დიალოგი დაიწყო. მათ უფრო მეტი უფლებები მისცეს.

2013 წელს ოჯალანთან საიდუმლო მოლაპარაკებების შედეგად თურქეთის მთავრობამ „ქურთ მუშათა პარტიასთან“ ზავი გააფორმა, თუმცა დაპირისპირება მხოლოდ 2 წლით შეწყდა.

სირიაში სამოქალაქო კონფლიქტის გამწვავებასთან ერთად თურქეთში თავდასხმები გახშირდა, რაშიც ხელისუფლებამ ქურთი მებრძოლები დაადანაშულა და მათ წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები განახლდა.

2015 წლის დეკემბრიდან დღემდე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც, ძირითადად, ქურთები ცხოვრობენ, უშიშროების ძალებმა არაერთი სპეცოპერაცია მოაწყვეს. ჯიზრეში, დიარბაქირსა და სხვა ქალაქებში კომენდანტის საათი ზოგჯერ რამდენიმე კვირაც კი მოქმედებდა. თურქული ავიაცია დღემდე პერიოდულად ბომბავს ერაყის ტერი-



ტორიას, სადაც მთიან რეგიონებში „ქურთ მუშათა პარტიის“ წევრებს საწვრთნელი ბანაკები აქვთ მოწყობილი. შექმნილ ვითარებაში ოჯალანისა და მისი თანამებრძოლების იდეების ხორცშესხმის პერსპექტივა ბუნდოვნად გამოიყურება. ჩაშლილი ზავისა და თურქ სამართალდამცველებზე გახშირებული თავდასხმების პირობებში „ქურთ მუშათა პარტიის“ ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან ამოღება არარეალურია, თუმცა სირიელი ქურთების წარმატებამ შესაძლოა, მათ წინააღმდეგობის მოძრაობას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს.

„ერაყელი ქურთების გაბალითი“

ე.წ. ისლამური სახელმწიფოს იერიშების გამო შექმნილი ქაოსით ყველაზე „მოხერხებულად“ ისარგებლეს ერაყელმა ქურთებმა. მათ ჯერ კიდევ 2014 წლის ივნისში დაიკავეს ქალაქი კირკუკი, რომლის სტატუსიც წლების განმავლობაში სადავო იყო. თავად ქურთები კირკუკს დედაქალაქად მიიჩნევენ. მართალია, მოგვიანებით ექსტრემისტებმა ქურთების მიერ კონტროლირებადი ქალაქების დაპყრობა შეძლეს, მაგრამ ერაყელი ქურთების შეიარაღებული ძალები, იგივე პემმერგა, რომელშიც 80 ათასამდე სამხედრო მსახურობს, დღემდე რჩება დასავლეთის სახელმწიფოების ყველაზე ძლიერ პარტნიორად „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ერაყის ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონში იმყოფებიან აშშ-ის სპეციალური დანიშნულების რაზმებიც, რომლებიც ერაყელ და ქურთ სამხედროებს ექსტრემისტების წინააღმდეგ ოპერაციების დაგეგმვა-მოწყობაში ეხმარებიან.

ერაყის ქურთისტანი ფართო ავტონომიით სარგებლობს. 2005 წელს მიღებულ კონსტიტუციაში ისიც კი ჩანერეს, რომ რეგიონს აქვს უფლება, გავიდეს ქვეყნის შემადგენლობიდან, თუ ერაყის ხელისუფლება ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებს. ავტონომიას ჰყავს პრეზიდენტი და პარლამენტი. აქ მოქმედებს ორი ოფიციალური ენა – ქურთული და არაბული. ნავთობით მდიდარი ქურთისტანი ერაყში ლამის ერთადერთ სტაბილური ზონად მიიჩნევა. ამასთან ის ქურთების თვითგამორკვევისთვის ბრძოლის სიმბოლოა.

2016 წლის თებერვლის დასაწყისში ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტმა, მასუდ ბარზანიმ დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ რეფერენდუმის გამართვაც არ გამოიცხა. დასავლეთში ეს



იდეა უარყვეს. მოგვიანებით მიუნჰენის უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე ჩასულ ბარზანის გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ესაუბრა და აღნიშნული იდეის გამო შეშფოთება გამოთქვა.

საინტერესოა ისიც, რომ თურქეთი მჭიდროდ თანამშრომლობს ერაყის ქურთისტანის ხელისუფლებასთან. ამის ძირითადი მიზეზი ნავთობია. კირკუკის მილსადენით თურქეთი დღეში 120 ათას ბარელ „შავ ოქროს“ იღებს. სავაჭრო ურთიერთობები ორივე მხარისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. თურქული კომპანიები ერაყის ქურთისტანში ინვესტიციების დაბანდებას არ ერიდებიან. ამის ერთ-ერთი მაგალითია ერბილში აეროპორტის მშენებლობაც.

თუმცა ანკარას ჰყავს ოპონენტებიც. მათ შორის არიან ერაყის ყოფილი პრეზიდენტის, ნარმოშობით ქურთი, ჯალალ თალაბანის „ქურთისტანის პატრიოტთა გაერთიანება“ და მასთან დაკავშირებული ოპოზიციური მოძრაობა „გორანი“, რაც ქურთულ ენაზე ცვლილებას ნიშნავს.

სწორედ ამიტომ, თურქი სამხედროების იერიშები სირიელი ქურთების „სახალხო თავდაცვის რაზმების“ წინააღმდეგ, ერაყის ქურთისტანში რეაგირების გარეშე არ დაუტოვებიათ.

„სირია – კონფლიქტის შიგნით“

სირიელი, ერაყელი და თურქი ქურთების სამხედრო თუ პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურება თურქეთის ხელისუფლების უკიდურეს შეშფოთებას იწვევს. ამას ემატება რუსეთ-თურქეთის გაუარესებული ურთიერთობები და დიპლომატიური დავა აშშ-თან. ანკარა მოსკოვს სირიელი

ქურთების დახმარებაში ადანაშაულებს, რაც ერდოღანის მთავრობის აზრით, თურქეთის საზღვრის სიახლოვეს კიდევ ერთი ქურთული ავტონომიის შექმნას ისახავს მიზანად. ეს კი ქვეყნის ისედაც არასტაბილურ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაძაბულობის ახალ კერას წარმოშობს. ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა თებერვლის შუა რიცხვებში მოსკოვში სირიელი ქურთების წარმომადგენლობის გახსნამ.

ანკარას პრეტენზიები აქვს ვაშინგტონთანაც. ერდოღანის გალიზიანება ამერიკელი დიპლომატისა და სირიელი ქურთი მებრძოლების შეხვედრამ გამოიწვია. თურქეთის პრეზიდენტმა ლიად მოუწოდა აშშ-ს თურქეთსა და სირიელი ქურთების პარტია „დემოკრატიულ კავშირს“ შორის არჩევანისკენ. ანკარა ასევე მკაცრად ეწინააღმდეგება სირიის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით დაგეგმილ კონსულტაციებში ქურთების მონაწილეობას.

კვლავ ლიად რჩება სირიის მომავალი ტერიტორიული მოწყობის საკითხიც. ამ მხრივ საგულისხმოა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი რიბაკოვის განცხადება, რომ სირია შესაძლოა, ფედერაცია გახდეს. ამაზე საუბრობენ სირიელი ქურთებიც, რუსულ მედიაში კი სირიის სამ ნაწილად დაყოფის შესაძლებლობაზე წერენ და მაგალითად ბოსნია მოჰყავთ, რომელიც 1990-იანი წლების სამოქალაქო ომის შემდეგ ფედერაციულ საპარლამენტო რესპუბლიკად გამოაცხადეს. როგორც ცნობილია, ამ ინციატივას სირიის ოპოზიცია მხარს არ უჭერს, თუმცა, თუ შეთანხმება მაინც შედგა, ის ყველაზე მეტად სირიელ ქურთებს აძლევს ხელს. ამ შემთხვევაში სირიის შემადგენლობაში კიდევ ერთი ავტონომია გაჩნდება, ხოლო ქურთები კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებიან აბდულა ოჯალანის დემოკრატიული კონფედერაციის იდეას. □



„ბედნიერი არაბეთი“ დღეს

ნიკოლოზ ჯანჯღავა
გენერალური შტაბის
პოლკოვნიკი



ამ ქვეყანაში სამოქალაქო ომი 2011 წლიდან მძვინვარებს. მოსახლეობა ერთ-მანეთთან დაპირისპირებულია რელიგიით, პოლიტიკური წარსულითა და ისტორიით. შიიტური უმცირესობა, ირანის აქტიური მხარდაჭერით იბრძვის თავისი სოციალ-პოლიტიკური და რელიგიური უფლებების დასაცავად. სუნიტური უმრავლესობა კი ცდილობს, კვლავ ხელში ჩაიგდოს პოლიტიკური დომინირება. მესამე ქვეყნები აწარმოებენ საჰაერო იერიშებს, სადაც ილუპუბიან არა მარტო მებრძოლენი, არამედ უდანაშაულო მოქალაქეებიც. ქალაქები ალყაშია მოქცეული, სადაც საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებაც კი ვერ აღწევს. ფიქრობთ, რომ ჩვენ ახლა სირიაზე ვსაუბრობთ? არა, სინამდვილეში ყოველივე ეს იემენში ხდება.

როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, რომელსაც ოდესღაც Arabia Felix ანუ „ბედნიერი არაბეთი“ ერქვა, ახლა სისხლიანი დაპირისპირების ტერიტორიად გადაიქცა. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ დღევანდელი იემენის ტრაგედია, უნდა გავიაზროთ ამ ქვეყნის ისტორია და პოლიტიკური განვითარების გზა. თუ გვეცოდინება ფაქტები, ადვილი იქნება ანალიზი, თუმცა ისტორია გვასწავლის ერთ რამეს – ჩვენ ცუდი მონაფეები ვართ და ადვილად ვივინყებთ წარსულის გამოცდილებას.

იემენის რესპუბლიკა მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მისი კლიმატი ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას,

როგორ მოხდა, რომ ქვეყანა, რომელსაც ოდესღაც Arabia Felix ანუ „ბედნიერი არაბეთი“ ერქვა, ახლა სისხლიანი დაპირისპირების ტერიტორიად გადაიქცა. იმისათვის, რომ გავაანალიზოთ დღევანდელი იემენის ტრაგედია, უნდა გავიაზროთ ამ ქვეყნის ისტორია და პოლიტიკური განვითარების გზა. თუ გვეცოდინება ფაქტები, ადვილი იქნება ანალიზი, თუმცა ისტორია გვასწავლის ერთ რამეს – ჩვენ ცუდი მონაფეები ვართ.

გეოგრაფიული მდგომარეობა კი ყოველთვის იქცევედა დამპყრობთა ყურადღებას. იემენი დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი უძველესი დასახლებული ტერიტორიაა. მისი დედაქალაქი სანა, ლეგენდის მიხედვით, დააფუძნა ნოეს შვილმა – სემმა და ის ედემის ბალების შორიასხლოს იყო განლაგებული. ბიბლიური საბას სამეფო იემენის ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და მას ლეგენდარული დედოფალი, შება მართავდა.

ძველი რომის იმპერატორებმა რამდენჯერმე სცადეს საბეანთა სამეფოს დაპყრობა. რომაელებმა, რომლებიც აკონტროლებდნენ წითელ ზღვას, შეისწავლეს საზღვაო მარშრუტი ინდოეთამდე და ამით წაართვეს გუნდრუკისა და მურის ვაჭრობის მონოპოლია საბას სამეფოს. საზღვაო, უფრო იაფმა სავაჭრო გზის აღმოჩენამ დაასუსტა საბეანთა სახელმწიფო, რომელიც საბოლოო ჯამში რამდენიმე ნაწილად გაიყო.

525 წელს იემენი აბისინიელებმა დაიპყრეს. 570 წელს მათ ალყა შემოარტყეს მექას და აპირებდნენ მის აღებას, მაგრამ აბისინიელების ჯარში მყოფი მებრძოლი სპილოები, რომლებიც, ნესისამებრ, წინ მიუძღოდნენ ჯარს, მექის აღების დროს არ წავიდნენ წინ და ადგილზე გაშუქდნენ. მომავალში ახალი რელიგიის – ისლამის მიმდევრებმა გამოაცხადეს, რომ თვით ალაჰმა შეაჩერა მტერი მექასთან, რადგან იმავე წელს წინასწარმეტყველი – მუჰამედი დაიბადა. აბისინიელებმა უკან დაიხიეს. ერთი დამპყრობელი მეორემ შეცვალა – სასანი-

დურმა ირანმა იემენი დაიპყრო და თავის პროვინციად გამოაცხადა. 628 წელს ბათჰანმა, იემენის სპარსელმა გუბერნატორმა, ალიარა ისლამი. ამის შემდეგ დაიწყო იემენის ისლამიზაცია.

ისლამურ სამყაროში პირველი მეჩეთები ზუსტად იემენის ტერიტორიაზე აშენდა. გარდა ამისა 632 წელს, როცა წინასწარმეტყველი მუჰამედი გარდაიცვალა, 20 000 იემენელი დადგა პირველი ხალიფის, აბუ ბაქრის ჯროშის ქვეშ, რათა ყურანის სიტყვა მთელ მსოფლიოში გაეგრცვლებინათ. ისლამიზაციამ ითამამა უმნიშვნელოვანესი როლი იემენის კულტურისა და ტრადიციის განვითარებაზე. მეორე უმნიშვნელოვანესი თარიღი იემენის ისტორიაში არის 897 წელი – ითამამა იაჰიამ ზაიდის ითამატი ჩამოაყალიბა. იაჰია იყო ხალიფა ალის შთამომავალი და ალის პარტიის (შიიტების) წარმომადგენელი. ალის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ მუჰამედის სიკვდილის შემდეგ ალი იყო ერთადერთი „რჩეული ხალიფა“ და მას უნდა გაეგრძელებინა წინასწარმეტყველის საქმე. ზაიდის ითამატი სამხრეთ იემენში 1000 წელი არსებობდა – 1962 წლის რევოლუციამდე.



არაბული ხალიფატის დედაქალაქის გადანევამ ჩრდილოეთით, ჯერ დამასკოში, შემდეგ კი ბაღდადში, იემენი ცენტრალურ სავაჭრო გზებს ჩამოამორა და ძველი პოზიციები დააკარგვინა. რამდენიმე დინასტია ეომებოდა ერთმანეთს მის ტერიტორიაზე, სანამ იემენი პატარა-პატარა დაპირისპირებული სამთავროების ტერიტორიად არ გადაიქცა. 1507 წელს პორტუგალიელები აღმოჩნდნენ იემენთან, დაიკავეს მნიშვნელოვანი კუნძულები და ამით დაიწყეს ინდოეთიდან მიმავალი სავაჭრო გზების გაკონტროლება. პორტუგალიელების შემდეგ, 1538 წელს, იემენს დაეუფლნენ თურქები. მათი ბატონობა 1636 წლამდე გაგრძელდა. ყავით ვაჭრობით XVII – XVIII საუკუნეებში იემენს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა თავისი მნიშვნელობა, რამაც გამოიწვია ახალი დამპყრობლების – ინგლისელების გამოჩენა იემენის სანაპიროზე.

იემენის დღევანდელი დაყოფა ჩრდილოეთად და სამხრეთად მას შემდეგ მოხდა, რაც ინგლისმა 1839 წელს

დაიპყრო ქალაქი ადენი და სამხრეთ იემენი, ხოლო 1872 წელს თურქებმა – სანა და იემენის ჩრდილოეთი ნაწილი.

იემენის თანამედროვე ისტორია იწყება 1918 წლიდან, როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დამარცხებულმა ოსმალეთის იმპერიამ შეწყვიტა არსებობა და ჩრდილო იემენში ინგლისელებმა დასვეს ზაიდთა ითამატის წარმომადგენელი – ითამი იაჰია (დიდი ითამის შთამომავალი). ძალაუფლების შესანარჩუნებლად მან იემენი მოაქცია სრულ იზოლაციაში და ინარჩუნებდა შუასაუკუნოვან ეკონომიკას. 1948 წელს იემენელ ინტელექტუალებს ჰქონდათ გადატრიალების მცდელობა,

რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. მეამბოხებმა შეძლეს და ითამი იაჰია მოკლეს. ტახტზე ავიდა მისი შვილი – აჰმადი, რომელიც 14 წლის განმავლობაში ტერორით მართავდა ჩრდილო იემენს. 1962 წელს სანაში დაიწყო რევოლუცია ითამის წინააღმდეგ. 8 წლის განმავლობაში ჩრდილო იემენში მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი.

რესპუბლიკელები, რომლებსაც ეხმარებოდა ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი, უპირისპირდებოდნენ ითამის მხარდამჭერებს, რომელსაც მხარს უჭერდა საუდის არაბეთის სამეფო. რევანლიანი დაპირისპირების შემდეგ ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის საფუძველზე ჩრდილოეთში ჩამოყალიბდა იემენის არაბული რესპუბლიკა.

სამხრეთით, სადაც გაბატონებულები იყვნენ ინგლისელები, პოლიტიკური განვითარება სულ სხვა მიმართულებით მიმდინარეობდა. მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა 2 ძირითადი პოლიტიკური ძალა: პროკომუნისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი და ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის მიმდევართა სამხრეთ იემენის გათავისუფლების ფრონტი, რომლებიც იბრძოდნენ დიდი ბრიტანეთის იმპერიისაგან გათავისუფლებისთვის. საბოლოო ჯამში, გაიმარჯვა პროკომუნისტურმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ფრონტმა, გაანადგურა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე და აიძულა, 1967 წელს, დიდ ბრიტანეთს და-

ეტოვებინა სამხრეთ იემენი და მისი საპორტო ქალაქი ადენი.

1970 წლის 1 დეკემბერს სამხრეთ იემენში შეიქმნა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია, ჩამოყალიბდა ერთადერთი პოლიტიკური ძალა „იემენის სოციალისტური პარტია“, რომელმაც გეზი აიღო არაბული სოციალიზმის მშენებლობაზე, საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების მხარდაჭერით. „ბედნიერი არაბეთის“ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი განსხვავებული პოლიტიკური სისტემის ქვეყანა. სამხრეთით სოციალისტი ფანატიკოსები განუწყვეტელი პოლიტიკური წმენდითა და ეკონომიკური ექსპერიმენტებით ცდილობდნენ სოციალიზმის აშენებას, ჩრდილოეთით კი ჩამოყალიბდა დახურული პოლიტიკური სისტემა, რომლის ძირითადი იდეოლოგია ისლამური რელიგიური მოუთმენლობა და ფუნდამენტალიზმი გახდა.

ჩამოყალიბდა ცივი ომისთვის ტიპური მდგომარეობა, როგორც იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის, ჩრდილო და სამხრეთ კორეასა და ვიეტნამს შორის, როცა ერთი ქვეყანა დაყოფილია იდეოლოგიური გამყოფი ხაზებით. იემენის



ალი აბდულა სალეჰი

გაერთიანების იდეამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი სამხრეთ იემენში, სამხრეთის პარტიულმა ფუნქციონერებმა 1972 და 1979 წლებში დააპირეს ძალით ქვეყნის გაერთიანება, რაც ორივეჯერ უშედეგოდ დასრულდა. შეიქმნა საკმაოდ რთული ვითარება. სამხრეთ იემენში დაიწყო ფრატციული ბრძოლა ერთი სოციალისტური პარტიის სხვადასხვა დაჯგუფებას შორის. ეს დაპირისპირება 1986 წელს იქამდე მივიდა, რომ სამხრეთ იემენის პრეზიდენტი აბდულ-ფატახ ისმაილი მოკლეს და სამოქალაქო ომი დაიწყო. საბჭოთა კავშირის მყისიერი დიპლომატიური ქმედებების შემდეგ საბრძოლო მოქმედებები სწრაფად დასრულდა, თუმცა ამის მიუხედავად, 10 000-მდე იემენელი დაიღუპა და 20 000-მდე გაიხიზნა ჩრდილო იემენში.

რთული მდგომარეობა იყო ჩრდილოეთშიც. ერთ პრეზიდენტს მეორე ცვლიდა და შეიარაღებული ძალები

ხშირად ერეოდნენ შიდა პოლიტიკურ ბრძოლაში. 1978 წელს პოლკოვნიკმა ალი აბდულაჰ სალეჰმა გამოაცხადა თავი ჩრდილო იემენის პრეზიდენტად. მან გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, 1983-1988 წწ-ში და რკინის ხელით მართავდა იემენის ჩრდილოეთ ნაწილს. XX საუკუნის 90-იან წლებში ეკონომიკური ვითარება გაუარესდა როგორც სამხრეთით, ასევე ჩრდილოეთით. გორბაჩოვის „პერესტროიკის“ შემდეგ საბჭოთა კავშირი დადგა ეკონომიკური კრახისა და კოლაფსის წინაშე. მოსკოვს საშუალება არ ჰქონდა, თავისი მოკავშირეებისთვის ეკონომიკური დახმარება გაენიშა. სამხრეთ იემენი თავისი განუვითარებელი ეკონომიკით, განვითარებული შეიარაღებული ძალებითა და უზარმა-

ზარი საგარეო ვალდებულებებით არჩევნის წინაშე დადგა. უკეთესი მდგომარეობა არ იყო არც ჩრდილო იემენში, რომლის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა მისი ათასობით მოქალაქის ფულადი გზავნილები საუდის არაბეთიდან, ნავთობზე ფასის დაცემამ კი ამ შემოსავლის მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ნავთობზე ფასის დაცემის შემდეგ დაიწყო ფიქრი

სამხრეთ და ჩრდილო იემენის გაერთიანებაზე. 1990 წლის 21 მაისს მიიღეს გაერთიანებული იემენის საერთო კონსტიტუცია და ცოტა ხანში რეფერენდუმზე იემენის მოსახლეობის უმრავლესობამ (ორივე ნაწილში) მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის გაერთიანებაზე. გაერთიანებული იემენის ახალი პრეზიდენტი გახდა ჩრდილო იემენის პრეზიდენტი – ალი აბდულაჰ სალეჰი, ვიცე-პრეზიდენტი კი – სამხრეთ იემენის ყოფილი ხელმძღვანელი – ალი სალიმ ალ ბიდჰი. იემენის გაერთიანების მიუხედავად, მაინც თავს იჩენდა შიდა პოლიტიკური დაპირისპირება. 1993 წლის არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რამდენად სუსტი იყო ამ ქვეყნის ერთობა. სამხრეთ იემენი, სადაც სეკულარული იდეები უფრო ძლიერი იყო, ვერ ეგუებოდა მკაცრ მაჰმადიანურ კანონებს, რომელსაც თავს ახვევდა კონსერვატიული ჩრდილოეთი.

მნიშვნელოვანი როლი სამხრეთისა და ჩრდილოეთის დაპირისპირებაში ითამაშა ახლად აღმოჩენილმა ნავთობის საბადოებმა, რომელთა უმრავლესობა იემენის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. სამხრეთელების გადანაცვლებით. მოპოვებული ნავთობიდან მიღებული თანხა უნდა დარჩენილიყო სამხრეთში. ამ გარემოებამ კი იემენის რესპუბლიკაში პოლიტიკური კრიზისის გამწვავება გამოიწვია. გაერთიანებული იემენის ვიცე-პრეზიდენტი 1993 წლის აგვისტოში დაბრუნდა სამხრეთის ყოფილ დედაქალაქ ადენში და კურსი აიღო სამხრეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობის მოპოვებაზე. გაერთიანებული იემენის მთავრობა ფუნქციონირებას ვერ ახერხებდა. 1994 წლის მაისში დაიწყო სამხრეთელებისა და ჩრდილოელების სამხედრო დაპირისპირება, მიუხედავად სამხრეთელების უპირატესობისა, საბრძოლო ტექნიკასა და შეიარაღებაში, პრეზიდენტმა სალეჰმა შეძლო ჩრდილოელების სწრაფი მობილიზაცია და კონტრშეტევაზე გადასვლა. სამხედრო დაპირისპირება 1994 წლის ივლისამდე გაგრძელდა და სამხრეთელების მარცხით დასრულდა. გაერთიანებული იემენის პრეზიდენტმა სალეჰმა პოლიტიკური ამნისტია გამოაცხადა, მათთვის, ვინც მონაწილეობდა სამხედრო დაპირისპირებაში, 16 ხელმძღვანელის გარდა. სეპარატისტების ლიდერებს ჩამოერთვათ მთელი ქონება და აეკრძალათ იემენში დაბრუნება.

სამოქალაქო ომის შემდეგ იემენში პოლიტიკური ვითარება დასტაბილურდა, მაგრამ ნელ-ნელა ხდებოდა რელიგიური, მკაცრი ფუნდამენტალისტური კანონმდებლობის მიღება. მის უკან იდგა „ისლამის“ ულტრაკონსერვატიული სუნიტური პარტია, რომელიც ხელთ იგდებდა ძალაუფლების ყველა ბერკეტს გაერთიანებულ იემენში.

ეკონომიკური მდგომარეობა ვერ ვითარდებოდა – 200 000-ზე მეტი იემენელი იძულებული იყო, ემუშავა საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის სხვა მდიდარ სახელმწიფოებში. პრეზიდენტმა სალეჰმა პოლიტიკური მანევრირებით მოახერხა ძალაუფლების შენარჩუნება, გაიმარჯვა საპრეზიდენტო

არჩევნებში, 1999 და 2006 წლებში, მაგრამ შეუცვლელ სალეჰსაც ეცლებოდა ხელიდან სიტუაცია. პირველი სიგნალი იმისა, რომ იემენში ვითარება მკვეთრად გაუარესდა, იყო არნახული ტერორისტული აქტი, რომელიც 2000 წლის ოქტომბერში აშშ-ის სამხედრო საზღვაო გემ „კოლზე“ მოხდა. თავდასხმისას ადენის პორტში 17 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ეს იყო იმ დროისთვის უცნობი ტერორისტული ორგანიზაციის – „ალ-ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე“ პირველი დარტყმა.

21-ე საუკუნის პირველ დეკადაში იემენში სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა დაპირისპირება სხვადასხვა სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის. ინტელიგენციის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები მოითხოვდნენ მეტ პოლიტიკურ თავისუფლებას, ეკონომიკურ რეფორმებსა და ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ. ამავდროულად, ისმოდა მოთხოვნა პრეზიდენტ სალეჰის გადადგომის შესახებ, რომელიც 1978 წლიდან მართავდა ქვეყანას და თავის კლანთან ერთად ჩამოაყალიბა ნეპოტისტური იმპერია.

საზოგადოებაში სოციალური დაპირისპირება ხელს უწყობდა სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფების ჩამოყალიბებას და მათ გაძლიერებას. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, როცა ამერიკამ გამოაცხადა „გლობალური ომი ტერორის წინააღმდეგ“, იემენის პრეზიდენტი სალეჰი ერთ-ერთი პირველი შეუერთდა ამ კოალიციას. ამით იემენის პრეზიდენტს სურდა თავისი შიდა პოლიტიკური პრობლემების გადანაცვეტა ამერიკელების დახმარებით. იემენში განლაგდა აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალების სარდლობის ქვედანაყოფები, რომლებმაც დაიწყეს არა მარტო ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურების მომზადება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ თვითონაც ატარებდნენ ფარულ ოპერაციებს „ალ-ქაიდას“ ლიდერების წინააღმდეგ.

ამავე პერიოდში წინ წამოიწიეს ზაიდის იმამატის წარმომადგენლებმა. მიუხედავად

1970 წლის 1 დეკემბერს სამხრეთ იემენში შეიქმნა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია, ჩამოყალიბდა ერთადერთი პოლიტიკური ძალა „იემენის სოციალისტური პარტია“, რომელმაც გეზი აიღო არაბული სოციალიზმის მშენებლობაზე, საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების მხარდაჭერით.

იმისა, რომ 1962 წლის შემდეგ ზაიდის იმამატის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა გაუქმებული იყო ჩრდილო იემენში, მათ წარმომადგენლებს ჰქონდათ ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა შიიტურ მოსახლეობაში.

2004 წლიდან იემენის მთავრობასა და „ალაჰ ანსარის“ (შიიტური დაჯგუფება) შორის დაიწყო სამხედრო დაპირისპირება. ჰუსეინ ბადრედინ ალ-ჰუტის ხელმძღვანელობით, ზაიდისტთა ლიდერს იემენის მთავრობამ დააბრალა, რომ ირანის მხარდაჭერით ქვეყანაში გადატრიალების მოწყობას და შიიტური რელიგიური დოქტრინის მიხედვით სახელმწიფოს ჩამოყალიბებას აპირებდა. ამავ ენელს, სპეცოპერაციის შემდეგ ჰუსეინ ბადრედინი მოკლეს, მაგრამ მოძრაობა, რომელსაც მისი სახელი „ჰუტიტი“ დაერქვა, არათუ დამარცხდა, არამედ შეტევაზეც გადავიდა. „ჰუტიტების“ ხელმძღვანელი აბდულ მალიქი გახდა. განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა 2009 წელს, როდესაც „ჰუტიტებმა“ არა მარტო დაიკავეს ჩრდილო იემენის საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერიტორია, არამედ მეზობელ საუდის არაბეთშიც გადაიტანეს ბრძოლა. საუდის არაბეთის ხელმძღვანელობა, რომელიც ყოველთვის დიდი ყურადღებით აკვირდებოდა იემენში მიმდინარე მოვლენებს, მიიჩნევდა, რომ ზაიდიტები არიან საუდის არაბეთის მტრის – ირანის „მეზუთე კოლონა“, რომელიც აპირებს, ხელში ჩაიგდოს იემენის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები და: 1. ხელი შეუშალოს საუდის არაბეთის ნავთობის ექსპორტს, 2. შექმნას საუდის არაბეთის საზღვრებზე დაძაბულობისა და კონფლიქტის კერა.

2011 წლიდან, როდესაც „არაბული გაზაფხულის“ ტალღამ გადაუარა ახლო აღმოსავლეთის, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანას, იემენშიც დაიწყო სოციალური ამბოხი. ძირითადი მოთხოვნა იყო პრეზიდენტ სალехის გადადგომა და პოლიტიკური რეფორმები. რეჟიმმა ტყვეები დაუშინა მემამოხეებს, რამაც გამოიწვია შეიარაღებული დაპირისპირება ძალისმიერ სტრუქტურებსა და ხალხს შორის. ისტორიულად იემენი ყოველთვის დაყოფილი იყო კლანებად და ტომებად, სადაც ყოველთვის არსებობდა იარაღის კულ-

იემენი აღარ არსებობს როგორც ერთიანი ქვეყანა. ის არის ტიპური „არშემდგარი სახელმწიფო“. ქვეყნის დიდ ნაწილს სხვადასხვა ტომები და კლანები აკონტროლებენ. ეს ქაოსი ბრწყინვალედ გამოიყენა არა მარტო „ალ-ჰაიდამ“, არამედ ახლად შექმნილმა „ისლამურმა სახელმწიფომ - ხალიფატმა“.

ტი, ფაქტობრივად, მთელი მოსახლეობა იყო შეიარაღებული. დედაქალაქ სანაში სისხლიანი დაპირისპირება სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას. იემენის მეზობლების, მათ შორის საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების, ზენოლის შემდეგ პრეზიდენტმა სალემმა განაცხადა, რომ გადადგებოდა 2011 წლის მაისში, მაგრამ შემდეგ შეიცვალა აზრი და განაგრძო ქვეყნის მართვა.

2011 წლის 3 ივნისს სალემზე მოეწყო თავდასხმა. პრეზიდენტი გადარჩა, მაგრამ მძიმედ დაიჭრა, თუმცა ამ ტერორისტულმა აქტმაც ვერ ათქმევინა უარი ქვეყნის მართვაზე. საუდის არაბეთის დაჟინებული მოთხოვნისა და პირდაპირი ზენოლის შემდეგ 2011 წლის ნოემბერში იემენის პრეზიდენტი გადადგა და ძალაუფლება დაუტოვა ვიცე-პრეზიდენტ აბდ რაბუჰ მანსურ ჰადის. გადადგომის მიუხედავად, სალემს საკმაოდ ბევრი მიმდევარი დარჩა ადგილობრივ ლიდერებს შორის.

სალემის გადადგომამ უფრო გაამწვავა ურთიერთობა იემენის ცენტრალურ მთავრობასა და „ჰუტიტებს“ შორის. იემენის ახალ ადმინისტრაციული დაყოფის პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა მის ექვს ადმინისტრაციულ ოლქად დაყოფას, მწვავე უარყოფითი რეაქცია მოჰყვა „ჰუტიტებს“ შორის. ისინი გადავიდნენ ფართომასშტაბიან შეტევაზე. მათი მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად შეიარაღებული და მოტივირებული ქვედანაყოფები ერთი მეორის მიყოლებით იღებდნენ ქალაქებს. 2015 წლის იანვარში „ჰუტიტებმა“ ხელში ჩაიგდეს იემენის დედაქალაქი სანა და აიძულეს პრეზიდენტი ჰადი და მინისტრთა კაბინეტი, გადამდგარიყვნენ. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ე.წ. „რევოლუციური კომიტეტი“, „ჰუტიტების“ სამხედრო მეთაურის – მუჰამად ალი ალ-ჰუტის ხელმძღვანელობით. პრეზიდენტი ჰადი გაიქცა ქალაქ ადენში, სადაც მან უარყო გადადგომა, დაგმო „ჰუტიტების“ სამხედრო გადატრიალების მცდელობა და იემენის დროებით დედაქალაქად ადენი გამოაცხადა. „ჰუტიტებმა“ განაგრძეს შეტევა.

2015 წლის მარტში გაჩაღდა ბრძოლა ადენისთვის. პრეზიდენტ ჰადის ძალებმა ვერ შეძლეს „ჰუტიტებისა“ და მათთან ერთად ყოფილი პრეზიდენტის, სალემის მომხრეებისგან

შექმნილი ქვედანაყოფების შეჩერება. 2 აპრილს ქალაქი ადენი დაეცა. ეს იყო მოთმინების ბოლო წვეთი საუდის არაბეთისთვის. იემენის პრეზიდენტმა, ჰადიმ, რომელიც ადენიდან საუდის არაბეთის დედაქალაქ რეადში გაიქცა, ოფიციალურად მოითხოვა სამხედრო დახმარება საუდის არაბეთისა და „არაბთა ლიგაში“ შემავალი ქვეყნებისაგან. საუდის არაბეთმა ჩამოაყალიბა კოალიცია, რომელიც მიზნად ისახავდა „ჰუტიტების“ სამხედრო დამარცხებას და „ლეგიტიმური“ პრეზიდენტის, ჰადის მთავრობის დაბრუნებას იემენში. საუდის არაბეთს შეუერთდნენ: ეგვიპტე, მაროკო, იორდანია, სუდანი, კუვეითი, გაერთიანებული არაბთა ემირატები, ყატარი და ბახრეინი.

კოალიციამ დაიწყო „ჰუტიტების“ პოზიციების დაბომბვა. რიგი ქვეყნების სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებმა სამხედრო ოპერაციების შედეგად 2015 წლის ივნისში „ჰუტიტები“ ადენიდან განდევნეს. საავიაციო კამპანია „იმედის აღდგენა“ (Restoring Hope) 2015 წლის აპრილის ბოლომდე გაგრძელდა. კოალიციის ძალებმა შეძლეს და შეაჩერეს „ჰუტიტების“ წინსვლა. მაისის დასაწყისში საუდის არაბეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ წყდება საავიაციო ოპერაციის აქტიური ფაზა, მაგრამ კოალიცია იტოვებს უფლებას, დაარტყას „ჰუტიტებს“ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ წავლენ პოლიტიკურ დიალოგსა და კომპრომისზე. 2015 წლის სექტემბერში პრეზიდენტი ჰადი დაბრუნდა ქალაქ ადენში. მან დაიწყო ქმედუნარიანი მთავრობის ჩამოყალიბება და დიპლომატიური მოლაპარაკებები პოლიტიკურ მონინალმდეგებთან.

საუდის არაბეთი აბრალებდა ირანს, რომ ის ეხმარება შიიტურ დაჯგუფებას – „ჰუტიტებს“. საუდის არაბეთის დიპლომატია მიიჩნევს, რომ კონფლიქტი იემენში არის ერთ-ერთი ფრონტი, სადაც არა მარტო საუდის არაბეთი და ირანი უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ შიიზმი ებრძვის სუნიზმს. რიადისთვის ეს არის იმავე ბრძოლის გაგრძელება, რაც არის გაჩაღებული ერაყში, სირიაში, ლიბანსა და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში.



აბდ რაბუჰ მანსურ ჰადი

იემენში სამოქალაქო დაპირისპირებამ, ფაქტობრივად, გაანადგურა იემენის ეკონომიკა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ქვეყნის ერთობა, შეაჩერა ინვესტიციები და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტები. ათასობით იემენელმა დატოვა სამშობლო და გაიხიზნა უცხოეთში, 100 000-ზე მეტი კი დევნილია თავისსავე ქვეყანაში; დაიღუპა 7 000-ზე მეტი ადამიანი, საიდანაც ნახევარზე მეტი სამოქალაქო პირია.

ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით ადევნებდა თვალს იემენში მიმდინარე მოვლენებს. ბუშის ადმინისტრაცია მიიჩნევდა, რომ პრეზიდენტი სალესი იყო „მათი კაცი“ ტერორიზმთან – „ალ-ქაიდასთან“ ბრძოლაში. ობამას ადმინისტრაცია უფრო სექსტიკურად იყო განწყობილი სალესის შიდა და საგარეო პოლიტიკის მიმართ, მაგრამ პრაგმატული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ეხმარებოდა სალესს ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლაში, რაც უმეტესწილად გამოიხატებოდა „დრონების“ დარტყმებში „ალ-ქაიდას“ ლიდერების წინააღმდეგ. ყველაზე ცნობილი ფაქტი მოხდა 2011 წელს, როდესაც ამერიკულმა პრედატორმა (predator) მოკლა „ალ-ქაიდას“ ხელმძღვანელი

იემენში – ანვარ ალ ავლაკი, რომელიც ამავედროულად ამერიკის მოქალაქეც იყო. ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოკავშირეს – საუდის არაბეთს საჰაერო თავდასხმების დროს ლოჯისტიკური და სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფდა.

იემენი აღარ არსებობს როგორც ერთიანი ქვეყანა. ის არის ტიპური „არშემდგარი სახელმწიფო“. ქვეყნის დიდ ნაწილს სხვადასხვა ტომები და კლანები აკონტროლებენ. ეს ქაოსი ბრწყინვალედ გამოიყენა არა მარტო „ალ-ქაიდამ“, არამედ ახლად შექმნილმა „ისლამურმა სახელმწიფომ – ხალიფატმა“. თეოლოგიის სხვადასხვა საკითხში დაპირისპირების მიუხედავად, ისინი იემენში ხშირად გამოდიან ერთიანი ფრონტით როგორც „ჰუტიტების“, ასევე ნებისმიერი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის წინააღმდეგ. ■

სეკულარიზმი და ქრისტიანობა

გრიგოლ გეგელია

პოლიტიკური იდეების
ისტორიკოსი



ყველას გვსმენია მოსაზრება, რომ სეკულარიზმი ქრისტიანობის მტერია, ხოლო სეკულარისტები ადამიანები, რომელნიც შეთქმულან და განიზრახავენ მართლმადიდებელი ეკლესიის დასუსტებასა და დამხობას. სინამდვილეში, ქრისტიანობა არსებითად სეკულარული რელიგიაა, ხოლო სეკულარიზმი, როგორც მონყობის პრინციპი, დღეს უპირველეს ყოვლისა სწორედ ქრისტიანობის ინტერესებშია.

ქრისტიანობა, ქრისტეს აზრებისა და ქმედებების ნაკრებია და არა მათი, ვინც საკუთარ თეოლოგიას ქმნის. სწორედ ქრისტემ თქვა: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს – ღმრთისა“ (მარკოზი, 12:17). ამ მოკლე განცხადებით, იესო ქრისტემ ერთმანეთისგან გამოჰყო ორი სამყარო: ღვთაებრივი და მიწიერი. მან ერთმანეთისგან გამოიჯნა ერთი მხრივ მამა ღმერთი, მეორე მხრივ კი – კეისარი, როგორც მიწიერი პოლიტიკური ლიდერი და შემოიტანა ძალაუფლების შესაბამისი დანაწილება.

მარკოზის სახარების ამ ცნობილ ფრაზას ნაკლებად ცნობილი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფრაზა მოსდევს: „და უკვირდათ მისი“. მაგრამ, ვის უკვირდა? ფარისევლებსა და ჰეროდევებს, რომლებიც ქრისტესთან მიეგზავნათ, „რათა სიტყვის მახე დაეგოთ მისთვის“ (მარკოზი, 12:13) და რა უკვირდათ? უკვირდათ ის, რომ ადამიანმა, ვინც თავი ღმერთის ძედ გამოაცხადა, მამას, თვით ღმერთს, რაღაც დააკლო და კეისარს მიაწიჭა. ფარისევლები ამან გააოცა; მათი გაოცება ჩვენთვისაც უდავოდ ნაცნობია.

თუმცა, რაც არ უნდა თქვან ფარისევლებმა, სინამდვილე მაინც ისაა, რომ სეკულარული აზრი არათუ ქრისტიანობის წინააღ-

მდეგ არ არის მიმართული, არამედ თვითონ არის ქრისტიანული. მეტიც, ის ფუნდამენტია ქრისტიანული ფილოსოფიისა, რომელიც სეკულარულ აზროვნებასთან ერთად დაიბადა და განვითარებითაც მასთან ერთად და მისი საშუალებით განვითარდა. პირველ რიგში, უნივერსალური კათოლიკე ეკლესია სწორედ მაშინ დაიბადა, როდესაც იქამდე ებრაული კულტი, რომელიც ახლა უკვე პავლეს დოქტრინებით ხელმძღვანელობდა, გამოეყო იუდაიზმის სჯულის კანონს. საკუთრივ სჯულის კანონი ყოვლისმომცველი იყო და თანაბრად ეხებოდა რწმენის საკითხებს ისე, როგორც ყოველდღიური ცხოვრების ასპექტებს. ქრისტიანობა კი, ამისგან განსხვავებით, მიჯნავდა ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს, ღვთაებრივსა და მიწიერს. შესაბამისად, ქრისტიანობას მისი დაბადების მომენტში სხვა მონოთეისტური რელიგიებისაგან ყველაზე მეტად სწორედ „ღმრთისა“ და „კეისრის“ ძალაუფლების სივრცეთა ერთმანეთისგან გამოიჯნა განასხვავებდა.

ამასთანავე, შემდგომში ქრისტიანობის იმპერიულ რელიგიად ქცევაც ზუსტად სეკულარულობისადმი მისმა შინაგანმა მიდრეკილებამ გახადა შესაძლებელი. რელიგია, რომელიც კეისარს ან უფლებებს შეუზღუდავდა, ან საკუთარ სამოქმედო სივრცეს არ დაუტოვებდა, ვერ გახდებოდა იმპერიის რელიგია. მაგრამ ქრისტიანობა არც ერთ პოლიტიკურ ცოდვაში იყო შემჩნეული და არც მეორეში. ის არათუ პოლიტიკურად პრობლემური არ იყო, არამედ პირიქით, ნათლად მიჯნავდა მმართველობისა და მორჩილების ორ სივრცეს. ერთი მხრივ, ის ღმერთს ანიჭებდა საკუთარ imperium-ს, ხოლო მეორე მხრივ – კეისარს საკუთარ dominium-ს. ამიტომ,



ფოტო: ზურაბი კახლაძე

2016

თუმცა კი თვითონ სეკულარულობისადმი მიდრეკილი, ქრისტიანობა ყოველთვის იყო ძალაუფლების მეგობარი, რადგან ძალაუფლების ლოგიკას ის ყოველთვის აწყობდა.

ქრისტეს კვალდაკვალ, სეკულარული პრინციპის ადვოკატები იყვნენ პავლე მოციქული, ეუსები კესარიელი, პაპი გელასი, ისე როგორც ნეტარი ავგუსტინე, თომა აქვინელი და მარტინ ლუთერი. პავლე მოციქულის პოლიტიკური ამოცანა ქრისტიანობის ისე წარმოჩენა იყო, რომ რომაელი წარმართი ავტორიტეტები ზედმეტად არ დაშინებულყვნენ. ეს ის დრო იყო, როდესაც რომაელთა ჰემონიას ისედაც უკვე საფრთხეს უქმნიდა ებრაელთა პარტიკულარიზმი და ამბოხება. ამავე დროს, იმდროინდელი ელიტებისათვის არც ადრეული ქრისტიანობის გზავნილები იყო სახარბიელო. სხვა თუ არაფერი, ქრისტიანობა დაინყო, როგორც ურბანული ღარიბი კლასების მოძრაობა და პავლეს დროსაც

ქრისტეს კვალდაკვალ, სეკულარული პრინციპის ადვოკატები იყვნენ პავლე მოციქული, ეუსები კესარიელი, პაპი გელასი, ისე როგორც ნეტარი ავგუსტინე, თომა აქვინელი და მარტინ ლუთერი.

ადრინდელი ებრაელი ქრისტიანები ქადაგებდნენ ეგალიტარიანულ პრინციპებს, რომელიც არა მარტო მორალურ და სულიერ ცხოვრებას ეხებოდა, არამედ მატერიალისტური ღირებულებების წინააღმდეგაც ილაშქრებდა. პავლეს მიერ არჩეული ახალი ორიენტირები კი ყველასთვის სახარბიელო იყო, მათ შორის, ფინანსური და მმართველი ელიტებისთვის, ისე როგორც რომაული იმპერიის საერო უნივერსალიზმისათვის. სწორედ ამან შეუწყო ხელი ქრისტიანობის გადარჩენას და მომავალში კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფილოსოფიად ქცევას.

პავლე მოციქული ქრისტიანულ და სამოქალაქო იდეალად სახავს სეკულარული ძალაუფლებისადმი აბსოლუტურ მორჩილებას. როგორც პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეში აცხადებს: „დაე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, რადგანაც

არ არსებობს ხელმწიფება თუ არა ღვთისაგან; ყოველი ხელმწიფება ღვთის მიერ დადგენილია... ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღვთის განჩინებას ეწინააღმდეგება; ხოლო წინააღმდეგომნი თავიანთ თავზე თვითონვე მოიწვევენ სასჯელს (ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 13:1-2).

რადგან სეკულარული ძალაუფლება ღვთაებრივად იყო დადგენილი, ის იყო განსახიერება ღვთაებრივი ნებისა, რის გამოც მასთან დაუმორჩილებლობა ღვთაებრივ ნებასთან დაუმორჩილებლობას უტოლდებოდა. მსგავსად ამისა, ევსები კესარიელიც, პირველი ქრისტიანი იმპერატორის, კონსტანტინეს დასაცავად დაწერილ სიტყვაში სეკულარულ ლიდერს წარმოაჩენდა, როგორც ღმერთის წარმომადგენელს სეკულარულ დროში, თუმცა პავლე მოციქულის თეოლოგია ამითაც არ კმაყოფილდებოდა და სეკულარულ ლიდერს არა მარტო ღმერთის წარმომადგენლად, არამედ ცოდვით დაცემული მსოფლიოს ლიდერადაც წარმოაჩენდა. ამიტომ მის თეოლოგიაში მორჩილება სეკულარული ძალაუფლებისადმი არა მარტო შიშის, არამედ სინდისის საკითხიც იყო; შესაბამისად, ეს იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ მორალური ვალდებულებაც.

პავლე მოციქულის მსგავსად, სწორედ ცოდვის თეოლოგიაზე იდგა აგრეთვე ნეტარი ავგუსტინეს ხედვა „ორი ქალაქისა“. ამ დოქტრინით, ნეტარი ავგუსტინე გარკვეულწილად ორი სფეროს, მინიერისა და ზეციურის, განცალკევების ქრისტესეულ და პავლესეულ იდეას ავითარებს. თუმცა „ორი ქალაქის“ ავგუსტინური დოქტრინა გაცილებით უფრო კომპლექსური რამაა, ვიდრე უბრალოდ მინიერისა და ზეციურის ერთმანეთთან დაპირისპირება. ავგუსტინეს მიხედვით, საღმრთო ქალაქი წმინდა, სპეტაკი, ღვთაებრივი, რჩეული და სამართლიანია, ხოლო მინიერი ქალაქი – უწმინდური, უღვთო, უსამართლო და დაცემული. სხვათა შორის, ნეტარ ავგუსტინეს მიხედვით, ეკლესიაც მინიერი ინსტიტუტია, რომელშიც ისევე გვხვდება კონფლიქტი სინმინდესა და უწმინდურებას შორის, როგორც სხვაგან, გარდა საღმრთო ქალაქისა.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ავგუსტინური ორი ქალაქი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციებს გვთავაზობს, ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. უფრო კონკრეტულად, მინიერი ქალაქი, როგორც ისტორიული პერიოდი, შემადგენელი ნაწილია საღმრთო ქალაქისა, როგორც მომავალი პერიოდისა. ავგუსტინეს მიხედვით, ისტორიის დასასრულამდე, როდესაც საღმრთო ქალაქი გაიმარჯვებს, ყველამ უნდა იცხოვროს მინიერ ქალაქში და იყოს თანაზიარი მისი დაცემული ყოფისა.

ისტორიული დროის დასასრულისა და საღმრთო ქალაქის მომლოდინეს, ქრისტიან ადამიანს ისლა დარჩენია, შეინარჩუნოს სოციალური წესრიგი და საყოველთაო მინიერი მშვიდობა. სწორედ ამიტომ, ყველა პიროვნება და ყველა ინსტიტუტი, მათ შორის ეკლესია, მინიერ ძალაუფლებას უნდა დაემორჩილოს.

ავგუსტინე ადამიანურ ისტორიაში არაფერს ელის, გარდა უსამართლობისა და მარადიულად განშლადი ტრაგედიისა, რომელიც, სხვა სიტყვებით, სეკულარული ისტორიაა. სინმინდე და სამართლიანობა მხოლოდ მაშინ დაივანებს, როდესაც დასრულდება დრო და ისტორია, დადება მარადიულობა და საბოლოოდ იზეიმებს საღმრთო ქალაქი. ისტორიული დროის დასასრულისა და საღმრთო ქალაქის მომლოდინეს, ქრისტიან ადამიანს ისლა დარჩენია, შეინარჩუნოს სოციალური წესრიგი და საყოველთაო მინიერი მშვიდობა. სწორედ ამიტომ, ყველა პიროვნება და ყველა ინსტიტუტი, მათ შორის ეკლესია, მინიერ ძალაუფლებას უნდა დაემორჩილოს.

პავლე მოციქულის მსგავსად, ნეტარი ავგუსტინეც იცავდა ქრისტიანობას კრიტიკოსებისაგან, რომელთა აზრითაც, იმპერიის საზღვრებში სოციალურ და პოლიტიკურ ჰარმონიას საფრთხეს სწორედ ქრისტიანული აზრები და ენერგიები უქმნიდა. ამის საპასუხოდ, ავგუსტინეს არგუმენტი აქცენტს სწორედ იმაზე აკეთებდა, რომ ქრისტიანულ დოქტრინაში არაფერია ისეთი, რაც სახელმწიფოს ნების წინააღმდეგ წასვლას ახალი სებს. პირიქით, ავგუსტინე არაქრისტიანულ სახელმწიფოს სავსებით არ მიიჩნევდა ნაკლებად კარგ სახელმწიფოდ, ხოლო ქრისტიანულ სახელმწიფოს მინიერი სფეროს ისეთივე ნაწილად აღიქვამდა, როგორც ეკლესიას და ყველაფერს სხვას, რაც ისტორიულ დროში გვხვდება. მისი აზრით, არც ქრისტიანული სახელმწიფო და არც ეკლესია არ არის განსაკუთრებულად წმინდა, რადგან ერთიცა და მეორეც ნაწილია დაცემული ისტორიული დროისა, რომელიც ელის ერთადერთ წმინდა და სუფთა დროს – საღმრთო ქალაქს.

ამრიგად, ქრისტიანობა ბუნებრივად მიდრეკილია სეკულარულობისადმი, რასაც მოწმობს როგორც თვითონ ქრისტეს, ასევე ქრისტიანობის ფუძემდებლის, პავლეს და ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანი მამის, ავგუსტინეს, პოზიცია. მეტიც, კეისრისა და ღმრთის უფლებამოსილების არეების გამოყოფა იმთავითვე დასავლური ქრისტიანობის განმსაზღვრელ პრინციპად იქცა, რადგან სხვა მიმდინარეობებისაგან ქრისტიანობას სწორედ მისი სეკულარულობა განსხვავებდა. ამავ დროს, ზუსტად სეკულარული პრინციპის თანმიმდევრულმა ერთგულებამ განაპირობა ქრისტიანობის გადარჩენა განსხვავებულ ისტორიულ კონტექსტებში.

თუმცა სწორედ ქრისტიანობის ამგვარი არსებითი მიდრეკილების გამო სეკულარულობისადმი, საკმაოდ მარტივი და მეტად ხელსაყრელი გახდა ქრისტიანობის მითვისება პოლიტიკის მიერ. როდესაც რომის იმპერიის დაშლის შემდგომ უკვე ფრაგმენტირებული სუვერენული ერთეულები აღმოცენდა, დასავლურმა მონარქებმა და სამთავროებმა ეკლესია საკუთარი პოლიტიკური მიზნების სამსახურში ჩააყენეს. მაგალითად, ქრისტიანობა პოლიტიკური ძალაუფლების გამყარებისა და ეფექტიანი მმართველობის შესანიშნავი მექანიზმი აღმოჩნდა კაროლინგურ სამფლობელოში, როგორც ის დღემდე არის პუტინის რუსეთშიც, სადაც მართლმადიდებელი ეკლესია, რეალურად, სახელმწიფოებრივი წესრიგის ერთ-ერთი სააგენტოა. მსგავსად თანამედროვე რუსეთისა, რომელიც ტერიტორიულად დიდია და, შესაბამისად, რთულად კონტროლირებადი, კაროლინგური მონარქიის გამონგვევაც ეფექტიანი კონტროლის დამყარებაში მდგომარეობდა. სწორედ ამიტომ, მონარქმა მის წინააღმდეგ განწყობილ სეკულარულ არისტოკრატას დაუპირისპირა ახალი, არასეკულარული არისტოკრატია – საეკლესიო პირები, რომლებიც ახლა უკვე მთელ რიგ სახელმწიფო თანამდებობებზე მოგვევლინენ.

შესაძლოა, ადრეული ქრისტიანი თეოლოგებისათვის, რომლებიც იმპერიულ კონტექსტში წერდნენ, მარტივი ყოფილიყო ღმრთისა და კეისრის არეების გამოყოფა და განცალკევება, თუმცა ეს უკვე უაღრესად რთული იყო

ფეოდალურ ეპოქაში, სადაც პოლიტიკური და სამართლებრივი კონტექსტის უმთავრესი მახასიათებელი იყო დანაწევრებული სუვერენულობა და თანმდევნი კონკურენცია პოლიტიკურ კონტროლსა და იურისდიქციაზე. შუა საუკუნეების სეკულარული აზრის კლასიკად პაპი გელასის მიერ იმპერატორ ანასტასიუს მიმართ წერილში დაფიქსირებული აზრი მიიჩნევა. როგორც პაპი წერდა, „არსებობს ორი ძალა, დიდებულო იმპერატორო, რომელთა მიერ ეს სამყარო უმთავრესად იმართება. კერძოდ, მღვდელთა წმინდა ძალაუფლება და სამეფო ძალაუფლება“. პაპი გელასი უპირატესად სასულიერო ძალაუფლებას აღიქვამდა, თუმცა აღიარებდა ძალაუფლების ორპირობას ისევე, როგორც პავლე. თუმცა, პოლიტიკური კონტექსტის—და მიხედვით, შემდგომში რომის კათოლიკური ეკლესია სწორედ ეკლესიის სულიერი და მორალური უპირატესობის თეზისს გამოიყენებდა პაპების საერო პოლიტიკური ძალაუფლების გასამყარებლად.

მიუხედავად რომაული ეკლესიის ბუნებრივი ინსტიტუციური მიდრეკილებისა ძალაუფლებისა და ფინანსური სარგებლის მოხვეჭისადმი, თეოლოგიური არგუმენტი მაინც უმთავრესად პავლესეული და ავგუსტინური პოზიციის კვალდაკვალ ვითარდებოდა. იმავს მაგალითია თომა აქვინელიც, რომელმაც მოახერხა, კოსმიური წესრიგის მისეულ სურათში ეკლესიისთვისაც და სეკულარული მთავრობებისთვისაც შეენარჩუნებინა საკადრისი ადგილი. ავგუსტინესი არ იყოს, თომისტური პრინციპების მიხედვითაც, ქრისტიანთა უმთავრეს ამქვეყნიურ საზრუნავად სეკულარული მმართველობის მორჩილება და ერთგულება ცხადდებოდა.

თუმცა, თეოლოგიური აზრის პარალელურად, ყოველთვის არსებობდა ეკლესია, როგორც ორგანიზებული ინსტიტუტი, საკუთარი პოლიტიკური და ფინანსური მიზნებით. სწორედ ეკლესიის გარდაუვალმა მიდრეკილებამ მეტი და მეტი გამოპოლიტიკურებისადმი წარმოშვა ყველაზე სერიოზული კრიზისები ქრისტიანობის ისტორიაში. სწორედ მაშინ, როდესაც ქრისტიანობა პოლიტიკურობის აპოთეოზს აღწევდა, ის უმალ განიცდიდა შიდა კრიზისს, რომელიც მასვე აზარალებდა. საბოლოოდ, ისევ ზუსტად მაღალი პოლიტიკურობის მო-

მენტში, და მის გამო, უკვე ისედაც დაყოფილი ქრისტიანული ოჯახი კიდევ უფრო მეტად დაიყო და დაიქსაქსა და დღემდე ასეა. ეს შემთხვევით სულაც არ მომხდარა.

გაპოლიტიკურება ქრისტიანობის პირველი მტერია, რადგან თვითონ ქრისტიანობა, ერთი მხრივ სეკულარულია და ორი სფეროს გამიჯვნის იდეას ემყარება, მეორე მხრივ კი, იმიტომ, რომ პოლიტიკურობა ამქვეყნიურობასთან ერთგვარ კავშირს გულისხმობს, მიწიერთა და ყოველდღიურთან შეთამაშებას. ეს კი არ არის ქრისტიანობის, როგორც ფილოსოფიის არც საქმე და არც კომპეტენციის არე. როდესაც ქრისტიანული პოლიტიკური ფორმა პოლიტიკურდება, ის ინგრევა; რაც უფრო მეტად პოლიტიკურდება ის, მით უფრო ცუდად ასრულებს ცხოვრებას, რადგან ამ პროცესში ის ქრისტიანობის არსებით ხასიათს უარყოფს. ქრისტიანობა იმთავითვე უკვე სხვა რამეა, ვიდრე სუბლუნარულ სამყაროზე, მასში არსებულ წარმავალ დროსა და უმნიშვნელო საკითხებზე კონცენტრირებული დოქტრინა.

იგივე საფრთხე ემუქრება ქრისტიანობას საქართველოში, სადაც რელიგია მეტად და მეტად გაპოლიტიკურებულია. ხშირად ვისმენთ, რომ საქართველოში „სეკულარიზმის კრიზისია“. თუმცა, ვფიქრობ, სინამდვილეში საქართველოში სხვა კრიზისი უფრო მეტად გვხვდება, ვიდრე სეკულარიზმის. ეს რელიგიურობის კრიზისია, რომელიც განპირობებულია არა მაღალი რელიგიურობით, არამედ პირიქით, რელიგიურობის დაკნინებითა და გაპოლიტიკურებით. თანამედროვე საქართველოში რელიგია პოლიტიკაში შეჭრას კი არ ცდილობს, არამედ – პოლიტიკად ქცევას. იგი ცდილობს პოლიტიკური კატეგორიების, ცნებებისა და იდეების მითვისებას და, ქრისტიანული ფილოსოფიის ნაცვლად, მათით გაძლიერებას.

ამდენად საქართველოში არსებული კრიზისი უპირველეს ყოვლისა კრიზისია რელიგიური აზრისა და შინაარსისა, რომელიც ძალასა და სიმყარეს შიგნით ვედარ პოულობს და ეძიებს სხვაგან. როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობას მისი დაბადების დროს ორი რამ გამოჰყოფდა სხვა რელიგიებისგან: ეს იყო ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის ქრისტესეული და შემდეგ პავლესეული გამიჯვნა, ისე როგორც ტომო-

ვფიქრობ, ქრისტიანობის ბედი საქართველოში სწორედ პოლიტიკასთან მიმართების ახლებურ გააზრებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მეტად გაპოლიტიკურდება ქრისტიანობა, მით უფრო მეტია საფრთხე მისი დასუსტებისა და მასთან ერთად, მართლმადიდებელი ეკლესიის დაკნინებისა.

ბრივი (იმ დროს კატეგორია „ეროვნული“ ჯერ კიდევ არ არსებობდა), პარტიკულარისტული ფილოსოფიებისაგან განდგომა და უნივერსალისტურის გამოცხადება.

საქართველოში კი, ვფიქრობ, ქრისტიანული აზრი სავსებით საპირისპირო პრეტენზიას ეფუძნება, რომელიც არის, ერთი მხრივ, პრეტენზია მიწიერი სახელმწიფოს პოლიტიკური კონტროლისა, მეორე მხრივ კი, ქრისტიანობის „გაეროვნულებისა“. მართლაც, უკვე დიდ ხანია, რაც ქრისტიანობა ჩვენში „ნაციონალიზებულია“, თითქოს სინამდვილეში არსებობდეს, ან ოდესმე ეარსება ქრისტიანობის ქართულ ეროვნულ ვერსიას. იმიტომ ჩვენში გავრცელებული ქრისტიანული აზრი ხშირად პოლიტიკურ იდეოლოგიას ემსგავსება, რომელიც უმოწყალოდ არის განძარცვული ქრისტიანული ფილოსოფიური შინაარსისგან. ის ხშირად გვიმტკიცებს, რომ ქრისტიანობა ის არის, რადაც მას ზოგიერთი აცხადებს ქრისტიანული ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ, აქ და ახლა, ეროვნულად, ადგილზე.

ნამდვილი ქრისტიანობა კი ერთია, დოქტრინული განსხვავებების მიუხედავად. ის არის არა ეროვნული, არამედ კოსმოპოლიტური ფილოსოფია, რომლის არც პრივატიზაცია და არც ნაციონალიზაცია არ შეიძლება, რადგან ქრისტიანობა არ არის სანარმო, რომელსაც გაყიდი კერძო ინვესტორზე, ვინც შემდეგ მას თავისი გემოვნების თუ პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით გადაანყობს თუ შეალამაზებს, ან რომლის „ნაციონალიზაცია“ და ეროვნულ, კოლექტიურ საკუთრებად ქცევაც შესაძლებელია, მაგრამ საბოლოო პროდუქტი იქნება არა ქრისტიანობა, არამედ რაღაც სხვა: მის საძირკველზე აღმოცენებული პოლიტიკური იდეოლოგია, ეროვნული მოძრაობა თუ საპროტესტო ჯგუფი.

როგორც ვნახეთ, ისტორიულად ქრისტიანობას ასე საერთოდ არ გაუმარჯვია. არც პავლეს და არც ნეტარ აგვუსტინეს არ უცდიათ, მიეღწიათ წარმატებისათვის ქრისტიანობის გაპოლიტიკურებით. პირიქით, მათი გამარჯვების მთავარი არსი სწორედ ქრისტიანობის მიწიერი პოლიტიკისაგან განცალკევება-

ში მდგომარეობდა, ისე როგორც ქრისტიანობის იმგვარ ძალად წარმოჩენაში, რომელსაც სახელმწიფოს დახმარება და ლეგიტიმაცია არაფერში არ სჭირდება. ხოლო ქრისტიანობის გაპოლიტიკურებით წარმატების მიღწევას საკუთარ ფინანსურ და პოლიტიკურ სარგებელზე ორიენტირებული სასულიერო ლიდერები ცდილობდნენ.

პავლემ უარი განაცხადა სახელმწიფოს მიერ რელიგიის ლეგიტიმაციის საჭიროებაზე, რადგან „სიმართლე ღვთისა“, პავლეს აზრით, კანონისაგან დამოუკიდებლად არსებობს. იგი თავისთავადია და არ საჭიროებს პოლიტიკურ მხარდაჭერას, ან რაიმე სახის კანონით გამყარებას, იქნება ის სჯულისა თუ საერო – „მართალი რწმენით იცოცხლებს“ (ეპისტოლე რომაელთა მიმართ, 1:17). თუმცა პავლემ გაიმარჯვა იმიტომაც, რომ მან ქრისტიანობა უნივერსალურ, კოსმოპოლიტურ ფილოსოფიად წარმოაჩინა და არა ვინაო ეთნიკურ თუ ტომობრივ მიმდინარეობად, რამაც საბოლოოდ ქრისტიანობის იმპერიულ რელიგიად ქცევა და მისი გაძლიერება გახადა შესაძლებელი.

ავგუსტინემ კი განაცხადა, რომ საღმრთო ქალაქია უპირატესი და არა ეკლესია, ან თუნდაც ქრისტიანული სახელმწიფო, რომელთაგან ერთიცა და მეორეც მიწიერია და წარმავალი. პავლემაც და ავგუსტინემაც, და ბევრმა სხვამ მათ კვალდაკვალ, უპირატესად დასახა საღმრთო არე, ხოლო მიწიერი და ცოდვით დაცემული არე სეკულარულ ლიდერს გადააბარა, მშვიდობისა და სოციალური წესრიგის გადასარჩენად. არც პავლე და არც ავგუსტინე არ ელოდნენ და არ აშენებდნენ ქრისტიანულ სახელმწიფოს ამქვეყნად, არამედ ემხრობოდნენ სეკულარულ წესრიგს, რომლის ნაწილიც იყო ეკლესია, როგორც მიწიერი ინსტიტუტი, რომელსაც უნდა ეზრუნა ინდივიდუალურ ხსნაზე და არა ამქვეყნიურ მმართველობაზე.

ვფიქრობ, ქრისტიანობის ბედი საქართველოში სწორედ პოლიტიკასთან მიმართების ახლებურ გააზრებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მეტად გაპოლიტიკურდება ქრისტიანობა, მით უფრო მეტია საფრთხე მისი დასუსტებისა და მასთან ერთად, მართლმადიდებელი ეკლესიის დაკნინებისა. სეკულარული პრინციპის ერგულება, რომელმაც თავის დროზე ქრისტიანობა გადაარჩინა, ერთადერთი გზაა ქრისტიანობისა

და ეკლესიისთვის საქართველოშიც, თუკი მას სურს გადარჩენა, განვითარება და ძლიერების შენარჩუნება.

მნიშვნელოვანია, ქრისტიანობის თანამედროვე მესვეურებმა საქართველოში ჯეროვნად დააფასონ პატრიარქ ამბროსი ხელაიას აზრი, რომ „რელიგია არ არის სახელმწიფოსაგან წარმოშობილი და დაწესებული. მას აქვს თავისი დამოუკიდებელი საფუძველი არსებობისა [და] მათ აქვთ სხვადასხვა სფერო მოქმედებისა.“ როგორც შემდეგ სიტყვებში პატრიარქი ამბობდა, გინდ ეკლესიისთვის ყველანაირი პოლიტიკური და იურიდიული სტატუსი ჩამოერთმიათ, „მას მაინც დარჩება ერთი სფერო თავისუფალი მოქმედებისა, ერთი კუთხე, თავისი წმიდათა წმიდა... ეს არის მისი შინაური რელიგიური ცხოვრება, რომელიც ექვემდებარება ღვთისაგან დაწესებულ ნორმებს.“ ქრისტიანი მამების კვალდაკვალ, პატრიარქი ამბროსი აფასებდა სწორედ იმას, რომ ქრისტიანობას არ უნდა სჭირდებოდეს პოლიტიკური თუ სამართლებრივი ლეგიტიმაცია სახელმწიფოსაგან, იმისათვის რომ ინარჩუნებდეს არსებით ხასიათსა და თვითმყოფადობას. და თუ სჭირდება, ესე იგი, მას პრობლემა აქვს საკუთარ თავთან. სწორედ ასეთი პრობლემის გამოხატულებაა კრიზისი რელიგიურობისა, რომელიც სიმყარეს თავის თავსა და ქრისტიანულ ფილოსოფიაში ველარ პოულობს, რის გამოც საკუთარი თავის პოლიტიკური ცნებებითა და კატეგორიებით, ანაც სახელმწიფოს მხარდაჭერით ლეგიტიმაციას განიზრახავს. ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ საქართველოს ქრისტიან მესვეურებს ხელეწიფებათ. ამისათვის კი, ვფიქრობ, ქრისტიანმა ლიდერებმა პირველ რიგში მრევლის ქრისტიანობის უმთავრეს ფილოსოფიურ და დოქტრინულ პირველსაწყისებთან დაბრუნება უნდა მოახერხონ.

ექვგარეშეა, რომ მრავალი ფარისეველი კვლავ განაგრძობს სეკულარულობის არსებობად ანტიქრისტიანულ ფენომენად წარმოჩენას. ამიტომ, წერილის ბოლოს, მათ იესოს სიტყვებს დაუფტოვებ. მარკოზის სახარების იმავე თავში, სადაც იესო ქრისტე სეკულარულ პრინციპს აყალიბებს, იგი კითხვას მიუგებს ფარისევლებს: „იმიტომ ხომ არ სცდებით, რომ არც წერილს იცნობთ და არც ღმრთის ძალას?“ (მარკოზი, 12:24). ■



მედიკალიზაცია

25 წელი და 60 თეთრი

სახელი და გვარი: თეიმურაზ ხაბაერიძე
დაბადდა: 54 წელი
პროფესია: ავანტი
ხელფასი გაფიცებამდე: ხელფასი 366 ლარი
ხელფასი გაფიცების შემდეგ: ხელფასი 391 ლარი და 60 თეთრი
შახტის მუშაობის გამოცდილება: 28 წელი
სამუშაო გრაფიკი: თვეში 20 დღე, დღეში 9-საათი.
ოჯახური მდგომარეობა: მარტინა, შვილი, 10 წლის ვინო.

ინტერვიუ ტყიბულში გაფიცვის მეთოთხმეტე დღეს ჩვენს რედაქციას. მემბეტები ჯერ კიდევ იბრძოდნენ, იბრძოდნენ ხელფასის გაზრდისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის. გარეთ, წვიმასა და სიცივეში იდგნენ და ერთმანეთს ამხნეებდნენ. თეიმურაზ ხაჭაპურიძე გაფიცულების მასიდან შემთხვევით ამოვარჩიე. თავიდან უარი მითხრა – დავიღალე ლაპარაკით, ძალა მაქვს გამოცლილი, მაგრამ რამდენიმე წამში გადაიფიქრა.

დღეს გაფიცვა დასრულებულია. შეთანხმების მიხედვით, მუშებს კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ხელფასს 7%-ით, აპრილიდან კი კიდევ 3%-ით გაუზრდის. მუშები გაფიცვიდან მეთექვსმეტე დღეს მინისტრებში, შახტში დაბრუნდნენ.

16 წლის ვიყავი შახტში მუშაობა რომ დავიწყე. 1978 წელი იყო. სკოლა დავამთავრე თუ არა ვგრევე. თავიდან მინის ზედა სამუშაოზე ვმუშაობდი. ერთ წელიწადში ჯარის დრო მოვიდა, წავედი. მერე იყო ომი, ტრავმები ფეხზე. ჭრილობა რომ მოვიშუშე, ისევ შახტს დაეუბრუნდი, ოღონდ, უკვე მინის ქვეშა სამუშაოებს. პარალელურად, ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ძალიან დიდი ხანი ელმავლის მემანქანე ვიყავი, ვიყავი მნგრეველიც. მერე შახტი დაიხურა და უკრაინის ცირკში, ადმინისტრატორად მოვეწყვე, 2006 წელს კი ისევ მინის ქვეშ დავბრუნდი. რამდენიმე წელია, გამგორედ ვმუშაობ, ნახშირი გამომაქვს გარეთ.

ამდენი წელია, მუშაობთ შახტში. რა იყო ადრე?

ზოგადად, ჩვენი პროფესია ძალიან რთულია. ტყიბულის შახტები სხვა კატეგორიისაა; აქ ყველა შენი ქმედება სიცოცხლეზე გადის, ერთი შეცდომა და უფსკრულში ხარ; დიდი ყურადღებაა საჭირო; ელემენტარული ნორმების ცოდნა, მაგალითად, არ შეიძლება სიგარეტის მოწევა. მაგრამ ადრე დაფასებაც სხვანაირი იყო. არ იფიქროთ, რომ კომუნისტურ პერიოდს მივტირი, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ ჩემი პროფესია გაცილებით მეტად იყო დაფასებული. ამას ჰაერზე არ ვამბობ, მაგალითად, იყო პერიოდი, თუ შახტში მათ საჭმელს არ წავიღებდი, შიგნით არ მიშვებდნენ – კარგად უნდა იკვებო, რომ კარგად იმუშაო. იყო განსაკუთრებული კვების დღეები, ხორცი, თევზი. ახლა? ახლა საკვებს ჩვენ თვითონ ვყიდულობთ, არ გვექნება და სულ არ აინტერესებს ადმინისტრაციას, მშიერი კუჭით ვიმუშავენ თუ არა. გარდა ამისა, თუ სამსახურში

დასვენების დღეებში გამომიძახებდნენ, ან სანარმოს ჩემი შრომა დამატებით სჭირდებოდა, აუცილებლად ანაზღაურებდნენ. იყო პენსია, მაშინ 220 ლარი დიდი ფული იყო, არავის არ ჰქონდა მუშახტისნაირი პენსია. წესი იყო ასეთი, 20 წელი თუ სანგრევი მუშაობდი, რა ასაკისაც არ უნდა ყოფილიყავი, პენსია გენიშნებოდა. ახლა კი 65 წლამდე, მგონი, ბევრი ვერც აღწევს.

ახლა ხელზე 366 ლარს იღებთ. როგორ ანაწილებთ ამ თანხას?

დის ქმარი მყავს საზღვარგარეთ, ის რომ გაჭირვებაში არ მეხმარებოდეს, ხანდახან ისეთი მდგომარეობა მაქვს, ალბათ, თავს მოვიკლავდი. ჩემს შვილს ხან რა სჭირდება ხან რა. ინგლისურზე მინდა ვატარო. კომპიუტერი არ ჰქონდა, მეზობელთან გადადიოდა ხოლმე. ჩემი ხელფასით კრედიტს ვერ გამოვიტანდი, ახლობელს ვთხოვე და ახლა ყოველთვე 120 ლარს ვუხდი. დარჩა 246 ლარი ხო? აბა რა გითხრათ? – კომუნალურები, საკვები, ცალკე ჩემი შახტში ყოფნის დროს საჭირო კვების ფული, სახლიდან თუ ვერ მიმაქვს, მალაზიაში ძეხვს და პურს ვყიდულობ ხოლმე. თვეში 20 სამუშაო დღე, 9-საათიანი რეჟიმით ვმუშაობ და ერთხელ კვება მაინც მჭირდება. სახლში 80 წლის ავადმყოფი მამა მყავს, მარტო შარშან სამი ოპერაცია გაუფკეთე. კაცი პანაშვიდზე რომ ვალით წახვალ, სხვა რაღაზე ვილაპარაკო, არ ვიცი. ზუსტად ამ გაჭირვებას მიჰყავს ადამიანი გალოთებადმე, ამას მოჰყვება ოჯახების დანგრევა და კონფლიქტები.

როგორ დაინყო პროტესტი?

ეს მუხტი მუშახტებში ძალიან დიდი ხანია არსებობს. უსამარ-

თლობას ყოველთვის ვხედავდით, მაგრამ, ძირითადად, უკმაყოფილება ჩვენ შორის რჩებოდა, ან დირექტორთან ვჩიოდით. ბოლოს ძალიან დავილაღეთ. გაფიცვის იდეა ჩემი პოზიციის ხალხისგან წამოვიდა, ვისაც ყველაზე დაბალი ხელფასი გვქონდა; მერე სხვებიც გვერდით დავიდგინე. გალიზიანებას ისიც ემატებოდა, რომ ადმინისტრაციას ჩვენთან შედარებით ათჯერ და ასჯერ დიდი ხელფასი ჰქონდა. პრემიებსაც ისევ თვითონ იწერდნენ; არ იყო არანაირი დანამატი, ნახალისება, ადამიანები სხეულის დაზიანებებს იღებდნენ და როგორც კი შრომისუუნაროები ხდებოდნენ, კომპანია მათ ივინყდებდა, არანაირ პენსიას არ უხდიდა. ასეთი დამოკიდებულებით, შრომას ინტერესი დაუკარგეს. მე რომ გისრულებ გეგმას და ჯილდოს შენ იღებ, მეორეჯერ რაღატომ უნდა ვიყო სამსახურში პასუხისმგებელიანი? ამიტომ ვთქვით, რომ ეს უნდა დასრულდეს. ჩვენ გვინდა ღირსეული ანაზღაურება, ღირსეული შრომის პირობები, დაფასება და ოჯახების კეთილდღეობა.

გაფიცვის მეთოთხმეტე დღესაც იმავე პოზიციაზე ხართ? მზად ხართ, ბოლომდე დაიცვათ თქვენი ინტერესები?

ძალიან დავილაღეთ, ფიზიკურადაც და მორალურადაც. მარტივი არაა ეს ყველაფერი, მაგრამ გმონია, რომ ჯერ კიდევ შეგვიძლია კომპანიას გავაგონოთ ჩვენი ხმა და ვუთხრათ, რომ მონობა ცუდია! დღეს მონობის დრო აღარაა!

სოლიდარობა მუშებს! მუშა და არა მონა! – ამ შეძახილებით გაფიცვის მეთორმეტე დღეს სტუდენტურ

გაერთიანებებთან ერთად მეშახტე-ები „ჯი-აი-ჯის“ ადმინისტრაციის შენობაში შეიჭერით და მათგან თქვენს მოთხოვნებზე პასუხის გაცემა ითხოვთ...

კი, ეს ღამე მგონია, რომ ცოტათი სახიფათო, მაგრამ უცილებელი იყო. მიხარია, რომ მშვიდობიანად დასრულდა ყველაფერი, მაგრამ ვითარების დაძაბვის საფრთხე არსებობდა. ძალადობის წინააღმდეგი ვარ და ეს იმ ღამესაც გამოჩნდა, მაგრამ ვინმე ნასვამი რომ ყოფილიყო, შეიძლება, ჩვენი გაფიცვა სავალალოდ დასრულებულიყო. ჩვენს მხარეს არავინ დაიჭერდა და ისევ ოლიგარქები იხეირებდნენ. ხალხი დაღლილია, გაღიზიანებული და არაფერი იყო გამორიცხული, მაგრამ გამოსაფხიზებლად ძალიან კარგი ნაბიჯი იყო.

მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეშახტეებს სამუშაო პროცესში კარს უკეტავენ. საუბარია ასევე მძიმე სამუშაო პირობებზე, ტრავმები და სიკვდილიანობა დიდია...

კარის ჩაკეტვის შემთხვევები ჩემი თვალთ მინახავს. ეს მიწის სახელობის შახტში ჩვეულებრივი ამბავი იყო. სამუშაო პირობები მძიმე რომ არის, ამას შახტში დამარცხების სტატისტიკაც აჩვენებს. დამარცხება, ასე ვეძახით ტრავმას ან სიკვდილს, რომელიც ტყიბულელებს უკვე აღარც კი გვიკვირს. რა თქმა უნდა, შახტი თავისთავად საშიში ადგილია, არავინ არაფრისგან არაა დაზღვეული. არც კომპანიას შეუძლია, წინასწარ განსაზღვროს აფეთქების რისკი. ვერ დავითვლი, რამდენი ადამიანი დაშავებულია და მომკვდარა ჩემს თვალწინ, მაგრამ ზუსტად ამის გამოა, რომ კომპანია სოლიდა-

რობას უნდა გამოხატავდეს, უნდა ადარდებდეს ჩვენი ბედი, უნდა დაგვიფასოს ასეთი მძიმე შრომა. სულ იმის მეშინია, შახტიდან რომ ვერ ამოვიდეთ, რას იზამს ჩემი ოჯახი, ჩემი 10 წლის ბიჭი, რომელიც ახლა იწყებს ცხოვრებას.

გინდათ, რომ თქვენმა ბიჭმაც შახტში იმუშაოს, მომავალში?

არავითარ შემთხვევაში. ამის ძალიან მეშინია. ყველაფერს ვიზამ, რომ ისწავლოს და აქედან წავიდეს. მამაჩემი სამთოველი იყო, ჩემი ძმაც შახტში მუშაობდა, მაგრამ თავი დაანება, ახლა 200 ლარად ჭადრაკს ასწავლის. დაბალი ხელფასი აქვს, მაგრამ სწორადაც იქცევა, ჩემი აზრით. არც ის უსურვებს თავის შვილს შახტში მუშაობას და სწორიცაა.


თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ასეთ ვითარებაში ვის მხარეს დგას ახლა?

ამ პროცესებიდან გამომდინარე, ვიტყვი, რომ მთავრობა კერძო ინტერესების დამცველი უფროა, ვიდრე ჩვენი. პირველ რიგში, არ შეიძლება ამხელა მინისქვეშა რესურსი ერთ ოლიგარქს, ერთ ინდივიდს გადასცე, რომლის სახეც კი არასდროს გვინახავს. ეს უკვე დიდი ბოროტებაა. მიდიხარ კაცი გამგებელთან, დახმარებას სთხოვ, ის კი გეუბნება – მაგის ბერკეტი არ მაქვსო. არ აქვს და ვერც ვამტყუნებ; ბოროტი კი არაა ეს ადამიანი, უბრალოდ, ასეთი წესებია ქვეყანაში და მორჩა. მაგრამ ახლა, როცა ტყიბული და არა მარტო, სოციალური აფეთქების რისკის წინაშეა, შეიძლება სახელმწიფო ისევ ასე დუმდეს და უმოქმედო იყოს? კომპანიისთვის კანონები არაფერია, ამათვის პატიოსნება ყველაზე გაუგებარი

ცნებაა. იქცევიან ისე, როგორც თვითონ უნდათ, სახელმწიფოც მათ გვერდითაა.

დაუშვით, რომ ტყიბულში შახტი ისევ დაიხურა, რა იქნება, რას იზამს მოსახლეობა, თქვენ?

დაიხურება ყველაფერი; აქ არ იმუშავენს აფთიაქი; არ იქნება მალაზიები, სხვა დაწესებულებები. წავალთ დიდ ქალაქებში, ქუთაისში, თბილისში და აქაურობა დარჩება ასე ცარიელი და გამოშინებული. ჩვენი გაჭირვება კი, სავარაუდოდ, გაგრძელდება; უსახლკაროდ ქალაქში ცხოვრება ისედაც მძიმეა; მაგრამ ეს არ უნდა დაუშვათ, ხომ ხედავთ დღეს ყველანი ერთად ვართ. მუშების სოლიდარობა გრძელდება; ჩვენთან ერთად არიან ჭიათურელი, ზესტაფონელი მუშები, მუშები რუსთავიდან; ქსანი გაფიცულია. ჩვენი უნდა ემინოდეთ. არ ვიცი, რით დამთავრება ყველაფერი, მაგრამ დამიჯერეთ, ეს ყველაფრის დასაწყისი იქნება. ამის შემდეგ გაჩუმებას აღარ ვაპირებთ, ჩვენ უკან შეილები, ცოლები, დედები, მამები დგანან.

ამ ინტერვიუდან ორი დღის შემდეგ საგაფიცვო კომიტეტი მთავრობის, პროფკავშირისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდა. მათთან ერთად 50-მდე მუშა იყო. შეთანხმება შედგა და მეორე დღით ცვლის მუშები მინისქვეშე შევიდნენ. სამწუხაროდ, ჩემს რესპონდენტთან დაკავშირება ვეღარ მოვახერხე, მაგრამ არა უშავს, მაინც ვერ გავებდავდი და ვერ ვკითხავდი, თუ რაში დახარჯავდა გაზრდილი ხელფასიდან 25 ლარსა და 60 თეთრს. 

ესაუბრა სოფო აფციაური

დაბრუნება მიწის ქვეშ

ტიბულში გაფიცვა პროტესტის მეთექვსმეტე დღეს დასრულდა. კომპანია „ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ ადმინისტრაციასთან ერთად შეთანხმებას გაფიცული მუშების კომიტეტის წევრები, მთავრობის წარმომადგენლები და პროფესიული კავშირების ხელმძღვანელი ესწრებოდნენ. კომპანიამ მუშების მოთხოვნაზე, ხელფასი 40%-ით გაეზარდა, უარი თქვა და შემოსავლის 7%-ით, აპრილიდან კი დამატებით 3%-ით გაზრდას შეჰპირდა.

ავტორი, ფოტო: სოფო ავტიაური

ჩემი ხმა ვესმით? – ტიბულში გაფიცვის მეთოთხმეტე დღეა. 28 თებერვალი. გამკაცობის შენობის წინ საგაფიცო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ხმის მოწყობილობას ამონიშნავს. მის წინ შემახტები შეუგუფებულან. მათთან ერთად დგანან სოლიდარობის ნიშნად ჩამოსული სტუდენტური გაერთიანე-

ბის წევრები, ასევე – მუშები სხვადასხვა სანარმოო ქალაქიდან. „სოლიდარობა მუშებს“, „გაიზარდოს ხელფასები“, „არა პიზნესადიტატურას“, „შრომის ინსპექცია უნარია“ – ამ ნარწერებით გაფიცულ მუშებს აქციის სხვა მონაწილეები ამხნევენ. „ხელა მელიაციის პროცესი დას-

რულდება და, საეარაულოდ, უშედეგოდ. ხელა ზესტაფონი დადგება ფეხზე, გულს ქსანი იყო, გუშინინ – ქიათურა, რა უნდა უთხრან ამ ხალხს, ერთად რომ დიპრეტინან და სახელმწიფოს ეტყვიან: ჩვენ გვმია, გენურია. ჩვენ აღარ ვართ მონები, ძალიან ცოტა დროა დარ-



25 თებერვალი. დაბრუნების ღამის 1 საათი. ცხვრულ მუშახტებს ერთზე და სამუშაო უნაირ ნდობიდან გაზრდა, ვერ კიდევ შეარად ფეხზე და აბრუნან რაისული ანაწილურბოსთვის.

ჩენილი“, – აქციის ერთ-ერთი გამომსვლელი ტყუილად მუშახტებს მიმართავს. ამის შემდეგ ნუთიერი დემილით აქციის მონაწილეები შახტში დაბრუნდნენ მუშებს პატრუს მიაგებენ და ქალაქის გავლით „ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ (საქნახშირი) ადმინისტრაციულ შენობასთან ინაცვლე-

ბენ, სადაც უკვე 15 დღეა, კარავში დღეში არ ჩამქრალა. ზუსტად სამი დღის წინ აქ ჩმაური იყო. მუშები წვიმას და სიცოცხემ დაახლოებით ოთხი საათი ვანდაციის სამინისტროს, საგაფიცო კომიტეტისა და კომპანიის ადმინისტრაციის წარმომადგენლების შეხვედრის შედეგებს ელოდებოდნენ. 10

საათი იყო, საგაფიცო კომიტეტის წევრმა რუბორი მომხარვედა, ხელში თაბახის ორი ფურცელი ეჭირა. თვალზე ყველას მისკენ ჰქონდა მიმართული: „მხარეები თანმდებიან მასხედ, რომ „საქნახშირი“ ორი თვის განმავლობაში განახორციელებს ყველა შესაძლო გონიერულ ქმედებას

კომპანიაში დანერვილი სახელფასო სისტემის გადახდვისა და ოპტიმიზაციის მიზნით. კომპანია შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით, ყველა გონივრულ ქმედებას მიმართავს. გაფიცვის პერიოდში გაცდენილი საათები ანაზღაურდება გამოყენებულ/გამოსაყენებელი შედეგების ხარჯზე. - კითხულობს საჯაროდ კომიტეტის წევრი.

რამდენიმე წამში, მოულოდნელად, მის გვერდით მდგომი გაფიცული მუშა თაბახის ფურცელს კომიტეტის წევრს არემივს და შუაზე ხეხს:

„გვატყუებენ!“, „ეს არაა შეთანხმება!“, „ეს მუშების დაცინვა!“.

იმ ღამეს გაფიცულები, სტუდენტური გაერთიანების წევრებთან ერთად ადმინისტრაციის შენობაში იჭრებიან. გაბრაზებულები არიან. გაფიცულებს შორის კომპანიის ფინანსურ დირექტორს, ზურა გენლიძეს ხედავთ, ცდილობს, მასაში გზა გაიკვილოს და შენობიდან გაივას.

იმ დამპ აქციის მონაწილეებმა ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ გააცნეს თავიანთი მოთხოვნები. იყო ემოციური საუბრები და ბევრი უკმაყოფილო, თუმცა შენობა დაახლოებით ერთ საათში პოლიციის მოიხიფითი დატოვეს.

ადმინისტრაციის შენობაში შეკრის შემდეგ მუშახატებში გაფიცვის მუხტი უფრო მეტად გაძლიერდა. შეხოთმეებ დღეს გამკვირის შენობასთან, აქციასზე მუშახატები ერთობად აღინიშნავენ, რომ ბრძოლის ბოლომდე გააგრძელებენ:

„ახლა უკან დახვევა აღარ შეიძლება. სირცხვილია 366 ღარზე ასეთ ქიმე სამუშაოზე მუშაობა. უკან ჩემი შვილი, მისი შვილი, ჩვე-



„ახლა ჩემი ხელი გაფიცარი მშობლიანია“, - 25 თურქული ღამე მუშახატების და სტუდენტის ადმინისტრაციის შენობა პოლიციამ დატოვეს.

■ სტუდენტური გაერთიანების წევრებთან ერთად ადმინისტრაციის შენობაში იჭრებიან. გაბრაზებულები არიან. გაფიცულებს შორის კომპანიის ფინანსურ დირექტორს, ზურა გენლიძეს ხედავთ, ცდილობს, მასაში გზა გაიკვილოს და შენობიდან გაივას.

ნი მშობლები და მეუღლეები დგანან“, - შეუბნება აფიცული თურქულურა ხაქაუროძე.

მეორე დღეს, 29 თებერვლიდან მოვლენები (ცვლდება. დილიდან არსამთავრობო ორგანიზაციისა და სტუდენტური გაერთიანების წევრები მუშების მიმართ ძალადობის შესახებ ინყებენ საუბარს. სოციალურ ქსელებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ მუშებზე აფიკოლოზიერი ხელისუფლების წარმომადგენლები ზეწოლას ახდენენ და გარკვეულ დათმობებზე ნასვლას

ურყვენ. შუადღისთვის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან საგაფიცო კომიტეტის წევრების, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, პროფკავშირების ხელმძღვანელის, ზონისმფარველისა და ადვოკატიური ხელისუფლების მუხევერა იწყება.

ღამის პირველს ნახევრისთვის ერცვლდება ინფორმაცია, რომ მუშებზე აფიკოლოზიერი ხელისუფლების წარმომადგენლები ზეწოლას ახდენენ და გარკვეულ დათმობებზე ნასვლას ფასის 40%-ით გაზრდასთან დაკავშირებით უგულებელყოფილია.

კომპანია მზადაა, მუშახატებს ხელდასი 7%-ით, აპროლოდან კი 3%-ით გაუზარდოს. შეთანხმებაში საუბარია შრომის პირობების გაუმჯობესებაზეც, თუმცა ძალიან ზოგადად და გრძელვადიანი გეგმებით.



„ახლა ჩემი ხელი გაფიცარი მშობლიანია“, - 25 თურქული ღამე მუშახატების და სტუდენტის ადმინისტრაციის შენობა პოლიციამ დატოვეს.

ღამით, 12 საათზე, 16-დღიანი გაფიცვა წყდება და ტყუილული მუშები შახტში ბრუნდებიან.

დღურ ზოსიაშული გაფიცვის მეთორმეტე დღეს გამკვირის შენობაში 2011 წლის გაფიცვის შემდეგ ადმინისტრაციის თანამშრომელმა პროტესტის გამო გაათავისუფლა. ერთი შვილი შყვის. ისიც მუშახატე. ექვსი წლის წინ მიწდელის სახელობის შახტში აფეთქება მოხდა და დემურის შვილი 27 დღე ქუთაისის საავადმყოფოში აპარატზე იყო შეერთებული. აფეთქების დროს მასთან ერთად სხვა მუშახატებიც იყვნენ ოთხი მათგანი აფიკოლზე დაიღუპა: „აფეთქების შემდეგ ჩემს შვილთან რომ მივედი, ისეთი დასაინიზებელი იყო, ძლიერ ვიციანი. შახტში სამუშაოზე აღადგინეს, მაგრამ პერიოდულად ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. მისი წერტილება არ შეიძლება, ძალიან ცუდად ხდება ხოლმე“, - მუხებნება დემურ ზოსიაშული.

მისი მეგობარია მთვე მუშახატე აეთადელ ასათიანი. ისიც შახტთან დამარცხებული, როგორც თეთრი უნეოდებენ ტრამეებს. მერე 9 თვე შევებულებაში იყო, მკურნალობდა. ახლა კარგად გრძობს თავს, მაგრამ თავში

ხელობის შახტში აფეთქება მოხდა და დემურის შვილი 27 დღე ქუთაისის საავადმყოფოში აპარატზე იყო შეერთებული. აფეთქების დროს მასთან ერთად სხვა მუშახატებიც იყვნენ ოთხი მათგანი აფიკოლზე დაიღუპა: „აფეთქების შემდეგ ჩემს შვილთან რომ მივედი, ისეთი დასაინიზებელი იყო, ძლიერ ვიციანი. შახტში სამუშაოზე აღადგინეს, მაგრამ პერიოდულად ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. მისი წერტილება არ შეიძლება, ძალიან ცუდად ხდება ხოლმე“, - მუხებნება დემურ ზოსიაშული.

ავეთქების დროს მოხვედრილი პლასტმასის წანსხვენი აქვს ჩარჩენილი: „ვერავფრს ვტყვი, მკურნალობა მილიანად დამოხინანსა კომპანიაში, ექვისთვისაც კი გამოიყო 200 ღარი, მაგრამ მერე პენსიას აღარ გვააქვენ და იძულებული გახვეთ. შახტში დავგრუნებულყავი. ამ წუთს არ მაქვს ჯანმრთელობის პრობლემები, თავში ზედმეტ მასას თუ არ ჩავთვლით, მაგრამ ეს როდის ირებს თავს, კაცმა არ ივის“. ოთხი წლის წინ 1200 ღარი ჰქონდა ხელყვანი. ნელ-ნელა შეუვიცრდა და ახლა 800 ღარს იღებს. 54 წლისაა, სამი ზრდასილი შვილი შყავს, სამივე უმუშევარი. ამბობს, რომ გაფიცვა სამართლიან და უფრო დაბლანაზღაურებად მუშებს მათი მხარდაჭერა სჭირდებათ.



„უკან დასახვევი გზა არ გვაქვს, შახტში არ ჩავალთ, სანამ პირობები არ გაუმჯობესდება“, – მეუბნებოდა გაფიცვის მეთორმეტე დღეს ავთანდილ ასათიანი.

„საქნახშირის“ ადმინისტრაციის შენობის მოპირდაპირე მხარეს ოთხართულიანი კორპუსის მეორე სართულზე ხათუნა კეკელია ქმარსა და სამ შვილთან ერთად ცხოვრობს. მისი ქმარი სანგრევის მუშაა, აფხაზეთის ომის ვეტერანი და დევნილი.

შემოსავალი – 500 ლარი. რამდენიმე წლის წინ 1200 ლარსაც იღებდა, თუმცა ნელ-ნელა კომპანიამ შემოსავალი შეუმცირა.

ხათუნა იხსენებს, რომ ამ თანხით შედარებით უკეთ ცხოვრობდნენ, ალებული ჰქონდათ კრედიტები და სტუდენტი შვილის სწავლის გადასახადისთვის ფულის სესხება არ უწევდათ.

„ბავშვების ნორმალური კვებისთვის არაფერი გვრჩება. ტყიბულში ისედაც მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა, დაბინძურებულია ჰაერი, კანალიზაციის სისტემა მოშლილია, ბინძურ წყალს ვსვამთ. ხან ერთი მიხდება ცუდად, ხან მეორე. იმუნიტეტი დაქვეითებული აქვთ. შიმშილზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ბავშვებს ხომ უნდათ ხანდახან რძე, კარაქი, ხორცი. მოზარდობის ასაკი აქვთ და ჯანმრთელობის მხრივ ხელის შეწყობა უნდათ“.

ხათუნა ქალაქში საავადმყოფოს გაუმართავ მუშაობაზეც საუბრობს. ამბობს, რომ რამდენიმე წლის წინ საავადმყოფოში გაუქმდა გარკვეული მომსახურებები და ახლა მხოლოდ ამბულატორია მუშაობს:

„რამე სერიოზული დაავადება თუ აქვს ადამიანს, ქუთაისში ან ზესტაფონში უნდა წავიდეს.

მოუნესრიგებელია ინფრასტრუქტურა; ექიმებს დაბალი ხელფასი აქვთ და მომსახურებაც ასეთივე დაბალია. ასეთი სანარმოო ტრავმების რისკის ქვეშაა მთელი ტყიბული და ჩვენ კიდევ ასეთი სამედიცინო მომსახურების ანაბარად ვართ დარჩენილები“, – ამბობს ხათუნა კეკელია.

გაფიცვების დროს ქმარს გვერდით უდგას. თვითონ ბავშვებთანაა, ქმარი სხვა მემხატეებთან ერთად ღამე კარავში მორიგეობს.

დემურ ზოსიაშვილი გაფიცვის მეთორმეტე დღეს გამგეობის შენობის წინ აქციაზე გავიცანი. 74 წლისაა. 45 წელი შახტში, მნგრეველად მუშაობდა. ამბობს, რომ სამსახურიდან 2011 წლის გაფიცვის შემდეგ ადმინისტრაციის თანამშრომელმა პროტესტის გამო გაათავისუფლა.

2011 წლის 3 თებერვალს შპს „საქნახშირსა“ და საქართველოს პროფკავშირებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის შესახებაც ინფორმაცია 2016 წლის 26 თებერვალს საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტმა, თამაზ დოლობერიძემ გაავრცელა. დოკუმენტის მიხედვით, კომპანია იღებდა ვალდებულებას, რომ ყოველი წლის ბიუჯეტის განხილვისას „ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ ინფლაციის მაჩვენებელს გაითვალისწინებდა და ეს დასაქმებულთა ხელფასზე აისახებოდა.

შეთანხმება არ შესრულებულა და განსაკუთრებულად აქტუალური ტყიბულის ბოლო გაფიცვის დროს გახდა.

პროფკავშირები ამ შეთანხმებიდან 5 წლის შემდეგ სამართლებრივ დავას სასამართლოში აპირებენ.

ბოლო გაფიცვის დროს, რომელიც ტყიბულში 13 თებერვალს დაიწყო, გაფიცულები მთავრობის მხარდაჭერასა და მედიაციის ეფექტიან პროცესს მოითხოვდნენ. ასევე მოითხოვდნენ სამმხრივი კომისიის შეკრებასა და შრომის პოლიტიკის შესახებ დისკუსიის გამართვას. კომპანიის ადმინისტრაციას

ციას რამდენჯერმე ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი შეხვდა, ტყიბულში იყო ჩასული საქართველოს ომბუდსმენი, უჩა ნანუაშვილი და პრეზიდენტის მრჩეველი, კახა კოჭორიძეც. „ჯი-აი-ჯის“ ფინანსურმა დირექტორმა, ზურაბ გენელიძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ „ბუნებაში შეუძლებელია მემხატეების ხელფასის 40%-ით გაზრდა, რადგან საერთაშორისო ბაზარზე ნახშირის ფასი დაცემულია და კომპანიას ფინანსური კრიზისი აქვს“.

ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში კომპანიის ადმინისტრაცია გაფიცულთა კომიტეტის წევრებს, ჯანდაცვის სამინისტროს, შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პაატა ჟორჟოლიანს, საქართველოს



„ჩვენ დღეს არ ვართ მარტო! ჩვენ გვერდით არიან ჭიათურელი მალაროელები, მუშები ზესტაფონიდან, რუსთაიდან, ქსნიდან. სტუდენტებიც აქ არიან. სოლიდარობა მუშებს“, – მემახტეების აქციების ქრონიკიდან.

პროფკავშირების ხელმძღვანელს, ირაკლი პეტრიაშვილსა და მის მოადგილეს, გოჩა ალექსანდრიას, ასევე ტყიბულის დეპუტატს, ელისო ჩაფიძეს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენს, გიორგი გახარიას შეხვდა. სწორედ ამ დღეს შეწყდა მემახტეების გაფიცვა. კომპანია მათ ხელფასის 7%-ით, აპრილიდან კი 3%-ით გაზრდას დაჰპირდა.

თუმცა, რის საფუძველზე გაუზარდა კომპანიამ მუშებს ხელფასი მხოლოდ 10%-ით და წარუდგინა თუ არა შესაბამისი დამადასტურებელი ფინანსური მონაცემები შეთანხმების სხვა მხარეებს? ამის შესახებ „ლიბერალი“ ჯანდაცვის სამინისტროს

წარმომადგენელს, პაატა ჟორჟოლიანს ესაუბრა. მისი განმარტებით, კომპანიას ამის ვალდებულება არ ჰქონდა, რადგან ის კერძოა და მისი ფინანსური მდგომარეობა კომერციული საიდუმლოებაა.

„კომპანიამ თქვა, რომ მეტის საშუალება არ აქვს და მას სიტყვაზე უნდა ვენდოთ. ეს იყო კრიტიკული ვითარება, სადაც ორივე მხარეს უნდა დაეთმო. ამ შემთხვევაში კომპანიაც წაგებაზე წავიდა და მუშებსაც რალაცის დათმობა მოუწიათ. შეიძლება ეს მემახტეების შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა არაა, მაგრამ ზოგიერთისთვის ესეც დიდი ნაბიჯია“, – ამბობს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.

არასამთავრობო ორგანიზაცია EMC-იმ მემახტეებთან ინტერვიუების საშუალებით დაადგინა, რა რაოდენობის ხელფასი აქვთ მემახტეებს პოზიციების მიხედვით. ყველაზე დაბალი შემოსავალი გამგორესთვის 368 ლარია, რომელსაც ნახშირი გარეთ გამოაქვს. მაქსიმალური კი ნახშირმომპოვებელ უბანში მწვრეტელისთვის 1000 ლარია.

ხელფასის ზრდა მემახტეების ერთადერთი მოთხოვნა არ ყოფილა. გაფიცვის პერიოდში ისინი ყურადღებას შრომის პირობების გაუმჯობესებაზეც ამახვილებდნენ. შეთანხმებაში ამაზეცაა საუბარი, თუმცა დაკონკრეტებული არ არის, რა მოკლევადიანი გეგმები აქვს კომპანიას. „ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ ადმი-



16 დღე „საქნახარბი“ აღმინისტრაციის შენობის გათვლით კარსაგან დახურული არ ჩაქვრივია. აქ შესასტევი მორიგებითი აღინიშნა.

ინსტრუქციული დირექტორი. ნინო ჯორჯენაძე ალბერტოლანო საუბარში აცხადებს, რომ შრომის პირობებზე ზრუნვა სახელმწიფო ორგანიზებისა და კოლექტივის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ ჩაივლის. გაძლიერდება კომუნიკაცია პერსონალსა და კომპა-

ნიის მენეჯმენტს შორის, პოლიტიკის ხელმძღვანელების უშუალო ჩართულობით, რაც მომავალში რაიმე სახის დაძაბულობასა და გაურკვევლობას საფუძველი აღმოფხვრის. პაატა ფორფოლიანის ინფორმაციით კი, შრომის პირობების მონი-

ტორინგის დეპარტამენტი 2 მარტს სანარმოს ნებართვის საფუძველზე უკვე შევიდა შახტების შესამოწმებლად და რამდენიმე თვეში მათ დეპარტამენტი შესაბამის რეკომენდაციებს გადაუზღავს. სანარმო დაგვირდია, რომ შრომის



გაოცვის განახლებაში ძალიან თვითნებურად, ვერც, შეუძლებს, მასპუტელს ამ უარყოფით ტერიტორიულ შესაბამის გეოლოგი უფრო.

■ „ბავშვების ნორმალური კვებისთვის არაფერი გვრჩება. ტყიბულში ისედაც მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა, დაბინძურებულია ჰაერი, კანალიზაციის სისტემა მოშლილია, ბინძურ წყალს ვსვამთ. ხან ერთი მიხდება ცუდად, ხან მეორე. იმუნიტეტი დაქვეითებული აქვთ. შიმშილზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ბავშვებს ხომ უნდათ ხანდახან რძე, კარაქი, ხორცი. მოზარდობის ასაკი აქვთ და ჯანმრთელობის მხრივ ხელის შეწყობა უნდათ“.

პროცედურებსა და შემდეგ მოვლენებს აფასებს და ამბობს, რომ მიუხედავად არ ყოფილა 29 დეკრეტის მხარეებს შორის შეთანხმება; ამ დღეს დღიდანვე იგრძნობოდა, რომ ცველა მარცხ შეცვალა სტრატეგია, სანარმო ნინა დღეს კონსტრუქციულ საუბრობდა და ამბობდა, რომ შახტებში კრიზისი იყო. ეს იყო სახელმწიფოს მიმართ ბოლო სიგნალის გაშვება; გარდა ამისა, დღიდან გზადვლით, ორგანიზაციის ურსტი ლინა ლეონიანი შეთანხმების დამოკიდებულება, მაშინ როდესაც მიუღი ორი კვირის განმავლობაში, გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე აბსოლუტურად ლიად გამოხატავდნენ მუშების მოთხოვნების მიმართ სრულ მხარდაჭერას, დღიდან მუშების საითიად არმუნებდნენ, რომ სანარმოს შეთავაზება მიღლით“.

ლინა ლეონიანის თქმით, ბერ შეკითხვას ბავდეს ისიც, როგორ დარწმუნდნენ მხარეები, რომ კომპანისა სხვა შესაძლებლობა

არ ჰქონდა: „მედიატორის მიზანი სწორედ ის უნდა ყოფილიყო, რომ ენახათ კომპანიის ხარჯი, შემოსავალი, დოკუმენტები და გადანყვეტილება ამის შემდეგ მიეღოთ. სხვა მხრივ, ბევრი ეჭვი და შეკითხვა ჩნდება ამ შეთანხმების მონაწილეების მიმართ. წინა დღეს ჩვენ ვნახეთ აქცია, სადაც მუშები ბრძოლისთვის მზად იყვნენ, 24 საათში კი მოვლენები დრამატულად იცვლება და ისინი კომპანიის კაბალურ შეთანხმებას ხელს აწერენ. თან აღსანიშნავია, რომ ამ დროს პროცესებში არაა ჩართული გაფიცულების დიდი ნაწილი. მათ მხოლოდ მეორე დღეს გაიგეს, რომ გაფიცვა დასრულდა და სამუშაოზე უნდა დაბრუნებულიყვნენ“.

EMC-ის იურისტი მოვლენების ასეთ განვითარებაში სახელმწიფოს უმოქმედობის შედეგებს ხედავს. აღნიშნავს, რომ გაფიცვის დღიდან მუშები მთავრობის ჩართულობას და ეფექტიან მედიაციას ითხოვდნენ, რომელსაც ორი მექანიზმი ჰქონდა. ერთი მედიაცია, რომელიც უფრო ლოკალური და ინდივიდუალური მოლაპარაკებებისთვისაა საჭირო და მეორე, სამხრეთი კომისია, რომელიც სამთავრობო დონის, პოლიტიკური ფორუმია.

„საბოლოოდ, სახელმწიფომ გამოიყენა სპეციალურად ტყიბულისთვის შექმნილი მექანიზმი, შერეული ფორმატი, სრულიად გაუგებარი, სადაც მთავრობა ფაქტია, რომ ჯერ ცდილობდა, დაბალი რანგის მოხელეებით მოეგვარებინა საქმე, ბოლო დღეს კი ბიზნესომბუდსმენი ჩართო პროცესებში. ამ ადამიანებს კი არ ჰქონდათ ეფექტიანი მედიაციის არც გამოცდილება და არც კომპეტენცია“, – ამბობს ლინა.

რაც შეეხება შეთანხმების შემდეგ პროცესების მონიტორინგს, ლვინიანიძე ამბობს, რომ ამ პირობების შესრულების გარანტორი არის პირველ რიგში საწარმო, მაგრამ თუ ის უარს იტყვის, მის აღსრულებაზე პასუხისმგებლობა დანარჩენ მხარეებს ეკისრებათ და ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე პროფკავშირებია:

„თუ სათუო გახდება ამ ხელშეკრულების შესრულება, პრო-

■ გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაკისრებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს, საქმე სასამართლოში წავა.

ფკავშირმა სასამართლო დავა უნდა დაიწყო. ოღონდ ეს არ უნდა გაინელოს დროში, როგორც მოხდა 2011 წლის შეთანხმების დროს. ამ შეთანხმების გასაჩივრება მათ გაცილებით ადრე შეეძლოთ“.

გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაკისრებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს, საქმე სასამართლოში წავა.

მისივე თქმით, კომპანიას მეტის დათმობა შეეძლო, მუშების მიმართ უფრო მეტი კეთილგანწყობა რომ გამოეჩინა. მუშები კი ამ შეთანხმებას იმიტომ დასთანხმდნენ, სხვა გზა არ ჰქონდათ. პეტრიაშვილი ხაზს უსვამს შეთანხმების პროცესში პროფკავშირების ჩართულობის მნიშვნელობასაც:

„ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, მოლაპარაკებები ჩიხში შევიდო-

და. მუშებს სახე ჰქონდათ უკვე დაკარგული; მათ უკან ოჯახები იდგა და უამრავი საბანკო ვალდებულება იყო. ამიტომ შეიძლება, ზოგისთვის მომატებული 30 ლარი არაფერს ნიშნავს, და ასეთები ცოტანია არიან, მაგრამ ზოგისთვის ოჯახის უზრუნველსაყოფად 87 ლარიც კი მნიშვნელოვანია“.

„ლიბერალის“ შეკითხვაზე, რას საფუძველზე ამბობს კომპანია, რომ კრიზისი აქვს, ფინანსუ-

რი დირექტორი ზურა გენელიძე გვპასუხობს: „მაშინ, როცა 2014-2015 წლებში მოპოვებული ნახშირის მოცულობა შეადგენდა 450 000 ტონას წელიწადში, 2016 წლისთვის საპროგნოზო მოპოვება განსაზღვრულია 360 000 ტონით“.

„ჯი-აი-ჯის“ ადმინისტრაციული დირექტორი ნინო ჯორბენაძე მოლაპარაკებების პროცესში მთავრობის წარმომადგენლების პოზიტიურ როლს უსვამს ხაზს, თუმცა პროფკავშირების მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი:

„მათი მხრიდან გარკვეული მტკიცება იყო, ვითარების რადიკალიზაციის გზით პროცესში თავიანთი როლი წამოეჩინათ, რაც არაფრით განასხვავებდა მთელი რიგი არასამთავრობოებისგან, რომლებიც დაძაბულ გარემოში წმინდა წყლის პოპულიზმით იყვნენ დაკავებულები“, – აცხადებს ჯორბენაძე.



გაფიცვის შეწყვეტის წინა დღეს მეშახტეები თანხმდებოდნენ, რომ ბრძოლას ბოლომდე მიიყვანდნენ. ტყიბულის ქუჩებში ამ დღეს ხმაზალაი შეძახილები ისმოდა: „ტყიბულელებო, გამოდით თქვენი სახლებიდან და გვერდით დაგვიდექით“.

მეშახტეების გაფიცვამდე რამდენიმე დღით ადრე, 5 თებერვალს მუშები გაიფიცნენ ქსანშიც. სააქციო საზოგადოება „მინის“ 170-მდე თანამშრომელს სამი მოთხოვნა ჰქონდა: ხელფასის 30%-ით მომატება, კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების უფლების მიცემა ადგილობრივი და დარგობრივი პროფკავშირისთვის და საწარმოს ტერიტორიაზე საოფისე ფართის გამოყოფა ადგილობრივი პროფკავშირისთვის. გაფიცვის 30-ე დღეს, მოლაპარაკებების შედეგად კომპანიამ მუშებს მოთხოვნილი 30%-ის ნაცვლად ხელფასის 7,5%-ით გაზრდა შესთავაზა. ასევე, დააკმაყოფილა მათი მოთხო-

ვნა პროფკავშირისთვის ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით. კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებაზე კი მუშაობა აპრილიდან დაიწყო და ძალაში შევა 2017 წლის პირველი იანვრიდან. შეხვედრას ესწრებოდნენ ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი პაატა ჟორჯოლიანი, რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე და გაერთიანებული პროფკავშირის წარმომადგენელი თამაზ დოლაბერიძე.

ლინა ლვინიანიძე, EMC-ის იურისტი ამბობს, რომ ბოლო გაფიცვების მოვლენებმა კარგად დაგვანახა, რამდენად პრობლემატურია დღეს ქვეყანაში შრომის პოლიტიკა:

„მიუხედავად ტყიბულის გაფიცვის შედეგებისა, მნიშვნელოვანია, რომ მათი დახმარებით, კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში დასაქმებულების პრობლემები საქართველოში. არაა გამორიცხული ეს ტალღა სხვა საწარმოო ქალაქებსაც მოედოს, მაგრამ პრობლემები, რომელიც დიდი ინდუსტრიული ქალაქების გარდა, სხვა პატარა კერძო და საჯარო დაწესებულებებშიცაა, ისევე აქტუალური და მოუგვარებელია, ამიტომ ამ გაფიცვების შემდეგ მთავრობა უნდა დაფიქრდეს, როგორი აუცილებელი და დროულია დასაქმებული ადამიანების ფუნდამენტურ უფლებებზე ზრუნვა და ღირსეული შრომის პირობების შექმნა“, – ამბობს ლინა ლვინიანიძე. □

როგორი პრემიერია გიორგი კვირიკაშვილი?

ჯერ არ გასულა 100 დღე, რაც გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში მუშაობას შეუდგა. იგი მთავრობის სათავეში არც საკუთარი განდით მოსულა და არც ამ ფორმაციის მინისტრთა კაბინეტის მისთვის უცხო. მან განსხვავებული სასტარტო პოზიციიდან დაიწყო, ამიტომ ეს მოკლე დრო მის, როგორც პრემიერის, შესახებ გარკვეულ სურათს ქმნის.

დათო გამყონა



როგორც პირველზე ხანში გამოჩნდა, პრემიერმა ფორმების ცვლელზე გააკეთა აქცენტი და პოლიტიკური ტემპერატურის დანება განიზრახა. ახალი პრემიერი განიანსარებულად ესაუბრება პოლიტიკურ ოპონენტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგრამ მისი საქმიანობის შეფასების განმარტებელი იქნება შედეგი – ამ შეტყებდრებზე წამოყრდნობისთვის გადაჭრის ხარისხი. თუკი მშვიდ გარემოში მყდლობას ითვისებდა შედეგად არ მოეჩინეთ.

ვევლავ მეტ აქტიურობას კვირიკაშვილი ეკონომიკის მმართველობით იჩენს. მან თავისი ზედე განეთარების თით მმართველად დახარისხა. პირველი ითვალისწინება საგადასახადო რეფორმას, რომელიც მთავრობის განცხადებით, მოიცავს ე.წ. ტანტონურ მოდელს – მხოლოდ განაწილებული მოდების დაბეჭდვას (რეინვესტირების შემთხვევაში, ბიზნესი მოგების


გადასახადისგან გათავისუფლებდა). გარდა ამისა, კომპანია, რომელიც ძირითად საშუალებებს (მანქანა-დანადგარებს) იყენებს, მისი იმპორტისა და გარდასახადის დღეს თანხა.

კვირიკაშვილი ეკონომიკური დანამულის დეკრიმინალიზაციის ინიციატივაც გამოიღო. იგი ცვლელურებს საგადასახადო ადმინისტრაციებს გამარტებულის მხრივაც გვეგებს.

ეკონომიკური საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით იქნება შესაძლებელი; საგადასახადო შემოსემებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო შეტყებს და არა საგამოიებო სამსახური. მაგრამ, ჯერჯერობით, არც ერთი დადგენილი ცვლელბა არ მოვლიათ.

საშუალო ადგილების შექმნასა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტრებული მმართველბა ასევე მოიცავს სახელმწიფო პროგრამას „ანარბო საქართველოში“ (მთავრობის გადაწყვეტლებით, პროგრამაში ჩართვისთვის, სახელმწიფოსგან 10%-იანი თანადფინანსების მისაღებად, სესხის მინიმალურმა ზდეგრამა 150 000 აშშ დოლარიდან 75 000 აშშ დოლარამდე დიონა). მის განმარტებებს კი წარმოადგენს – „უმსახინდე საქართველოში“ (სასტუმრო ინფსტრუქციის ხელშეწყობა, გარდათილისა და ბათუმში) და „კადაიდე საქართველოში“ (კონინფსტრუქციის ნახადისება).

კვირიკაშვილის რეფორმის ერთ-ერთი ბლოკი გულისხმობს რეგიონების განვითარებას, რაც მისი შეფასებით, ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი უნდა იყოს პრემიერი გვირდება, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი გარდევა იგვეტება – სრულიად ახალი გზა აშენდება ქუთაისიდან აბასთუმნის, ასევე ქუთაისი-სვანეთის მმართველობით, ახალი გზა დააკვირებს გომას და რაჭასაც. ამასთან, აპირებს ცენტრალური ატმობანის მშენებლობის ტემპის დაჩქარებას.



საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) თანადამფუძნებელი სერგი კაპანაძე მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გიორგი კვირიკაშვილის საქმიანობის შეფასება ჯერ ძალიან ადრეა.

აღსანიშნავია, რომ კვირიკაშვილის ინფრასტრუქტურული გეგმა საზოგადოებას შედეგებს 2020 წლისთვის სთავაზობს, რაც ბუნებრივია, მომდევნო საარჩევნო (2016-2020) ციკლზეა გათვლილი.

პრემიერის პრიორიტეტს, აგრეთვე, წარმოადგენს პროფესიული განათლების გერმანული მოდელის დანერგვა.

შეფასებები

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) თანადამფუძნებელი სერგი კაპანაძე მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გიორგი კვირიკაშვილის საქმიანობის შეფასება ჯერ ძალიან ადრეა.

„მისი საქმიანობის შესაფასებლად საკმარისი დრო არ გასულა და ამიტომ სამართლიანი ვერ ვიქნები. ახალ პრემიერ-მინისტრს ვერც დადებითად და ვერც უარყოფითად ვერ შევაფასებ“, – უთხრა „ლიბერალს“ სერგი კაპანაძემ, – „განსხვავებით წინა პრემიერისგან, რომელზეც პირველივე დღეებში შემქმნელი მეთქვა, რომ უარყოფითად ვაფასებ, იმიტომ, რომ ბევრი შეცდომა დაუშვა, მათ შორის, გამოიჩინა არასწორი განცხადებებით. ახლანდელი პრემიერის შემთხვევაში საბედნიეროდ, ასე არ არის. მგონია, რომ წინა პრემიერი ზოგადად ჩვენს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პრემიერი იყო. იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით გიორგი კვირიკაშვილზე. მაგრამ, საკმარისი დრო არ გასულა იმისათვის, რომ მისი, როგორც პოლიტიკოსის დადებით და უარყოფით თვისებებზე ვისაუბროთ“.

სერგი კაპანაძის თქმით, ერთ-ერთი, რაც კვირიკაშვილს წინა პრემიერისგან განასხვავებს, არის ის, რომ საერთაშორისო პარტნიორებს ის გაცილებით მეტად მოსწონთ. „ეს აშკარად იგრძნობა. გიორგი კვირიკაშვილი უფრო წარმოსადგეგია და მას უფრო სწორი გზავნილები აქვს“, – მიიჩნევს სერგი კაპანაძე.

წინასაარჩევნოდ გიორგი კვირიკაშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ ელექტო-

რალურ ლიდერად ქცევის შესაძლებლობის შესახებ საუბრისას სერგი კაპანაძე აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერი კვლავ ბიძინა ივანიშვილია.

„პრემიერ-მინისტრის შეცვლის გადწყვეტილება ბიძინა ივანიშვილმა მიიღო. ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადწყვეტილებას ივანიშვილი იღებს. აქედან გამომდინარე, შენიღბვა იმისა, რომ კოალიციას სხვა ლიდერი ჰყავს, ჩემი აზრით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა“, – ამბობს კაპანაძე. მისი თქმით, კვირიკაშვილს წინა პრემიერთან შედარებით მეტად აქვს შანსი, რომ დამოუკიდებელად იმოქმედოს, მაგრამ საბოლოო ჯამში, „ქართული ოცნება“ მაინც ბიძინა ივანიშვილს ექვემდებარება.

როგორც კაპანაძე ამბობს, წინა პრემიერთან შედარებით გიორგი კვირიკაშვილის მიმართ უკეთესი მოლოდინი არსებობს, რადგან ძნელია, იყო უარესი.

სერგი კაპანაძის განცხადებით, პრემიერები ინტობიან და ფასდებიან კრიზისების შედეგად, ჯერ კვირიკაშვილი მნიშვნელოვანი კრიზისის წინაშე არ ყოფილა, რომლითაც მისი შეფასება იქნებოდა შესაძლებელი.

„რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის დაპირისპირება შესაძლოა, კრიზისად იქცეს, მაგრამ ჯერ არ არის. ამასთან, ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებს „რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებთან“ შეხვედრას, ვხედავთ, რომ ისევე მასთან წყდება ყველაფერი. აი, როგორ დამთავრდება ეს პროცესი, იქიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ვიმსჯელოთ“, – აცხადებს სერგი კაპანაძე.

გიორგი კვირიკაშვილის საქმიანობის შესაფასებლად, ჯერჯერობით, ყველაზე მეტ სივრცეს მისი ეკონომიკური ინიციატივები ტოვებს. იმის გამო, რომ განსაკუთრებული ხელშესახები შედეგები ჯერ არ გვაქვს, საჭიროა, ვიმსჯელოთ მის ეკონომიკურ ხედვაზე.

ეკონომისტი სოსო არჩვაძე „ლიბერალთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ კვირიკაშვილმა საქმიანობა საკმაოდ პოზიტიურად

დაიწყო. მისი თქმით, ის, რომ პრემიერი ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენელია, მის შედარებით განონანსორებულობასა და ეკონომიკური საკითხების გადაჭრაზე ფოკუსირებას განსაზღვრავს.

თუმცა სოსო არჩვაძის აზრით, მხოლოდ პრემიერის სურვილსა და ინიციატივაზე არ არის დამოკიდებული ეკონომიკაში წარმატების მიღწევა.

„ნათქვამია, „მეფის როლს თამაშობს ამაღლა“, ამიტომ საზოგადოების მხრიდან ამ რეფორმების მიმართ განწყობა, მონდომება და კრეატიული დამოკიდებულება მეტწილად განაპირობებს ჩვენი წინსვლის მასშტაბებსა და დინამიზმს. ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ხელს თუ არ შეუწყობს, არ შეუშალოს მაინც აღნიშნულ მიმართულებას“, – ამბობს არჩვაძე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ჟორჟოლიანის თქმით, მთლიანობაში კვირიკაშვილის წარმოდგენით, განვითარება ინკლუზიური უნდა იყოს და იგი საზოგადოების წარმომადგენლების ფართო ჩართულობას უჭერს მხარს. კერძოდ, ბიზნესის წარმომადგენლებთან აქვს ხშირი შეხვედრები, როგორც ჟორჟოლიანი ამბობს, სასარგებლო იქნებოდა, თუკი პრემიერი შეხვედრებს გააგრძელებს და დასაქმებულთა ინტერესებსაც მოისმენს. „ვფიქრობ, ასეც იქნება, სრული ჩართულობა უნდა იყოს“, – უთხრა „ლიბერალს“ გია ჟორჟოლიანმა.

პრემიერ-მინისტრის ეკონომიკური საქმიანობის შეფასებისას „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი აცხადებს, რომ მთავრობაში ძალიან დიდ ხანს გრძელდება დისკუსიები და ცოტა საქმე კეთდება. „ამ მცირე და საშუალო ბიზნესს რად უნდა პრემიერთან შეხვედრები. უნდა გამოაჩინონ, რა კარგი მთავრობაა?! ან რა მიზანს ემსახურება?! თუ მთავრობა ადეკვატურ ნაბიჯებს დგამს, ბიზნესი ამას ისედაც მშვენივრად იგებს“, – ამბობს ჯანდიერი. მისი თქმით, ნელი ნაბიჯების შემთხვევაში, ინვესტორები სხვაგან წავლენ, ამიტომ მკვეთრი და სწრაფი მოქმედებებია საჭი-

რო. როგორც ჯანდიერი ამბობს, ინვესტორებმა უნდა დაინახოს, რომ ქვეყანაში საგადასახადო ლიბერალიზაცია შემთხვევითი ღონისძიებები არ არის და მას გრძელვადიანი ხასიათი აქვს.

„ანარმოე საქართველოში“

სოსო არჩვაძე ეკონომიკის სისუსტის გამო გარკვეულ ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისთვის პირველი ბიძგის მიცემას მიესალმება და ამბობს, რომ პრემიერს მცირე, საშუალო ბიზნესი არ დავინწყებია. როგორც ეკონომისტი აცხადებს, „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში მცირე ზომის ბიზნესპროექტების მხარდაჭერის გადანყვეტილება მისასალმებელია. „სანამ ავადმყოფია, წამლები უნდა მიცვეთ, მაგრამ ჯანმრთელისთვის წამლის მიცემამ შესაძლოა, უკუეფექტი გამოიღოს. იმ დროს, როცა ეკონომიკა ფეხზე დადგება და დამოუკიდებლად შეძლებს გავლას, რა თქმა უნდა, ზედმეტი ჩარევისგან უნდა გავათავისუფლოთ“, – ამბობს არჩვაძე.

გია ჟორჟოლიანი სახელმწიფო პროგრამას „ანარმოე საქართველოში“ და მის ახალ კომპონენტებს მსოფლმხედველობრივ ჭრილში აფასებს.

„ეს არის აქტიური სახელმწიფოს გამოხატველი. ეს ნიშნავს სახელმწიფოს უშუალო მხარდაჭერას ეკონომიკური სფეროებისადმი. ვისურვებდი, ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო მიზანმიმართულად გავრცელდეს ინდუსტრიის სფეროზე“, – უთხრა „ლიბერალს“ გია ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმირებაა საჭირო და დასაქმების ძირითად ადგილად არ უნდა დარჩეს კვლავ სოფლის მეურნეობა, სადაც დღეს მუშახელის 55%-ზე მეტია დასაქმებული და მშპ-ს მხოლოდ 9% ინარმოება. ამ დასაქმებულთაგან უდიდესი წილი თვითდასაქმებულია, რომელიც სამსუხაროდ, ხშირად არასასაქონლო, არამედ ნატურალურ მეურნეობას ეწევა.

„მოდერნიზების, ფერმერული მეურნეობის განვითარების შემთხვევაში, ეს

■ „ნათქვამია,
„მეფის როლს
თამაშობს
ამაღლა“, ამიტომ
საზოგადოების
მხრიდან ამ
რეფორმების
მიმართ განწყობა,
მონდომება და
კრეატიული
დამოკიდებულება
მეტწილად
განაპირობებს
ჩვენი წინსვლის
მასშტაბებსა
და დინამიზმს.
ხელისუფლების
ამოცანა უნდა
იყოს ის, რომ ხელს
თუ არ შეუწყობს,
არ შეუშალოს
მაინც აღნიშნულ
მიმართულებას“,

■ **გია ჯანდიერის**
შეფასებით,
კვირიკაშვილის
საგადასახადო
ინიციატივა მოგების
გადასახადის
მიმართულებით
ბევრ პროცედურას
გულისხმობს და
მანცდამანც
დადებითი
შთაბეჭდილება არ
დატოვა. ჯანდიერის
თქმით, თუ
მთავრობა ფიქრობს,
რომ მოგების
გადასახადი ცუდია,
მაშინ გააუქმოს.

ხალხი გამოთავისუფლდება და ეკონომიკაში ის სფერო უნდა გაჩნდეს, სადაც ისინი დასაქმდებიან. ეს არის ინდუსტრია“, – ამბობს ჟორჟოლიანი, – „ევროპაშიც კი, სადაც ინდუსტრია ჩვენზე გაცილებით განვითარებულია, სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატებმა მოამზადეს დიდი პროგრამა (3000 მილიარდი უნდა იქნას მობილიზებული), რომლის მიხედვით, 2020 წლამდე ევროკავშირის მშპ-ში ინდუსტრიის ხვედრითი წილი 15%-დან 20%-მდე უნდა გაზარდონ. ეს სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია და კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულების მხარდაჭერას ნიშნავს. საქართველოშიც მხარდაჭერის პროგრამები უნდა გაუმჯობესდეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავიანთი როლი შეასრულეს. მთავრობის ნაბიჯების მასშტაბები არასაკმარისია და ამ მიმართულებით მეტი თანხის მობილიზება უნდა მოვახერხოთ“.

როგორც ჟორჟოლიანი ამბობს, შექმნილია ინდუსტრიის განვითარების სპეციალური ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილებით და რაოდენობრივად ჯერ სუსტია. დეპუტატის თქმით, ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა მრეწველობის მიმართულების მხარდაჭერაა.

კვირიკაშვილის ინიციატივებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება აქვს გია ჯანდიერს. იგი პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობის წინააღმდეგია. ჯანდიერმა „ლიბერალს“ უთხრა, რომ საქართველოში სასტუმროს მომსახურება ძალიან ძვირია. მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად, თურქეთში ის გაცილებით იაფია.

„ამ პროგრამის მიხედვით, ჩვენს მიერ გადახდილ გადასახადებს ვილაცას ჩუქნიან. ამ ნაბიჯით, მთავრობა ჩვენ გვეუბნება, რომ ფულს, რომელსაც თქვენ, ვილაც დოკლაპიები გადასახადში იხდით, ამ ხალხს ვჩუქნით, რომლებიც შეიძლება, გაცილებით დოკლაპიები

არიან, მაგრამ ჭკვიანები აღმოჩნდნენ და პროგრამის რიგში ჩაენერნენ. მდიდარი ქვეყანა რომ ვიყოთ, გასაფლანგი ფული გვეკონდეს, კი ბატონო, მაგრამ მთავრობა თუ ფიქრობს, რომ გადასახადები მაღალია, უბრალოდ დანიონ იგი და ეს ბიზნესს ბიძგს ავტომატურად მისცემს – მათ შორის, ისეთი მიმართულებებით განვითარდება, როგორიცაა, „ანარმოე საქართველოში“, ხუმრობით, რომ ვთქვათ, „დაპატიჟე საქართველოში“, „აქეიფე საქართველოში“ და სხვა ყველაფერს. უბრალოდ შეესრულებინათ ის გეგმა, რომლის მიხედვით 2015 წლისთვის ყველა გადასახადი უნდა შემცირებულიყო“, – ამბობს ჯანდიერი.

ამიტომ, ჯანდიერის თქმით, სჯობს, მთავრობამ რალაცების გამოგონებისგან ხელი აიღოს. ეკონომიკის განვითარებისთვის კარგი ის არის, რომ მთავრობამ ცოტა ხარჯოს და მეტი ფული დაუტოვოს ბიზნესს. „ეს ნიშნავს, რომ შეამცირონ გადასახადები და თავიანთი ხარჯი. ეს ფული ეკონომიკაში პირდაპირ დატრილდება, რაც მარტივი ფორმულაა და ყველგან მუშაობს, მათ შორის საქართველოში. ის ბიზნესი, რომელიც ასეთი რეფორმის შემდეგ შეიქმნა, დღესაც მშვენივრად მუშაობს. ბიზნესს მთავრობის ბიძგი არ სჭირდება“, – აცხადებს გია ჯანდიერი.

საბადასახადო რეფორმა –
ე.წ. ესტონური მოდელი

„ამერიკელებს აქვთ ასეთი ხუმრობა: ამერიკის ეკონომიკა ვითარდება ლამით, როცა მთავრობას სძინავს“, – გვეუბნება სოსო არჩვაძე და აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ დონისთვის, რაც მას დამოუკიდებლობის მოპოვების დროს ჰქონდა. იგი საგადასახადო ლიბერალიზაციის მომხრეა.

საგადასახადო კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებზე, მათ შორის ე.წ. ესტონურ მოდელზე საუბრისას, ჟორჟოლიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აქ საქმე ეხება



ფოტო: მერიკა აბალონი

გიორგი კვიციანიანი პირველი ტექნოლოგიური პარკის გახსნაზე, თბილისი, იანვარი 2015

რინენესტირების ხელშეწყობას. დეპუტატის შეფასებით, ეს განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა საბიუჯეტო შემოსავლების დანაკლისის გამოიწვევს და, როგორც ჟორჟოლიანი ამბობს, ამის კომპენსირების გზების შესახებ პრემიერს ესაუბრა: ეს ეხება მმართველობის ოპტიმიზებას (რაც სრულ დანაკლისს ვერ უზრუნველყოფს), გარდა ამისა, სხვა გზებზეც არის ფიქრი. „ამის ბოლომდე განალიზების გარეშე, ცვლილებები ძალში არ შევა“, – ამბობს ჟორჟოლიანი.

გია ჯანდიერის შეფასებით, კვიციანიანის საგადასახადო ინიციატივა მოგების გადასახადის მიმართულებით ბევრ პროცედურას გულისხმობს და მაინცდამაინც დადებითი შთაბეჭდილება არ დატოვა. ჯანდიერის თქმით, თუ მთავრობა ფიქრობს, რომ მოგების გადასახადი ცუდია, მაშინ გააუქმოს.

„ამ აზრის დასაბუთების ნაცვლად, რასაც ახლა ლაპარაკობენ, ინვესტიორს თუ ეტყვი, რომ საქართველოში მოგების გადასახადი აღარ იქნება, უამრავი ვიღაც დაინტერესდება იმით, რომ ქვეყანაში კიდევ ერთი გადასახადი აღარ იარსებებს“, – ამბობს ჯანდიერი. მისი შეფასებით, საგადასახადო სისტემაში უფრო დიდი პრობლემები არ-

სებობს, რის შესახებაც 15-16 ნელია, ხმა-მაღლა საუბრობენ და მთავრობა უყურადღებოდ ტოვებს.

„მაგალითად, ის, რომ საგადასახადო ორგანოებს ზედმეტი უფლებამოსილებები აქვს, რომლითაც ისინი უამრავი ადამიანის უფლებებს არღვევენ. გეგმური საგადასახადო შემონემა ნიშნავს იმას, რომ ვიღაცამ საგადასახადო სამსახურში გეგმა დაწერა, რომ ბიზნესი უნდა შეამონე. მათ ჩვენს წინააღმდეგ არც მტკიცებულება და არც ეჭვები აქვთ, მაგრამ რადგან გეგმური ჰქვია, მიაჩნიათ, რომ ამ თემაზე დავაც კი არ შეიძლება. ეს რას ნიშნავს? უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც კონსტიტუციის ნაწილია, აღარ მუშაობს?! ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე რაღაცას მბრალეობ. არაგეგმური შემონემა უფრო მისაღებია, რადგან შესაძლოა, სასწრაფოდ რაღაც ეჭვი გაჩნდეს და ამიტომ იყოს შემონემა საჭირო“, – აღნიშნავს გია ჯანდიერი და განაგრძობს, – „როგორც ცნობილმა აუდიტორმა, ირაკლი შავიშვილმა თქვა, საგადასახადო ორგანოს შენი და შენი კონკურენტების შესახებ უამრავი დოკუმენტი უჭირავს და კარგად შეუძლია, გაშიფროს, მართლა გაქვს თუ არა მოგება და აჩვენებ თუ არა სწორ ბრუნვას.“

■ ვინ უნდა იყოს
შეფასებით,
კვირიკაშვილის
სადგინაზადო
რჩევითა და მოგების
გადსაზადის
მიმართულებით
ბევრ კრიტიკურას
წვლისებ
მანდატის
დადებით
შეამტყვილება არ
დატოვა. ვინ უნდა
იქნას, აუ
შეაფრება დიქტონ
რომ მოგების
გადსაზადის
მანდატის

ახბილთა

დავან სანამხიოროს ბახეშე



შესაძლოა, ბევრმა თქვენგანმა არ იცის, რომ კერძო დავის გადასაწყვეტად ყოველთვის სასამართლოში წასვლა საჭირო არ არის. უკვე მეექვსე წელია, საქართველოში კერძო არბიტრაჟი მოქმედებს. დავების გადაწყვეტის ამ ალტერნატივას სასამართლოსთან შედარებით რამდენიმე დადებითი მხარე აქვს, თუმცა დაბალი ნდობისა და არბიტრთა მწირი გამოცდილების გამო, ამ ინსტიტუტს არც ისე ხშირად მიმართავენ. ვითარება ვერც 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა შეცვალა, რომელმაც კანონში მნიშვნელოვანი სიახლეები შეიტანა. იურისტთა ნაწილი ამ ინსტიტუტის აუცილებლობაზე საუბრობს, ნაწილს კი მიაჩნია, რომ მას განვითარების პერსპექტივა არ აქვს.

ქეთევან ლვედაშვილი

თუკი თქვენი ბიზნესპარტნიორი შეთანხმებას არღვევს ან სამშენებლო კომპანიას ფული გადაუხადეთ, ის კი დიდი ხანია, თქვენს კუთვნილ ბინას არ გაბარებთ, თქვენ სამართლებრივი დავის ორი გზა გაქვთ – დარღვეული უფლებების აღსადგენად და ქონებრივი ზარალის ასანაზღაურებლად ან სასამართლოს უნდა მიმართოთ, ან კერძო არბიტრაჟს.

თუკი მეორე გზას აირჩევთ, შედეგს სასამართლო დავასთან შედარებით ბევრად ნაკლებ დროში მიიღებთ. თუ სასამართლოს სამ ინსტანციაში დავას 1-1,5 წელი დასჭირდება, საარბიტრაჟო დავისთვის კანონით მხოლოდ 180 დღე, ანუ 3 თვეა განსაზღვრული და მხოლოდ გამოჩენის შემთხვევაში შეიძლება დამატოს კიდევ 3 თვე.

საარბიტრაჟო დავა იმ შემთხვევაშიც მოსახერხებელია, თუკი საკუთარ ან კომპანიის იმიჯზე ზრუნავთ და არ გსურთ, სხვა პირსა თუ კომპანიასთან თქვენი უთანხმოების შესახებ ვინმემ შეიტყოს. კონფიდენციალურობას, მტკიცებულებებისა და დოკუმენტების შინაარსის გაუმჟღავნებლობას მხარეებსა და არბიტრაჟს კანონი ავალდებულებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საარბიტრაჟო დავისთვის არბიტრს/არბიტრებს თავად ირჩევთ, რადგან

კანონი არ განსაზღვრავს, ვინ შეიძლება გახდეს არბიტრი. შესაბამისად, შეგიძლიათ, დავის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ისეთ ადამიანს მიანდოთ, ვის ობიექტურობასა და პროფესიონალიზმშიც ეჭვი არ გეპარებათ. კანონით მინიჭებული ეს თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევაში, როცა დავა სპეციფიკური საკითხების ცოდნას მოითხოვს, მაგალითად, სამშენებლო, საზღვაო ან ეკონომიკური დავები, სადაც იურიდიულ განათლებაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკისა და საზღვაო სფეროს ცოდნაა. ასეთი სპეციფიკური განათლება კი მოსამართლეებს არ აქვთ.

კერძო არბიტრაჟისადმი ნდობის ასამაღლებლად და ამ ინსტიტუტის დასახვენად 2015 წელს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა. კანონპროექტზე იუსტიციის სამინისტროსთან ერთად საქართველოს ბიზნესასოციაციაც მუშაობდა. კანონის ახალი ვერსიით, საარბიტრაჟო დავას მხარეები შეთანხმების საფუძველზე ირჩევენ. ამასთან, ხელშეკრულებაში თავიდანვე უნდა გაიწეროს, ვინ განიხილავს მას. მანამდე მხოლოდ ზოგადად იყო მითითებული, რომ დავა შეიძლება, არბიტრაჟს განეხილა. კონკრეტული

არბიტრი კი დასახლებული არ იყო.

საკანონმდებლო ცვლილებებით, არბიტრაჟზე სასამართლოს კონტროლი შემცირდა. თუკი მანამდე სააპელაციო სასამართლო დავის შინაარსშიც ერეოდა, ახლა ის მხოლოდ პროცესუალურ ნორმებს ამოწმებს, ხომ არ დაირღვა ისინი. აქამდე თუ არბიტრაჟის გადაწყვეტილება სასამართლოში საჩივრდებოდა, ახლა ის საბოლოოა და სასამართლოს მხოლოდ მისი ცნობა და აღსრულება ევალება.

საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, ადვოკატი როინ მიგრიული, რომელიც საარბიტრაჟო

ვინ ვერ გახდება არბიტრი

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არბიტრად დანიშვნა მხოლოდ იმ პირს შეიძლება აეკრძალოს, რომელიც:

- 1) შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიღებია;
- 2) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელეა;
- 3) მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენისთვის და ნასამართლეობა მოხსნილი/გაქარწყლებული არ აქვს.

დავისას არბიტრიც ყოფილა და მხარის წარმომადგენელიც, მიიჩნევს, რომ ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობა ჯერ კიდევ ძალიან დაბალია და მომავალში მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ამის მიზეზად კი რამდენიმე ფაქტორს ასახელებს.

როინ მიგრიაულის შეფასებით, პირველი, რაც ნდობაზე მოქმედებს, არბიტრების პროფესიონალიზმია. ადვოკატი ამბობს, რომ დღეს საქართველოში არბიტრებად ახალგაზრდა ადვოკატები, ყოფილი ან ამჟამინდელი მოსამართლეები მუშაობენ, რომლებმაც სასამართლო სისტემაში ადგილი ვერ იპოვეს. ადვოკატის შეფასებით, არბიტრს დიდი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა ჰქონდეს.

„ლონდონის ერთ-ერთ არბიტრაჟში მივიღე მონაწილეობა, ექსპერტიც ვიყავი და მხარის წარმომადგენელიც. იქ არბიტრი თმაშვერცხლილი, ჭალარა ადამიანია, რომელმაც თავისი კარიერა განვლო, იყო მოსამართლე ან ადვოკატი და როცა ამოწურა საქმიანობა, არბიტრი მერე გახდა. მის მიმართ დიდი ნდობაა. ის მოუსყიდავია. მეც ვყოფილვარ არბიტრად მიწვეული და მგონია, რომ ჩემი არბიტრობაც არაა სწორი. მე მაშინ უნდა მიმიწვიონ, როცა ჩემს საადვოკატო კარიერას ამოწურავ.“

როინ მიგრიაული მიიჩნევს, რომ ამ ინსტიტუტს სანდოობას არბიტრაჟებში ობიექტურობის დონეც უკარგავს, რადგან ბევრი მათგანი ბანკების ან რომელიმე კერძო კომპანიის მიერაა შექმნილი. შესაბამისად, ისინი კერძო დავისას მხოლოდ ამ არბიტრაჟებს მიმართავენ, ამ დროს კი მეორე მხარეს სამართლიანობის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ადვოკატი არ გამოორიცხავს, რომ რომელიმე მხარეს, დროის გაყვანის მიზნით, დავის სასამართლოში განხილვა უნდოდეს. თუმცა მიგრიაული

ამბობს, რომ მაშინაც კი, როცა მხარეს საქმის დროულად დასრულება სურს, მაინც სასამართლოს მიმართავს, რადგან მის მიმართ უფრო მეტი ნდობა აქვს და დღეს სასამართლოების გადატვირთულობა სწორედ ამაზე მეტყველებს.

როინ მიგრიაული მიიჩნევს, რომ არბიტრაჟის ინსტიტუტისადმი ნდობის მოსაპოვებლად კანონში ცვლილებები უნდა შევიდეს და გაინეროს, ვის აქვს საარბიტრაჟო საქმიანობის უფლება და ვინ შეიძლება გახდეს არბიტრი. ამასთან, უნდა გახანგრძლივდეს გადაწყვეტილების დაწერის ვადებიც, რათა

პარტიკული არბიტრაჟი

საქართველოს არბიტრთა ასოციაცია (GAA) 2013 წლის 22 აპრილს დაფუძნდა. მისი მიზანი საქართველოში არბიტრაჟის განვითარება და არბიტრთა თვითრეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბებაა.

შპს „დავების განმხილველი ცენტრი“ (DRC) 2008 წელს შეიქმნა. ის მოქალაქეებსა და კერძო კომპანიებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს, არბიტრაჟსა და მედიაციას სთავაზობს.

არბიტრაჟმა მისი უკეთ დასაბუთება შეძლოს. ადვოკატი ლონდონის ერთ-ერთ არბიტრაჟს იხსენებს, სადაც გადაწყვეტილება განხილვის დასრულებიდან ერთ წელიწადში დაინერა.

„არბიტრაჟში რომ შედიხარ, უნდა იგრძნობოდეს, რომ შედიხარ დაწესებულებაში, სადაც სამართალს იპოვი. მას სასამართლოზე ნაკლები სოლიდურობა არ უნდა ჰქონდეს.“

უნდობლობისა და არაობიექტურობის გამო, როინ მიგრიაული უკვე 2 წელია, არბიტრაჟში არ ყოფილა.

მისი თქმით, ამავე მიზეზით, ის მხარეს ყოველთვის სასამართლოსთვის მიმართავს ურჩევს.

მიზეზი, რამაც არბიტრაჟის მიმართ უნდობლობა წარმოშვა, ბიზნესასოციაციის იურიდიული ანალიტიკოსის, ნიკა ნანუაშვილის შეფასებით, ცუდი წარსული მეხსიერებაა, როცა სადარბაზოებში იმართებოდა დავა და არბიტრები კერძო პირებისა და კომპანიების ინტერესებს მიკერძოებულად იცავდნენ. თუმცა იურისტი მიიჩნევს, რომ ის დრო დასრულდა და ახლა თვითონ არბიტრებისა და არბიტრაჟის ინტერესშია, რომ მაღალი სანდოობითა და რეპუტაციით სარგებლობდნენ.

„კერძო არბიტრაჟი ბიზნესია. მე თუ ვიქნები მაქსიმალურად დამოუკიდებელი და ობიექტური, ხვალ უფრო მეტი ბიზნესი მოვა, რომ ჩემთან განიხილონ დავა. რაც მეტი მოვა, მეტი შემოსავალი მექნება, ამიტომ არბიტრებს უნდა ჰქონდეთ ჯანსაღი ინტერესი, რასაც არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარების გზაზე თავისი ლოგიკური გაგრძელება უნდა ჰქონდეს. ამასთან, თუ არის კორუფციული დანაშაული, რაც შეიძლება მიმხრობის საფუძველი აღმოჩნდეს, არბიტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა დაიწყება.“

ნიკა ნანუაშვილი ამბობს, რომ 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ დავის განსახილველად კერძო არბიტრაჟს სულ უფრო მეტი კომპანია მიმართავს. ისინი კი, ვინც სასამართლოში მიდიან, რიგში დგობა უწევთ და უკამყოფილოები რჩებიან.


იურიდიული ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ არბიტრაჟი ის მომავალია, სადაც დავა უნდა გადაწყდეს. მისი შეფასებით, ამ ინსტიტუტის განვითარება ორი მიმართულებით იქონიება ეფექტს: განიტვირთება სასამართლო და უფრო დაიხვეწება კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტი. □

ტექნოლოგიური კომპანიები


TED^xTbilisi

x = independently organized TED event

17 აპრილი, 2016

 /tedxtbilisi

Tedxtbilisi.com

 Follow@tedxtbilisi

მინის პოლიტიკა

თათია ხალიანი

ქვეყანაში არსებული მინის ნაკვეთების 80% დაურეგისტრირებელია. როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე ურბანული სასოფლო მიწების რეგისტრაციის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. მუნიციპალიტეტების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, მოსახლეობას საკუთრებაში 50%-ზე ნაკლები მიწა აქვს რეგისტრირებული. მინის რეგისტრაციის რაოდენობა ყველაზე დაბალი – 5%-ზე ნაკლები რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია – მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო სამეურნეო მინის ნაკვეთებს ადამიანები ტრადიციულად ფლობენ და სარგებლობენ, დოკუმენტაციის არარსებობის, ვერმოძიების, 90-იან წლებში გაცემული დოკუმენტების ხარვეზების, ფინანსური პრობლემებისა თუ სხვადასხვა მიზეზის გამო, მიწებს ვერ ირეგისტრირებენ. თუკი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე მოქალაქისთვის შეუძლებელია მინის ნაკვეთის დარეგისტრირება, სახელმწიფოს ასეთი დოკუმენტაცია არ სჭირდება. მას მხოლოდ საჯარო რეესტრში განცხადების წარდგენით შეუძლია, დაირეგისტრიროს მისთვის სასურველი მიწა, რომელიც სწორედ ამ დაურეგისტრირებული მიწების 80%-ში შედის. რაც თავისთავად არ გამოორიცხავს, რომ ეს მიწა ვინმეს პრაქტიკულ მფლობელობაშია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მინის რეგისტრაცია არსებული მდგომარეობით მარტივად შეუძლია, ის მაინც აპირებს, ერთიანად დაირეგისტრიროს ყველა ის მიწა, რომელზეც ვინმეს საკუთრება საჯარო რეესტრში ასახული არ არის.



თქვენ შეიძლება ბაბუის დანატოვარ მინაზე ვაზიც გააშენეთ და სიმინდიც მოგყავთ, მაგრამ ერთ დღესაც აღმოჩნდეს, რომ მინის ნაკვეთი, რომლითაც წლების განმავლობაში სარგებლობდით და საკუთრებად მიგაჩნდათ, სახელმწიფომ თავის სახელზე გაიფორმა. შესაძლებელია, თქვენი მინის ნაკვეთი საჯარო რეესტრის რეგისტრაციის ბაზაში იმითომ არ მოხვდა, რომ სახლში შესაბამისი საბუთები ვერ იპოვეთ, ვერც რაიონის არქივში, რომელიც წლების წინ განადგურდა, ან ვერ მოახერხეთ უმუშევრობის პირობებში, თანხა შეგვეგროვებინათ და მინის ასაზომად სპეციალისტები დაგეჟირავებინათ, ან კიდევ 90-იან წლებში მიღებულ დოკუმენტს პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა აკლდა, ან, უბრალოდ, არ გეგონათ, რომ ვინმე თქვენი კუთვნილი მინის მისაკუთრებას შეეცდებოდა. ჩამოთვლილი რამდენიმე მიზეზი საკმარისია იმისათვის, რომ საჯარო რეესტრს უძრავი ქონების რეგისტრაციაზე თქვენთვის უარი ეთქვა. არსებული კანონმდებლობა საგამონაკლისო წესებს არ ითვალისწინებს. თუკი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულყოფილი არ არის, ქონებას ვერ დაირეგისტრირებთ.

სახელმწიფო აღიარებს, რომ მინის რეფორმის საწყის ეტაპზე, რომელიც 1990-იან წლებში დაიწყო, ცალკეული მინის ნაკვეთების საკადასტრო აზომვის დროს დიდი რაოდენობით უზუსტობები აღინიშნა, რამაც პრობლემები შექმნა რეგისტრაციის დროს. გარდა ამისა, საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებში დაშვებული იყო უამრავი შეცდომა.

„ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩის“ იურისტი იაგო ხვიჩია ამბობს, რომ 90-იან წლებში გაცემული საკუთრების დამადასტურებელი

დოკუმენტაციის უმეტესობა ხარვეზიანია, რამდენიმე შემთხვევაში კი საერთოდ შეუძლებელია ასეთი დოკუმენტების მოძიება, რადგან რამდენიმე არქივი, მაგალითად, სამტრედიის, ფოთისა და სამეგრელოს არქივის ნაწილი, დამწვარია.

„მთელი საქართველოს მასშტაბით მფლობელობაში არსებული მინების 50%-ზე მეტ შემთხვევაში დოკუმენტაცია არ არსებობს. თუ ვინმეს აქვს წარმოდგენა, რომ ეს მინა არავის ეკუთვნის და უპატრონოა, ტყუილია.“

■ „მთელი საქართველოს მასშტაბით მფლობელობაში არსებული მინების 50%-ზე მეტ შემთხვევაში დოკუმენტაცია არ არსებობს. თუ ვინმეს აქვს წარმოდგენა, რომ ეს მინა არავის ეკუთვნის და უპატრონოა, ტყუილია.“

იაგო ხვიჩია ამბობს, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში გაცემულია რამდენიმე ტიპის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა – მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი საკუთრების მოწმობა, მებალის წიგნაკი, საკომლო ჩანაწერები და საგადასახადო სია. არც ერთ ამ დოკუმენტაციას არ ახლავს საკადასტრო ინფორმაცია, ზუსტად სად მდებარეობს ეს მინის ნაკვეთი და თითქმის ყველა მათგანი ხარვეზებითაა გაცემული.

მოუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ კარგად იცის მინის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, ის მაინც სარგებლობს

მდგომარეობით და დაურეგისტრირებელ მინებს საკუთრებაში იფორმებს.

პირველი, ვინც სახელმწიფოს მიერ მინების გადაფორმების გააქტიურების შესახებ საუბრობდა „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩის“ წარმომადგენლები იყვნენ. მათი ინფორმაციით, მარტვილში 2700 ჰექტარამდე მინა აქვს სახელმწიფოს მითვისებული. ასევე, გორში, აბაშაში, ბორჯომის ნაწილში სახელმწიფო აქტიურად ირეგისტრირებს მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთებს. ამ ფაქტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე მოცემული სტატისტიკაც ადასტურებს.

წლის დასაწყისში ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტი დაიწყო, რომელიც სახელმწიფო ქონების აღრიცხვას და რეგისტრაციას ისახავს მიზნად. პროექტის აღწერაში მითითებულია, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი აღურიცხავი რჩებოდა. ინვენტარიზაციის შედეგად კი შესაძლებელი გახდება სახელმწიფო ქონების ზუსტი რაოდენობის დადგენა და გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვა.

სწორედ ამ პროექტის ფარგლებში დაიწყო სახელმწიფომ აქტიურად მინების რეგისტრაცია. ამას არაერთი დავა მოჰყვა, რადგან აღმოჩნდა, რომ ამ მინებით მოქალაქეები სარგებლობდნენ.

მაგრამ მანამდე, როგორც ოპონენტები ამბობენ, მთავრობამ კიდევ ერთი სრულიად ალოგიკური ნაბიჯი გადადგა და პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, სადაც ნათქვამია, რომ უძრავ ნივთზე, რომელზეც საჯარო რეესტრში

დაცული მონაცემებით არ დასტურდება სხვა პირის საკუთრება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე რეგისტრირდება სახელმწიფოს საკუთრების უფლება.

აქვეა ჩანანერი, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, ერთი წლის განმავლობაში არ გაასხვისოს მის სახელზე დარეგისტრირებული უძრავი ქონება. ამით განმარტავს – მიუხედავად იმისა, რომ მას ერთიანად შეუძლია გადაიფორმოს ყველა დაურეგისტრირებელი ქონება, აძლევს საშუალებას კერძო პირებს, ერთი წლის განმავლობაში უკან დაიბრუნონ მინის ნაკვეთი. ხაზგასასმელია, რომ ჩანანერის მიხედვით, ის უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, ასე მოიქცეს.

მთავრობა პარლამენტს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას სთხოვდა, თუმცა პარლამენტმა ამაზე უარი თქვა და, ჯერჯერობით, კანონპროექტის განხილვა შეჩერებულია.

კანონპროექტი კრიტიკის საგანი გახდა არა მხოლოდ პოლიტიკური ძალების, არამედ არასამთავრობო სექტორისთვის. კანონპროექტის ამ ფორმით მიღების საფრთხეებსა და საკუთრების უფლების შეზღუდვაზე საუბრობენ სახალხო დამცველის აპარატში. განცხადება გაავრცელა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“.

ერთ-ერთი, ვინც სახელმწიფოს კანონპროექტთან დაკავშირებით წერილით მიმართა და რეკომენდაციებიც მიანოდა, „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“ იყო. ასოციაციის იურისტი ნიკა აბუთიძე ამბობს, რომ კანონპროექტს ბევრი მინუსი აქვს, პირველი სწორედ უფლებამოსილების და არა ვალდებულების საკითხია – ერთი წლის განმავლობაში არ

გაყიდოს მინის ნაკვეთი, რადგან მას შეუძლია ეკონომიკური საჭიროებით ან სხვა მიზეზით მეორე დღესვე გაასხვისოს თავის სახელზე რეგისტრირებული მინა. გარდა ამისა, იურისტი ამბობს, რომ ერთწლიანი ვადა, რეგისტრაციის პრობლემების პირობებში, მცირე პერიოდია, იმისთვის, რომ ადამიანებმა მოახერხონ მინების უკან დაბრუნება.

ნიკა აბუთიძე მიიჩნევს, რომ გასაგებია სახელმწიფოს მიდგომა, გარკვეოს რომელ და რამდენ მინას ფლობს, მაგრამ ამისთვის ამგვარი ნაბიჯის გადადგმა არასწორია.

„ეს არ მოიგანს იმ შედეგს, რომელიც საჭიროა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოსაგვარებლად. ეს ნაბიჯი იყო ნაჩქარევი და ყოვლად დაუშვებელი, რადგან მოსახლეობა მზად უნდა იყოს, უნდა მოეწყოს ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რას აპირებენ. სახელმწიფოს მიდგომა და მიზნები გასაგებია, მინა გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს და ეკონომიკური სარგებელი მოიტანოს, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს უცებ, ერთი წლის განსაზღვრა და ამ პერიოდში თუ არ დაირეგისტრირებ და კარგავ მთლიანად, ასეთი დამოკიდებულება, პრობლემურია. კერძო მესაკუთრეების ინტერესების შელახვის ხარჯზე. უნდა დაიხვეწოს კანონპროექტი. ეს ორი მუხლით გადასაწყვეტი პრობლემა არაა; ეს არის კომპლექსური საკითხი და ბევრ სხვა კანონში შეიძლება შევიდეს ცვლილება. ჩვენი რეკომენდაციაა, რეგისტრაცია გამარტივდეს და სახელმწიფომ კერძო მესაკუთრეებს მისცეს სტიმული, დაიწყონ ეს პროცესი“, – ამბობს ნიკა აბუთიძე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ამბობენ, რომ მაშინ როდესაც სახელმწიფომ იცის, რა მდგომარეობაა მინების რეგის-

ტრაციასთან დაკავშირებით და მაინც ასეთი ინიციატივით გამოდის, აქ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დგება. დღეს ის ცალკეულ მინის ნაკვეთებს ისედაც ირეგისტრირებს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამ მინაზე ვინმეს უფლების დამდგენი დოკუმენტი არსებობდეს.

ორგანიზაციის იურისტი თეონა ზაქარაშვილი ამბობს, რომ სრულიად გაუგებარია, რატომ მიიღო მთავრობამ ასეთი გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც ორი თვის წინ იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა ბრძანება – „მინის რეგისტრაციის და პილოტურ არეალებში საკადასტრო მონაცემების სრულყოფის სტრატეგია“.

იურისტი ამბობს, რომ პრინციპი რომელიც სტრატეგიაშია, უკეთესია და ის ითვალისწინებს ძალიან ბევრ რეგულაციას, მათ შორის გამარტივებულს, იმისათვის, რომ აღმოიფხვრას პრობლემები. პირველი – ეს არის ფინანსური მხარდაჭერა რადგან ეს მოქალაქისთვის ტვირთია, ასევე, ხარვეზიანი დოკუმენტაციის კორექტირება და ა.შ.

„ერთი რაც ერთმნიშვნელოვნად უნდა ვთქვათ, სტრატეგია არ არის ერთადერთი ქეშმარიტება, უბრალოდ, ის უკეთესია. საპილოტე რაიონებში უნდა დაიწყოს პროექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოცვლით სტრატეგიას და კანონს; ვნახავთ პრაქტიკაში რა იმუშავებს, რა ხარვეზი იქნება; გათვალისწინებულია ასევე მონიტორინგი. ეს მოგვცემს სურათს. პრინციპის დონეზე სახელმწიფომ უნდა აიღოს სტრატეგიის პრინციპი, დაეხმაროს მოქალაქეებს საკუთრების რეგისტრაციაში და რაც დარჩება, დაირეგისტრიროს თვითონ და არა პირიქით, რომ ყველაფერი ჯერ თვითონ გადაიფორმოს და მონყალების სახით უთხრას მოქალაქეებს – თქვენ თუ ყოჩაღად იქნებით და მოინდომებთ, ერთ წელს



ნიკა აბუთიძე მიიჩნევს, რომ გასაგებია სახელმწიფოს მიდგომა, გაარკვიოს, რომელ და რამდენ მიწას ფლობს, მაგრამ ამისთვის ამგვარი ნაბიჯის გადადგმა არასწორია.

გაძლევთ, დაიბრუნეთ“, – ამბობს თეონა ზაქარაშვილი.

სტრატეგიასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს „გირჩის“ იურისტ იაგო ხვიჩიას. ის ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტროს სტრატეგია და მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტი ერთი და იგივეა. უბრალოდ, სტრატეგია თითქოს უფრო ფრთხილად უყურებს რეგისტრაციის საკითხს და ეუბნება მოქალაქეებს, რომ დაეხმარება საკუთრების დოკუმენტების მოძიებასა და კორექტირებაში, მაშინ როდესაც საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების უმრავლესობა არ არსებობს და შესაბამისად, მისი კორექტირებაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამის დასადასტურებლად სტრატეგიიდან ამონარიდი მოჰყავს, სადაც ნათქვამია, რომ „სტრატეგია და სამართლებრივი რეფორმა არ გულისხმობს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლ-

ბის აღიარების გამარტივებას შინა-არსობრივი თვალსაზრისით, კერძოდ, საკუთრების უფლების აღიარებას მიწის ნაკვეთები იმავე კრიტერიუმით დაექვემდებარება, რაც დღესაც არსებობს მოქმედ კანონმდებლობაში“.

„გირჩმა“ პარლამენტში ალტერნატიული კანონპროექტიც წარადგინა რომლის მიხედვითაც, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი მიწის ნაკვეთის მფლობელობის ფაქტი გახდებოდა, თუმცა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ საკანონმდებლო ინიციატივას მხარი არ დაუჭირა.

იუსტიციის სამინისტრო მიწის რეგისტრაციის შესახებ სტრატეგიის ფარგლებში, კანონპროექტს ამზადებს. როგორც სამინისტროში ამბობენ, ახალ კანონპროექტს პარლამენტს სულ მალე წარუდგენენ. რაც შეეხება

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს, რომლის ინიციატორიც ეკონომიკის სამინისტრო იყო და განხილვა ამ ეტაპზე შეჩერებულია, ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ, რადგან ამ საკითხმა „გარკვეული ტიპის მითქმა-მოთქმა“ გამოიწვია, კანონს ამ რედაქციით აღარ განიხილავენ, თუმცა მთავრობას კანონპროექტი პარლამენტთან ჯერ კიდევ არ გაუტანია.

ექსპერტები ამბობენ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ბოლო წლების განმავლობაში, მიწის რეფორმის ნაწილში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა, რადგან საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამის წინაპირობაა, ხელუხლებელია. მთავრობის მხრიდან გაუაზრებელ ნაბიჯად მიიჩნევენ მორატორიუმს, რომელიც მთავრობამ უცხოელებისთვის მიწის რეგისტრაციის საკითხზე გააფრთხილა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია, „ზეპირი“ მორატორიუმი დღემდე გრძელდება და უცხოელებისთვის მიწის რეგისტრაცია შეუძლებელია, იმ ფონზე, რომ არ არსებობს არანაირი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ამის საფუძველს იძლევა. **□**

რაში იხარჯება სკოლის ბიუჯეტი

საქართველოში ზოგადი განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში განვითარებული ქვეყნების იმავე მაჩვენებელს ორჯერ ჩამოუვარდება. 1990-იანი წლებიდან სახელმწიფოს ბიუჯეტში განათლების დაფინანსების გაზრდის მიუხედავად, ის დღემდე ჩამორჩება ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა და თავდაცვა.

სალომე გორგოძე

ზოგადი განათლების დაფინანსების შესახებ ერთ-ერთი კვლევა ამბობს, რომ ზოგადი განათლების ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან საქართველოში საჯარო სკოლებს განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი არ რჩებათ. ბიუჯეტიდან მიღებულ თანხას სკოლები, ძირითადად, ხელფასსა და კომუნალურ გადასახადებში ხარჯავენ და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას სხვა აქტივობების დასაფინანსებლად საჭირო თანხა აღარ რჩებათ.

თბილისის 50-ე საჯარო სკოლა

თბილისის №50 საჯარო სკოლაში 861 მოსწავლე სწავლობს. სკოლის 2015 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ვაუჩერულმა დაფინანსებამ 370 304 ლარი შეადგინა. ამას ემატება სერტიფიცირებული მასწავლებლების დაფინანსება – 27 394 ლარი, სპეცმასწავლებლებისა და სკოლის ექი-


მების პროგრამული დაფინანსება – 7015 ლარი. დამატებითი შემოსავალი სკოლამ ბიუჯეტის იჯარიდან მიიღო – 1500

ხელფასებისთვის გაიხარჯა, 20% კი სკოლას დარჩა.

სკოლის ბიუჯეტის ნაშთმა 35 000 ლარი შეადგინა. დირექტორის, მანანა ალიბეგაშვილის თქმით, ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მორჩენილ ნაშთს სკოლაში სარემონტო სამუშაოებისთვის, ასევე მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებლად იყენებს.

მისი თქმით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები პედსაბჭოზე ადგენენ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც მათთვის პრემია გაცემა. პრემიის მინიმალური რაოდენობა 100 ლარია. მაგალითად, საახალწლოდ სკოლამ ოთხ ფასილიტატორ მასწავლებელს გადასცა პრემია, თითოეულს – 250 ლარი.

რაც შეეხება ბავშვების მოტივაციის ამაღლებას, ალიბეგაშვილი განმარტავს, რომ ამ მიმართულებით სკოლის ბიუჯეტიდან თანხა მოსწავლეების მიერ დაგეგმილი სასკოლო ღო-



ლარი. საგანმანათლებლო სერვისებიდან – წრეებიდან შემოსავალმა კი 11000 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხის 80% მასწავლებლების

ნისიძეების დაფინანსებას გულისხმობს, ასევე ექსკურსიებისათვის საჭირო თანხის გარკვეული ნაწილის დაფარვას, სიგელებისა და ფასიანი საჩუქრების (ძირითადად, წიგნების) შექმნას.

სკოლაში 4 განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეა. სპეცმასწავლებლების ხელფასი ცენტრალური ბიუჯეტიდან ირიცხება, თუმცა დამატებითი საჭიროებისთვის მასწავლებლები დირექტორს სამსახურებრივი ბარათით მიმართავენ. მაგალითად, მიმდინარე წელს მოსწავლეების გონებრივი განვითარებისთვის ასანყობი საგანმანათლებლო ინვენტარი, გასაფერადებლები და გამოსაჭრელი ქაღალდები შეიძინეს.

„სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, საშუალო კონტინგენტის სკოლებში, სადაც 800 და მეტი მოსწავლეა, სრულიად საკმარისია ვაუჩერული დაფინანსება. სკოლას რჩება საკმარისი თანხა, რომელსაც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას მოახმარს. ჩვენ ისეთი საჭიროება არ გაგვაჩნია, რომლის დაფარვასაც სკოლის ბიუჯეტი ვერ გასწვდებოდა. ვინაიდან ჩვენი სკოლა ქალაქის ძველ უბანში მდებარეობს, შენობა ისტორიულია. ყოველწლიურად ინფრასტრუქტურის სამინისტრო ჩვენგან იღებს ინფორმაციას, ინფრასტრუქტურული საჭიროებების შესახებ და მსხვილი სამუშაოების დაფინანსებაში გვეხმარება. მაგალითად, სკოლაში გაზის შემოყვანა ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყო. ცხადია, ასეთ დიდ თანხას სკოლა ვერ გასწვდებოდა, მაგრამ მათი დახმარებით ინფრასტრუქტურული პრობლემა არასდროს არ გაგვჩენია“, – ამბობს მანანა ალიბეგაშვილი.

თბილისის 84-ე საჯარო სკოლა თბილისის №84 საჯარო სკოლაში შედარებით მცირე კონტინგენტი, სულ – 535 მოსწავლე. 2015 წელს სკოლის ვაუჩერულმა დაფინანსებამ 317 901 ლარი შეადგინა. სერტიფიცირებული მასწავლებლების დაფინანსებამ – 17 584. სკოლამ დამატებითი შემოსავალი იჯარიდან და საგანმანათლებლო სერვისებიდან – წრებიდან მიიღო, სულ 9178 ლარი.

ხელფასებისთვის 295 235 ლარი გაიხარჯა. ოფისის ხარჯვა კი 43 778 ლარი შეადგინა. წლის ბოლოს ბიუჯეტიდან ნაშთის სახით 5 483 ლარი დარჩა.

„ყოველწლიურად ბიუჯეტში რჩება ნაშთი, მაგრამ იმდენად მცირე, რომ ვინახავთ, ეგებ, რამე კრიტიკულად მნიშვნელოვანი დასჭირდეს სკოლას და მაშინ გამოვიყენოთ. მაგალითად, ზამთარში კომუნალური გადასახადი იზრდება, სექტემბერში რომ სულ გამოვხარჯო თანხა, არ ვიცი, ზამთარში როგორი ამინდი იქნება და რამდენი დასჭირდება სკოლას დამატებით“, – ამბობს სკოლის დირექტორი მანანა ბაციკაძე.

მისი თქმით, სკოლის ბიუჯეტი მხოლოდ აუცილებელ საჭიროებებს სწვდება, ამიტომ სასურველი იქნებოდა მეტი დაფინანსება, რაც საშუალებას მისცემდათ, დამატებითი ინვენტარი შეეძინათ საკლასო ოთახებისთვის, ან შეერემონტებინათ სკოლის შენობის დაძველებული სახურავი.

სკოლის დირექტორის თქმით, სურვილის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მასწავლებლებისთვის პრემიების მიცემა. რასაც ბაციკაძე მწირი ნაშთით ხსნის და განმარტავს, რომ ვინაიდან სკოლას დიდი ბიუჯეტი არ აქვს, მნიშვნელოვანია, ბიუჯეტი კეთილგონივრულად

ქართული ზოგადი განათლების სისტემა და საერთაშორისო კვლევა

ერთ-ერთი პოპულარული სტანდარტიზებული ტესტი, რომლის შედეგებსაც მკვლევრები ზოგადი განათლების სისტემების ობიექტურად შესაფასებლად იყენებენ, არის პიზა (PISA) – 15 წლის მოსწავლეების ტესტირება ვერბალურ უნარებში, მათემატიკასა და მეცნიერებებში.

2009 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოს მოსწავლეების მიერ პიზის სამივე სფეროში – წიგნიერებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მიღწეული შედეგები სტატისტიკურად OECD ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია.

უფრო კონკრეტულად კი წიგნიერებაში მოსწავლეთა საშუალო ქულა 374 მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება პიზის საერთაშორისო საშუალო ქულას (493). ამ მონაცემებით, საქართველოს შედეგები ყატარის, პერუსა და პანამის მოსწავლეების მიღწევების მსგავსია.

გარდა ამისა, კვლევის შედეგებით, მოსწავლეთა დაახლოებით 38%-ის კითხვის უნარი იმ მინიმალურ ან მინიმალურზე დაბალ დონეს შეესაბამება, რომელიც საჭიროა კითხვის ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებისთვის.

რაც შეეხება მათემატიკას, მოსწავლეების საშუალო ქულამ 379 შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად დაბალია საერთაშორისო საშუალოზე (496). საბუნებისმეტყველო საგნებში კი ქართველი მოსწავლეების საშუალო ქულა 373, რაც სხვა სფეროების მსგავსად სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო ქულას (501).

იმართოს და არამიზნობრივი ხარჯი არ განიონ.

სკოლის ბიუჯეტი წვდება ბავშვების ნახალისებას, მაგალითად, მათთვის ღონისძიებების დაფინანსებას და სიგელების დაბეჭდვას. სკოლაში 22 სპეციალური საჭიროების მოსწავლე სწავლობს. ბაციკაძის თქმით, სკოლის ბიუჯეტიდან მათთვის საჭირო ინვენტარიც შეიძინეს, – კომპიუტერი, დიდაქტიკური მასალა, ფანქრები, ქალაღებები.

ბაციკაძე ყურადღებას მასწავლებლების დაბალ ანაზღაურებაზე ამახვილებს და ამბობს, რომ მნიშვნელოვანია, ის უფრო მაღალი იყოს, რაც, თავის მხრივ, მათ საშუალებას მისცემს, მაქსიმალურად გაიხარჯონ სკოლაშივე და ორიენტირებულნი არ იყვნენ სახლში მალე წასვლაზე, სადაც აბიტურიენტი ელოდებოდა.

ზოგადი განათლების დაფინანსება საქართველოში

საქართველოში სკოლების დაფინანსების ძირითადი წყარო ვაუჩერია. ეს არის თანხა, რომელიც თითოეულ მოსწავლეზე გამოიყოფა. წელიწადში ერთ მოსწავლეზე სკოლა 300 ლარს, ან უფრო მეტს იღებს – ვაუჩერის მოცულობას სკოლის ზომა, სწავლების საფეხური, სკოლის გეოგრაფიული მდებარეობა, სწავლების ენა და სხვა ფაქტორები განსაზღვრავს. ის განსხვავებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა შემთხვევაშიც.

ზოგადი განათლების დაფინანსების უმთავრესი წყარო საქართველოში ცენტრალური ბიუჯეტიცაა.

დაფინანსების აღნიშნული ფორმა, სხვადასხვა ნაირსახეობით, საქართველოში 2005 წლიდან მოქმედებს. მანამდე თანხა სკოლის დასაფინანსებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა.

ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლა სკოლების კონკურენტუნარიანობის გაზრდას, მისი ავტონომიის განვითარებას და დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.

ერთ მოსწავლეზე გამოყოფილი სტანდარტული ვაუჩერის გარდა, სკოლები იღებენ საბაზო დაფინანსებასაც, რომელიც სკოლის ზომის მიხედვით განისაზღვრება.

დამატებით ფინანსდება სოფლად, დაბაში ან მალაღმთიან რეგიონში მდებარე, ასევე არაქართულენოვანი სკოლები. დამატებითი დაფინანსებაა რეორგანიზებული სკოლებისთვის, რომელთაც ბალანსზე ერთზე მეტი შენობა ერიცხებათ. ასევე დამატებითი თანხაა გამოყოფილი შშმ ბავშვებისა და კონკრეტული კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებისთვის.

ცხრილი 1: ზოგადი განათლების დაფინანსების ძირითადი მაჩვენებლები

	2011	2012	2013	2014	2015
ზოგადი განათლების დაფინანსების მთლიანი მოცულობა (1000 ლარი)	357306	372084	512409	525631	540557
ზოგადი განათლების დაფინანსების % განათლებაზე გამოყოფილ ხარჯებში	64.67	59.31	75.37	70.92	64.29
ზოგადი განათლების დაფინანსების % სახელმწიფო ბიუჯეტში	4.79	4.77	6.32	5.83	5.65
ზოგადი განათლების დაფინანსების % მშპ-ში	1.47	1.42	1.91	1.8	1.7

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2015)

ცხრილი 2: ზოგადი განათლების დაფინანსების მაჩვენებლების შედარება

	დაფინანსების % მშპ-ში	დაფინანსების % განათლების ბიუჯეტში	ერთ მოსწავლეზე % გდპ პერ კაპიტაში, დანყებითი	ერთ მოსწავლეზე % გდპ პერ კაპიტაში, საშუალო
ფინეთი	4.1	62	21	25
პოლონეთი	3.2	66	29	27
ესტონეთი	3.3	66	23	28
ჩეხეთი	2.6	60	17	27
EU-21 საშუალო	3.3	64	22	26
OECD საშუალო	3.5	65	23	26
საქართველო	1.8	67	10	

წყარო: Education at a Glance; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი (იუნესკო, 2014)

დაფინანსების სხვა წყაროები

საქართველოში ზოგადი განათლების დასაფინანსებლად სახელმწიფო სახსრები შეიძლება გამოიყოს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტიდან. ზოგადი განათლების შესახებ კანონი ზოგადი განათლების სფეროში თვითმმართველობების უფლებამოსილებებს განსაზღვრავს. კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია, დააფინანსოს იმ მოსწავლეთა განათლება, რომლებიც კანონით განსაზღვრულ დროში ვერ სძლევენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას. ასევე მათ შეუძლიათ, დააფინანსონ სპეციალური და მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამები. შეუძლია, დააფინანსონ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კაპიტალური ხარჯი.

2014 წელს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრმა 432 სკოლის კვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ კვლევაში მონაწილე სკოლებიდან მხოლოდ 22-ს ჰქონდა მიღებული დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობიდან. დაფინანსების მოცულობის თვალსაზრისით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი თანხა კვლევაში მონაწილე სკოლების ბიუჯეტის მხოლოდ 0.14%-ს შეადგენს.

სკოლებს მინიჭებული აქვთ უფლება, მოიპოვონ დამატებითი დაფინანსება, იჯარისა და საგანმანათლებლო სერვისების საშუალებით. ამავე კვლევის შედეგების თანახმად, გამოვლინდა, რომ აღნიშნულ უფლებას დამატებითი დაფინანსების მოპოვების თაობაზე სკოლების მესამედზე ნაკლები იყენებს.

ამ მხრივ განსხვავებაა ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის. ქალაქის სკოლების 80% იღებს შემოსავალს იჯარიდან, სოფლის სკოლების კი – 19%. შესაბამისად, კვლევის მიხედვით, დამატებითი შემოსავლის წყაროების მოძიების მხრივ ქალაქის სკოლები სოფლის სკოლებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში არიან.

გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სკოლები შემოსავალს მშობელთა ნებაყოფლობითი დახმარებიდან, შემონიშნულობიდან და გრანტებიდან იღებენ. თუმცა, საერთო ჯამში, ყველა დამატებითი წყაროდან მიღებული თანხა მთლიანად 2%-საც არ შეადგენს. შესაბამისად, სკოლები შემოსავლის თითქმის 100%-ს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტიდან იღებენ.

ბიუჯეტი განვითარებისთვის – 0

„კოალიცია განათლება ყველასათვის – საქართველოს“ მიერ 2015 წელს ზოგადი განათლების დაფინანსების შესახებ მომზადებული ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ზოგადი განათლების დაფინანსების მოცულობა გაიზარდა, სკოლებს მაინც ნაკლები თანხა რჩებათ თავისუფლად განკარგვისათვის. სკოლების დანახარჯის 67% პედაგოგთა ანაზღაურებაზე მოდის, 18% – ადმინისტრაციული პერსონალის, ხოლო 15% კომუნალურ და სხვა ხარჯებზე.


დაფინანსების სიმწირის გამო, ანაზღაურებისთვის საჭირო თანხის მიღმა ქართულ სკოლებს, ფაქტობრივად, არ რჩებათ თანხა განვითარებისთვის. ანგარიშში ნათქვამია, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მცირე ზომის სკოლებისთვის.

პედაგოგთა წლიური ანაზღაურება საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს 56 %-ია, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი საშუალოდ 117%-ს შეადგენს.

ანგარიშში ვკითხულობთ, რომ დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის, რომლებიც შედარებით მცირე თანხას ხარჯავენ ზოგად განათლებაზე, დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლებში ინვესტირებას. მკვლევრებისთვის სადავოა, არსებობს თუ არა პირდაპირი კავშირი მასწავლებლების ანაზღაურებასა და მის მოტივაციას, აქედან გამომდინარე კი მოსწავლის აკადემიურ შედეგებს შორის. თუმცა ყველა თანხმდება, რომ პროფესიაში კვალიფიციური პერსონალის მისაზიდად საჭიროა ფინანსური მიზიდველობა.

2015 წლის თებერვალში დამტკიცდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომელიც პროფესიის პრესტიჟის გაზრდას, ახალი კადრების მოზიდვას, პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას ისახავს მიზნად.

სქემაში გაწერილია მასწავლებლის ხელფასის ეტაპობრივი მატება, რომლის თანახმადაც, 2017 წელს მასწავლებლის საშუალო ხელფასი 850 ლარი უნდა იყოს. ეს კი 2017 წელს, წინასწარი პროგნოზის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობის 90%-ზე მეტს შეადგენს. შესაბამისად, ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველო 2017 წლისთვის მთლიან სახელმწიფო შემოსავლებთან მასწავლებელთა ანაზღაურების მიმართების მაჩვენებლით მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს მიუახლოვდება. ■



ახალი ხიდი უხილავი სამყაროსკენ

„Ladies and gentlemen, we have detected gravitational waves.

We did it!“ – ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორის, LIGO ექსპერიმენტული კოლაბორაციის პრესსპიკერის, დევიდ რაითზის ეს სიტყვები აღნიშნავს სრულიად ახალი – გრავიტაციული ტალღების ასტრონომიის ეპოქის დასაწყისს, სულ მცირე იმას, რომ ცოტა ხანში სამყაროს შესახებ ბევრად მეტი გვეცოდინება.

დავით ფირცხალავა, თეორიული ფიზიკოსი

მე – დარჯის მოქმედ მკვლევარს, ვისთვისაც გრავიტაციული ტალღების შესწავლა ყოველდღიური საქმიანობაა – ეჭვი არასოდეს შემპარვია მათ არსებობაში, ისევე, როგორც თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოების, ალბათ, 99%-ის. მეტიც, გრავიტაციული ტალღების არსებობის თითქმის უტყუარი, მაგრამ არაპირდაპირი მინიშნე-

ბა 70-იანი წლებიდან გვხვდება. მოუხედავად ამისა, LIGO-ს შედეგი ჩემთვის დღემდე წარმოუდგენელი და აღმაფრთოვანებელია: 11 თებერვალს, ტალღების პირდაპირი დეტექტორებით, ჩვენ შევძელით, აღვებუდებოდა მილიარდი წლის წინანდელი ისტორია, რომელიც გაგრძელდა ნამუხე ნაკლები დროის განმავლობაში!

აინშტაინის ზოგადი ფარდობითობის თეორია

გრავიტაციული ტალღების არსებობა აინშტაინის მიერ 1916 წელს აღმოჩენილი ზოგადი ფარდობითობის თეორიის წინასწარმეტყველებაა. აღნიშნული თეორიის მიხედვით, სივრცე-დრო წარმოადგენს „სცენას“ მატერიისთვის, რომელზეც ნებისმიერ ობიექტს – მათ შორის ჩვენ – გვაქვს საკუთარი ადგილი (შეგვიძლია, ვიმოძრაოთ ნებისმიერი სივრცითი მიმართულებით და მხოლოდ „წინ“ დროში). ამავედროულად, სივრცე-დროითი სცენა არ არის „უძრავი“. აინშტაინის თეორიის თანახმად, ნებისმიერ ობიექტ A-ს, რომელსაც ამა თუ იმ სახის ენერგია აქვს, თავის გარშემო სივრცე-დროის გამრუდება შეუძლია. სხვა, ახლოს მყოფი ობიექტი B გამრუდებულ სივრცე-დროში იცვლის მოძრაობის მიმართულებას და ამ ცვლილებას აღიქვამს, როგორც მიზიდულობას A-სკენ. ნიუტონის გრავიტაციული მიზიდულობის ძალას, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგადი ფარდობითობის თეორიის ენაზე სწორედ ამგვარი ფორმულირება აქვს.

თუკი ობიექტები A და B „სხედან“ გაუნძრევლად, სივრცე-დროითი „სცენა“ მათ გარშემო ასევე უძრავია; მაგრამ ნებისმიერი სახის დინამიკა (A-ს და B-ს სწრაფი მოძრაობა ერთმანეთის გარშემო, მასის/ენერგიის გაცვლა, ა.შ.) წარმოშობს მცირე შემფოთებებს სივრცე-დროით ბოჭკოში. ასეთ შემფოთებებს, იმავე გრავიტაციულ ტალღებს, შეუძლიათ მოგზაურობა – ზუსტად ისევე, როგორც ტბის ზედაპირის შემფოთება ვრცელდება მასში კენჭის ჩაგდებისას, თუმცაღა წყლის ტალღისგან განსხვავებით, გრავიტაციული ტალღები ძალიან სუსტად ურთიერთქმედებს გარემოსთან. შესაბამისად, მაშინ, როდესაც კენჭის ჩაგდებისას ტბის ზედაპირზე წარმოქმნილი ტალღა ვრცელდება სულ რაღაც რამდენიმე მეტრის მანძილზე,

გრავიტაციულ ტალღებს შეუძლიათ, გადმოკვეთონ მთელი ხილული სამყარო მილიარდობით წლის განმავლობაში, პრაქტიკულად, შესუსტების გარეშე. სწორედ ეს ფაქტი გვაძლევს უნიკალურ საშუალებას, შევისწავლოთ სამყაროს შორეული და აქამდე სრულიად უხილავი კუთხეები მათგან მომავალი გრავიტაციული სიგნალების მეშვეობით.

„A LONG TIME AGO IN A GALAXY FAR, FAR AWAY....“

სიგნალი, სახელწოდებით GW150914, რომელიც დაახლოებით წამის მეხუთედი გრძელდებოდა, LIGO-ს ერთდროულად ორმა დეტექტორმა აშშ-ში, ვაშინგტონის და ლუიზიანის შტატებში დააფიქსირა. იგი აღწერს გრავიტაციულ ტალღას – სივრცე-დროითი ბოჭკოს მოძრავ შემფოთებას – დაბადებულს ორი შავი ხვრელის შეჯახებისას, დაახლოებით მილიარდი წლის წინ. აღნიშნულმა ტალღამ ჩვენამდე მოსაღწევად მილიარდი წელი იმოგზაურა! საოცარია ინფორმაციის სიმდიდრე, რომელიც ძალზედ მოკლე და სუსტ „ხმაურს“ შეუძლია მოიტანოს ხილული სამყაროს კიდიდან: GW150914-ს გაშიფრვა გვაძლევს ინფორმაციას შავი ხვრელების მასაზე (რამდენიმე ათეულჯერ მეტი მზის მასასთან შედარებით), სიჩქარესა და მის ცვლილებაზე სიგნალის ხანგრძლივობის განმავლობაში (0.3-დან 0.6 სინათლის სიჩქარემდე 0.2 წამში), გამოსხივებული ენერგიის სიდიდეზე (სამი მზის მასის ეკვივალენტი) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ LIGO-ს სიგნალიდან დაახლოებით ნახევარ წამში კოსმოსურმა ტელესკოპმა Fermi Gamma-ray Space Telescope დაახლოებით იმავე მიმართულებიდან მომავალი ელექტრომაგნიტური ტალღა, ე.წ. გამა სხივები დააფიქსირა. გრავიტაციული ტალღებისგან განსხვავებით, დიდი შავი ხვრელების შეჯახების შედეგად ელექტრომაგნიტური გამოსხივება მოსალოდნელი არ არის. ეს უკანასკნელი სიგნალი წარ-

■ სიგნალი, სახელწოდებით GW150914, რომელიც დაახლოებით წამის მეხუთედი გრძელდებოდა, LIGO-ს ერთდროულად ორმა დეტექტორმა აშშ-ში, ვაშინგტონის და ლუიზიანის შტატებში დააფიქსირა. იგი აღწერს გრავიტაციულ ტალღას – სივრცე-დროითი ბოჭკოს მოძრავ შემფოთებას – დაბადებულს ორი შავი ხვრელის შეჯახებისას, დაახლოებით მილიარდი წლის წინ.

სინათლის მოძვინიება

მოადგენს ამჟამად თავსატეხს სამეცნიერო საზოგადოებისთვის, რომლის ამოხსნამ შესაძლებელია, ნათელი მოპვინოს სამყაროში მიმდინარე სრულიად ახალი ტიპის ასტროფიზიკურ მოვლენებს.

...და ისევ LIGO-ს შესახებ

მეცნიერებამ და ტექნოლოგიამ ბოლო 150 წლის განმავლობაში ერთ ალუნერული პროგრესი განიცადა. თემიდან რომ არ გადავუხვიოთ, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ LIGO-ს მიერ აღმოჩენილი გრავიტაციული ტალღების სიგნალი – მისი ფორმა, ამპლიტუდა, ა.შ. – ძალიან დიდი სიზუსტით ემთხვევა ზოგადი ფარდობითობის თეორიის ფარგლებში შესრულებულ თეორიულ გამოთვლებს: ჩვენ დავინახეთ ზუსტად ის, რასაც ველოდით, თუმცა ჩემთვის, როგორც თეორეტიკოსი მეცნიერისთვის, განსაკუთრებულად განსაცვიფრებელია ის იუველირული სამუშაო, რომელიც ექსპერიმენტატორებმა გასწიეს 11 თებერვლის აღმოჩენისთვის სიცხადის შესაძენად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრავიტაციული ტალღები წარმოადგენს სივრცე-დროითი ბოჭკოს მოძრავ შემფოთებებს. ტალღის ჩავლით გამოწვეული სივრცის დეფორმაცია იწვევს ახლო-მასლო მდებარე ობიექტებს შორის მანძილის მცირე ცვლილებას – სწორედ ეს მოვლენა უდგას სათავეში გრავიტაციული ტალღების დეტექტირებაზე გათვლილ ექსპერიმენტებს. LIGO-ს კონკრეტულ შემთხვევაში 4 კილომეტრი სიგრძის დანადგარის ზომა გრავიტაციული სიგნალის ჩავლის შედეგად შეიცვალა მეტრის მემილიარდედის მემილიარდედის მეათედით და ექსპერიმენტატორებმა შეძლეს ამ ცვლილების დაფიქსირება! LIGO არის ყველაზე ზუსტი საზომი დანადგარი, რაც კი ადამიანს ოდესმე შეუქმნია.

LIGO ობსერვატორია ამერიკის ერთებული შტატების ბიუჯეტს მი-

ლიარდ აშშ დოლარზე მეტი დაუჯდება. ამ დღეებში ინდოეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა LIGO-ს კიდევ ერთი დეტექტორის მშენებლობის დაფინანსებას. გრავიტაციული ტალღების შესასწავლად ანალოგიურ, არანაკლებ გრანდიოზულ პროექტებს გეგმავენ ევროკავშირი და ჩინეთიც. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით აბსოლუტურად გაურკვეველია გრავიტაციული ტალღების პრაქტიკული/ტექნოლოგიური დანიშნულება, მსოფლიოს ქვეყნების ამგვარი ინტერესი მარტივად აიხსნება: ფუნდამენტური მეცნიერება ოცდამეერთე საუკუნეში აღარ აღიქმება ფუფუნებად. სამყაროს პროგრესულ ნაწილს ძალიან კარგად ესმის, რომ ინტელექტუალური/აკადემიური ფასეულობები მხოლოდ მცირერიცხოვანი სამეცნიერო საზოგადოებისთვის არ არის მნიშვნელოვანი.

დასკვნის მამიერ

დაბოლოს, ცოტა რამ სამეცნიერო ფანტასტიკის შესახებ. ბოლო დროს ხშირად ვაწყდებით სხვადასხვა მეტაფიზიკურ განხილვას LIGO-ს აღმოჩენასთან დაკავშირებით (საუბარია „ანტი-გრავიტაციულ ძრავებზე“, დროის მანქანებსა და ასე შემდეგ). მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ მეცნიერება არის უაღრესად პრაგმატული აქტივობის სფერო, მკაცრად განსაზღვრული წესებით. როგორც გრავიტაციული განზიდვა, ისე დროში (უკან) მოგზაურობა ამ წესებს ეწინააღმდეგება, თუმცა ერთი რამ ეჭვგარეშეა: LIGO-ს აღმოჩენა უმნიშვნელოვანესი გარღვევაა სამყაროს შესწავლის გზაზე. თუკი მანამდე მეცნიერებს შეეძლოთ კოსმოსის მხოლოდ ელექტრომაგნიტური ტალღების (სინათლის) მეშვეობით „დანახვა“ (გასათვალისწინებელია, რომ სინათლეს სამყაროს მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ასხივებს), გრავიტაციული ტალღები სრულიად ახალი ხიდია აქამდე უხილავ სამყაროში. □

■ LIGO-ს აღმოჩენა უმნიშვნელოვანესი გარღვევაა სამყაროს შესწავლის გზაზე. თუკი მანამდე მეცნიერებს შეეძლოთ კოსმოსის მხოლოდ ელექტრომაგნიტური ტალღების (სინათლის) მეშვეობით „დანახვა“ (გასათვალისწინებელია, რომ სინათლეს სამყაროს მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ასხივებს), გრავიტაციული ტალღები სრულიად ახალი ხიდია აქამდე უხილავ სამყაროში.

საინჟინერო-ტექნიკური

საინჟინერო-ტექნიკური ფაკულტეტი



სონათის მათემატიკური ინჟინერის
 ინჟინერის
 მათემატიკური ინჟინერის



ინტელექტუალური რესურსები

ღმერთი დაუნდობელი ვინმეა – თქვა თეიმურაზ ჩიჩუაძე, – ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, ფიზიკოსმა და ერთობ ახირებულმა კაცმა. შევერცხლილ თმაზე ხელი გადაისვა, წერილწარჩოიანი სათვალე მოიძრო და წინ გადმოიხარა – შეხედეთ, მაგალითად, აი, ამ გოგონას, – მეცნიერმა დაფასთან მდგარ, ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტზე მიმითითა, რომელიც, აჩქარებული სხეულის დამუხრუჭების ამსახველ გრაფიკს ჩაჰკირკიტებდა, – ღმერთმა როგორი სილამაზით დააჯილდოვა, – გოგონა გრაფიკს მოეშვა და ინტერვიუთი დაინტერესდა, – ან აი ის ბიჭები, მაგიდასთან. მათი ნიჭი ნამდვილი საჩუქარია, სამწუხარო ისაა, რომ ეს გამონაკლისია. ბევრი არ არის, – ჩიჩუაძე სათვალე მოირგო და კვლავ სკამის საზურგეზე გადაწვა. მხრები სინანულის გამომხატველი მიმიკით აჩვენა.

თბილისი. ტექნიკური უნივერსიტეტი. IV კორპუსი. ფიზიკის ლაბორატორია. „ბიჭები მაგიდასთან“ მე-11 კლასის მოსწავლეები გიორგი ნიორაძე, გიორგი მარგიანი, ბექა მიქაძე და ვახო კონტრიძეა. „სოლარი“ – ასე ჰქვია მათ გუნდს.

ახალგაზრდა ფიზიკოსების შესახებ დაინტერესებულმა საზოგადოებამ უფრო ადრეც იცოდა, ვიდრე ისინი ბოლო, ყველაზე სახელგანთქმულ გამოგონებას, „მზის პანელის მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდის ინოვაციურ ტექნოლოგიას“ დღის სინათლეზე გამოიტანდნენ. სწორედ ამ გამოგონებამ მოუტანა მათ ყველაზე ხმაურიანი წარმატება.

2016 წლის 12 თებერვალს ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალი გამართა. ფინალში მონაწილეობდა ათი კონკურსანტი გუნდი, რომელიც 34 მოსწავლისგან შედგებოდა. გუნდების მიერ წარდგენილი

პროექტები შეაფასა დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისიამ. შედეგად, სამი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა.

პირველ ადგილზე გავიდა ახალი ლიცეუმისა და აია-GESS-ის სკოლების მოსწავლეებისგან შემდგარი გუნდი „სოლარი“.

ამ გამარჯვების შედეგად, „სოლარი“ მონაწილეობას მიიღებს აშშ-ის კონრადის ფონდის (The Conrad Foundation) მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სამიტში, რომელიც 2016

■ რეფლექტორის ერთ-ერთი ვერსია, კოსმოსური სადგურებისთვისაა გამიზნული. ბიჭები იმედოვნებენ, რომ გამარჯვების შედეგად მოპოვებული საერთაშორისო მინვევები მათ გამოგონებების „საჭირო ხალხამდე“ მიტანაში დაეხმარებათ.

წლის 20-24 აპრილს, ნასას კენედის კოსმოსურ ცენტრში (NASA Kennedy Space Center) გაიმართება.

„სოლარის“ მიერ მოდიფიცირებული ელემენტი ერთი შეხედვით, მარტივი, მაგრამ ინოვაციური სიახლით, მარგი ქმედების კოეფიციენტს ზრდის, გასაგებად რომ ვთქვათ, უფრო მეტ ენერგიას გამოიმუშავებს.

მზის ენერგიის გადამამუშავებელ ელემენტზე გამოგონებლების მიერ შექმნილი სპეციალური აპკის გადაკვრის შედეგად, რომელიც ცილინდრული ლინზის მოვალეობას ასრულებს, ზედაპირზე დაცემული სხივები

გარდატყდება და იკრიბება. სხივების ამგვარი გადანაწილების შედეგად პანელის განსაზღვრულ ადგილებზე სინათლის უფრო მძლავრ ნაკადს ვიღებთ.

აქ ჩნდება სკეპტიკური კითხვა – რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ გარდატყბას, რაკილა ერთ ნერტილში შეკრებილი სხივები, პანელის სხვა ნერტილებს აკლდება? შედეგად ან ნერტილებში სინათლის ნაკლებ ინტენსივობას ვიღებთ, ზუსტად იმდენად ნაკლებს, რამდენადაც შეკრების ნერტილებს ემატება. მოკლებული და დამატებული ენერგიების ჯამი ნულს უდრის და მარგი ქმედების კოეფიციენტი უცვლელი რჩება... აქ ბიჭები მათემატიკის ცოდნის დემონსტრირებას მანყვეტინებენ და გამოგონების მთავარ იდეას მიმხევენ, რომელიც, მათი ხელმძღვანელის, თეიმურაზ ჩიჩუაძის თქმით, „მეცნიერებაში ახალი სიტყვაა“, კერძოდ:

მზის სხივების მარგი ქმედების კოეფიციენტი ზედაპირზე დაცემული სხივების ინტენსივობასა და ტემპერატურაში გამოხატება, ხოლო ინტენსივობის ზღვრული სიდიდის შემდეგ გამოყოფილი ენერგიის რაოდენობის დამოკიდებულება ინტენსივობაზე, ხდება არანრფივი. მარტივად რომ ვთქვათ, გამოყოფილი ენერგია იზრდება არა მხოლოდ მოკლებული ენერგიის ტოლად, არამედ გაცილებით მეკვეთრად.

ანუ, პანელის „ჩაბნელებული“ ნაწილი გვაძლევს ნაკლებ ელექტროენერგიას, მაგრამ „გაკაშკაშებული“ მხოლოდ იმდენად მეტს კი არ გამოიმუშავებს, რომ ზრდა ჯამში ნული მივიღოთ, არამედ — გაცილებით მეტს, ასე იზრდება მარგი ქმედების კოეფიციენტი.

სწორედ ესაა „ახალი სიტყვა მეცნიერებაში“.

ბექა და ვახო დაფასთან დგანან და ფორმულის პრაქტიკულ მნიშვნე-



ფოტო: ლევან სპინაშვილი

ნელობას ხსნიან: „გამოვიანგარიშით 100 კვადრატულ მეტრზე. დაუშვავთ, რომ მოდიფიკაციის გარეშე ელემენტებმა E ენერგია გამოიმუშავეს, როდესაც ჩვენს მოდიფიკაციას გაუკეთებენ, ამ ენერგიის მისაღებად საკმარისი იქნება 95 კვადრატული მეტრი, 5 კვადრატულ მეტრს ვიგებთ, ხოლო თუ ამ გამოთავისუფლებულ ადგილზეც პანელებს დავამატებთ, შედეგად 5%-ით ზრდას ვიღებთ“.

ერთ მეტრ/კვადრატში 83 ელემენტი ეტევა, ასში – 8300, თითოეული დაახლოებით 1,65 – 1,7 ვატ ენერგიას გამოიმუშავენ. $1,65 \times 8300 = 13695$ ვატს. დაახლოებით 14 კილოვატი ენერგიაა, მოდიფიკაციის შედეგად დაახლოებით 700 კილოვატით მეტ ენერგიას მივიღებთ, და თუ წარმოვიდგინოთ რომ მზის პანელები არა რამდენიმე კვადრატულ მეტრს, არამედ ხშირად ათასობით ჰექტარზე გადაჭიმულ ტე-

რიტორიებს მოიცავს, მივხვდებით – საქმე მილიონობით დოლარის ღირებულების ენერგიას ეხება.

ბიზნესი? – ჯერ არ ვიცი, ამბობს გიორგი მარგიანი, გუნდის კაპიტანი. ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გამოსაკვლევი, დასაკონკრეტებელია პარამეტრები, უფრო ხარისხიანი ტექნოლოგიაა შესამუშავებელი.

ახალგაზრდა გამომგონებლები ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, თეიმურაზ ჩიჩუასთან აია-GESS-ის დირექტორის, რუსუდან ბოლქვაძის მეცადინეობით მოხვდნენ. ლაბორატორიას სამუშაოდ სხვა გამომგონებლებიც იყენებენ. ზოგჯერ ღამით წავსულვართ აქედან – მიყვება გიორგი ნიორაძე, – სამუშაო ბევრი გვაქვს, ბევრი რამ უნდა დავხვეწოთ.

მზის ელემენტის მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდა გუნდის ერთადერთი გამოგონება არ არის. სხვადასხვა იდეაზე ისინი ბავშვობიდან

მუშაობენ. ერთ-ერთი ასევე წარმატებული გამოგონება, რომელშიც „ლეონარდო და ვინჩის“ გრანპრიც აქვთ მიღებული პარაბოლური რეფლექტორია, რომელსაც შიგნიდან ამრეკლი ზედაპირი აქვს.

რეფლექტორის ერთ-ერთი ვერსია კოსმოსური სადგურებისთვისაა გამოიზნული. ბიჭები იმედოვნებენ, რომ გამარჯვების შედეგად მოპოვებული საერთაშორისო მინვეციები მათ გამოგონებების „საჭირო ხალხამდე“ მიტანაში დაეხმარებათ.

თავს განსხვავებულად ვგრძნობ თუ არა? – შეკითხვას იმეორებს „სოლარის“ კაპიტანი, არა, ჩვენ მხოლოდ ფუნდამენტური მეცნიერებებისადმი ძლიერი ინტერესი გამოგვარჩევს. ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა ამ მეცნიერებათა სიღრმისეულად შესწავლა და ჩვენი იდეების ოპტიმალური განვითარებაა – შემდეგ? შემდეგ ვნახოთ. ■



ცხენის თავის და ორიონის
წაქალაქი დარბი კუბი



შოთაყრიბი
ეროვნული
გიზლირთქა



ლაშის ცა
ასტროფოტოგრაფის
თვალით

დავით დვალი



დღის ანდრომედის გალაქტიკა



ნებულა




ნებულა



ნისლეული ცხენის თავი



ნისლეული სპაგეტი



სამოზაო ნაძვის ხის კლასიკური



არანის მანძილი - ზღაპრის კანონები



არანის მანძილი



ჩემი გალატეის ცენტრი მშველძის თანყმცდად



გალაქიკა სამკუთხედი



ნისლეული სული



არქივირებული ფაილი

ჩვენ, პოეტები საქართველოსი

ანუ არის თუ არა
ყველა ქართველი პოეტი
ორჯერ პოეტი

გიორგი კეკელიძე



თვალეზი ოდნავ მილულეთ ან გადაქაჩეთ – გააჩნია, სატრფიალო ლექსს კითხულობთ თუ პატრიოტულს. ოდნავ განზე დადექით. ლექსის კითხვისას, რომელიც ხან სასურველია, განწირულ ხავილში გადაიზარდოს, მოულოდნელად რამდენჯერმე შეტოკდით. გულზე მჯილიც შეიძლება, მაგრამ ეს უკვე ძველმოდურია. როგორც დავაკვირდი, ახლა იდაყვის შექანებაა რაღაც გამოუცნობი ხიბლის მატარებელი და უფრო „ქულ“, როგორც უკვე ჩვენი ახლო წინაპრები იტყოდნენ. სიგარეტი დაშნასავით. კაშენ გემოვნებით. ბერეტი ძველი სიტყვაა, „ისე რა“ მოსულა. დასასრულისას შეეცა-

დეთ, კამერას ჩახედოთ და მეტყველი მზერით გადმოგვაცხოთ: „ბურძგლი დამანახეთ“. ტაშს ნაუყრუეთსავით და... კადრიდან ისე გადით, შარლ აზნაური რომ მიბარბაცებს ციგანოჩკას სიმღერის შემდეგ ერთ ცნობილ კონცერტზე. თუმცა გარეგნულ ამბებს რა მნიშვნელობა აქვს, ვისაც რა უნდა ის ეცმევა და რაც უნდა, იმას შეჭამს. ეს ისე, ამბის გასამძაფრებლად მოვიტანე. სხვა რამეზე მოგიტხრობთ:

დღეს რომ საქართველოში პოეზიაა პოპულარული, ასეთი საშინელი ამბავი იშვიათად ყოფილა. თუმცა გამოგტყდეთ – ლექსმოყვარეობა დიდწილად ყოველთვის ზერელე გა-

ხლდათ. ახლა ინტერნეტვიდეოთა ერაში უფრო აიშვა თავი. ერთმა კეთილმა კაცმა დაიდო ცოდვა და კეთილად მოგვატყუა. ასე თქვა: ყველა ქართველი პოეტი და ყველა ქართველი პოეტი ორჯერ პოეტიო. სულ მგონია, რომ ტიცინის ეს სტრიქონები ამაზე პასუხია (თუნდაც დროსა და სივრცეში დაშორებული):

„იმერეთში მღერის დანიელა ურია, კახეთში კიდევ – დედას ლევანა... საქართველოში ყოველ ქორფლიან ქალს

თავის საკუთარი ჰყავდა პოეტი. დღეს ღვთისმშობელი ძირს რომ ჩამოვიდეს,

მითხარით, მართლა ვინ ეტყვის ლექსს?“

აღქმა კი გვეკონდა სხვანაირი. არ დაიჯეროთ. ყველა ქართველის პოეტობა ანუ. არც მკითხველობა დაიჯეროთ. მერე რა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ და „ლურჯა ცხენების“ ქვეყანა გვექვია, ალაზას სცენა ჩვენს ენაზეა დაწერილი და სულხან-საბას ლექსიკონი (ერთ-ერთი უდიდესი პოეტური ნიგნი – ჩემი აზრით). ამ ტექსტების დიდმა ნაწილმა ჩვენებური მკითხველის დიდ ნაწილს გვერდი აუარა. უფრო სწორად, მკითხველმა აუარა გვერდი. გვსმენია და ვაჟა არ გვესმის. არც გურამიშვილი. გალაკტიონიც გავლით, მხოლოდ შეცდომით ნათქვამ საზეპიროდ. შეიძლება თქვათ, რომ ყველგან ასეა. ყველა ქვეყანაში. ჩვენ კი ძალიან დიდი ავტორები გვყავს პოეზიაში, მსოფლიო მასშტაბის, მაგრამ ნუ ვიფინებთ მაინც ამ ორჯერპოეტობას. ნურც ორჯერმკითხველობას. ამ უკანასკნელს მაინც. თორემ გამოდის პაოლო იაშვილი და ვიღაც ცუდადმართმავი იუთუბ-ფეშანგი ფაშვი-ბერტყასძე თანაბრად მოგვწონს. ანუ რაღაც ერთობ უხერხული გამოდის.

ამ ტელე-ინტერნეტ პოეზიის ორი მიმდინარეობა სუფევს. სამიჯნურო და საკუთრივ პოეტის შესახებ. ანუ გაუტყეხელი, ძმაბიჭებ-შემოუძარცველი ან შემოძარცული, უდარდელი, დაუფასებელი, მაგრამ მაინც ღრუბელშემოსილი პოეტის შესახებ. მეორე მიმდინარეობაში შეიძლება გაერთიანდეს ლექსები სამშობლოზე, სამყაროსა და საცალფეხო ბილიკებზე. პირველი ისეთია, აი თვალების მილულვა რომ სჭირდება: „მე შენ მიყვარხარ და მეყვარები, რამ დამავინყოს შენი თვალები, შენი თვალები, როგორც ალები, მე შენ მიყვარხარ და მეყვარები“. მეორე – ხავილისა – დაახლოებით ასეთი:

*„ვერვინ დამძალავს, მე ვარ პოეტი,
და მთები ამაქვს ღმერთთან ტყვი-
ლით,
არ მინდა ფული, არ მინდა სახლი,
ლექსები უნდა ვშობო კივილით.
ასეა, ასე ვიქნები მარად,
მე არ ვიცვლები, პოეტი მქვია,
სანამ ჩემ ამაყ, ნაჩუქარ პალატოს
არ შეჭამს ჭია.
მე დავბრუნდები მერე მიწაზე,
თქვენ რომ გგონივართ ხუთი წლის
მკვდარი,
მე დავბრუნდები. პირამიდები.
ორი ღერი სიგარეტი.
ქარი“.*

**■ დღეს რომ საქართველოში
პოეზიაა პოპულარული,
ასეთი საშინელი ამბავი
იშვიათად ყოფილა.
თუმცა გამოვტყდეთ
– ლექსმოყვარეობა
დიდწილად ყოველთვის
ზერელე გახლდათ.**

ხოლო თქვენ მოხვალთ და მეტყვი: აი, პოსტმოდერნიზმი, აი, მაღალი და დაბალი ხელოვნების გათანაბრება, აი, მასკულტურის აღზევება და მერე სიმულაკრები და ჩაკრები და დერიდა და იჰაბ ჰასანი. მოხვალთ და მეტყვი, ან ლექსები წერე, ან სხვების კრიტიკას შეეშვი, ბატონო გიორგი, საერთოდაც ჯობს, თვალები ოდნავ მილულეთ ან გადაქაჩეთ – გააჩნია, სატრფიალო ლექსს კითხულობთ თუ პატრიოტულს. ამასწინათ ჟურნალისტები მწერდნენ, კომენტარი გააკეთეთ გიორგი ტიგინაშვილის ლექსზე, რომელმაც ინტერნეტი დაიპყრო. თავიდან

(ცოტა დავიბენი, სამწუხაროდ, არ ვიცოდი, ვინ იყო ბატონი ტიგინაშვილი, მერე ჩავძახე google-ს და ამომძახა ჯაჯანიძის შოუ და რაღაც დაძაბული ლაპარაკი სიყვარულზე თუ ქალზე, ლექსით. არაფერი ტრაგიკული, მით უფრო საოცარი არ არის, თუ ასეთი „ლიტერატურა“ ბევრ ხალხს მოსწონს. ყველა დროში ამგვარად იქნებოდა, უბრალოდ, სოციალურმა ქსელმა უფრო აშკარა გახადა – ყოველთვის იარსებებს უამრავი ადამიანი, ვისაც თქვენთვის მდარე ლექსები მოეწონება და ის, რაც თქვენ მოგწონთ, მათთვის იქნება მდარე (სულ მცირე, გაუგებარი). ამას ვერც განათლებით ვუშველით (თუმცა გვაკლია და ძალიანაც) და ვერც დაძალებით. იყოს ის ხალხი, იკითხოს, მოეწონოს და აზიაროს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ, ჩემი აზრით, ქილიკის უფლება არ გაქვთ – პირიქით. უბრალოდ, კითხვები დამისვეს ასე: „შეიძლება თუ არა პოეტების ქვეყანაში ახალგაზრდებს ასეთი უნიჭობა მოსწონდეთ“. რა თქმა უნდა, შეიძლება. მომწონს თუ არა მე? რა თქმა უნდა, არ მომწონს. მაგრამ ვითავისებ და ვიცი, რომ ყოველთვის იყო, არის და იქნება. ასე რომ, მეტი სიმშვიდე. დამერწმუნეთ, გალაკტიონი ამის გამო საფლაგში არ ბრუნავს. არც გაუგია.

ბატონი ჯაჯანიძე და სხვა დანარჩენი პოეტებიც, მანამდე სხვა დანარჩენი ჯაჯანიძეც და სხვა პოეტებიც საკუთარ საქმეს აკეთებენ. მათ არც და ვერც მოვწონდებ შეცვლისკენ. ჩემი სტატიის პათოსი იმ პრეტენზიას ეხება, რომ დიდი პოეზია მაინცდამაინც ყველას სისხლში გვაქვს თუ ქართველი ვართ, თორემ მურმან ლებანიძის არ იყოს:

არც თესავდა და არც ხნავდა,
რას ვერჩი, შპალერს შესცქერდა!
რა მოხდა, კაცს ხომ არ კლავდა –
იჯდა კაცი და
ლექსს წერდა! ■

მწერლები – მათი ქალები და კაცები

მუზის გარეშე არ არსებობს მწერალი. მუზა შეიძლება იყოს კაცი, ან ქალი, ან კაცისთვის – კაცი, ქალისთვის – ქალი, როგორც გენებოთ.

ლევან ბერძენიშვილი

არაერთი დიდებული ისტორია ვიცით, ვიცით მწერლები, მათი მუშები, რომლებიც ძალიან თავისებურად აისახნენ ლიტერატურაზე. გვახსოვს შეყვარებული მწერლები, რომელთა საყვარელი ადამიანები მხოლოდ ამ სიყვარულის გამო გვახსოვს, მაგრამ ამ მწერალთა შემოქმედებაში მათ ვერსად მივაგენით. ამის საპირისპიროდ, იყვნენ ქალები და კაცები, რომლებსაც, ზოგ შემთხვევაში, უდიდესი როლი ჰქონდათ მწერალთა შემოქმედებაში, თუმცა მათ ბიოგრაფიაში არ ჩანან.

მითოსური სიყვარული, მითოსური მუზა ისეთივე რეალური შეიძლება იყოს, როგორც ნამდვილი. ამის ნათელი მაგალითი ქართულ ლიტერატურაში გვაქვს – გალაკტიონის მუზა მისი მეუღლე – ოლია ოკუჯავა, ოლოლი იყო. ამავე დროს გალაკტიონი იყო პოეტი, რომელსაც ჰყავდა სხვა მუზაც, თუმცა არც კი იცნობდა მას. მერი შერვაშიძემ დაადასტურა, რომ არასდროს, არანაირი კავშირი არ ჰქონია გალაკტიონთან, ასე რომ, მერი ფანტაზიის ნაყოფია ისევე, როგორც მასთან განშორება. რას იზამ, თავისებური ხალხია პოეტები...

პოეზიას ისეთი ამბებიც ახსოვს, აპოლინერს რომ შეემთხვა. მას შემდეგ, რაც დიდი პოეტი ქალმა მიატოვა, მან დაწერა შესანიშნავი ლექსი იმის შესახებ, თუ როგორ მიატოვა ემიგრანტმა ქალი, ანუ ყველაფერი – პირიქით.

გალაკტიონისა და აპოლინერის შემთხვევა მსოფლიო ლიტერატურის ერთ უბრწყინვალეს მომენტს გვახსენებს, ლექსს, რომელსაც ჰქვია „ანაბელ ლი“. ეს შედეგური მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თემას – დაკარგული, დაღუპული ახალგაზრდა შეყვარებულის ტკივილს ეხება. ეს ხომ როგორც ედგარ ალან პოს, ასევე ზოგადად პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული თემაა. ეს თემა ხომ ისეთი საშინელი ძალის რამეებს აერთიანებს, როგორცაა: ახალგაზრდობა, სიყვარული და სიკვდილი.

ანაბელ ლისადმი მიძღვნილი ლექსი, დიდი ხანია, ანუხებთ ლიტმცოდნეებს, ვინაიდან, ანაბელ ლი, როგორც ასეთი, პოს ცხოვრებაში არ ყოფილა. ამიტომაცაა, რომ სპეციალისტები პოს შემოქმედებაში მის პროტოტიპებს ეძებენ. ყველაზე დიდი შანსი, იყოს ანაბელ ლი, პოეტის მეუღლეს, ვირჯინია კლემს აქვს, ვინაიდან ისიც ახალგაზრდა გარდაიცვალა. პო და კლემი შეუღლების ნიშნით იყვნენ დაკავშირებულნი, თუმცა მათი სიყვარული არ ყოფილა კონსუმირებული, ვირჯინია კლემი ქალწულად რჩებოდა ისევე, როგორც ანაბელ ლი ლექსში.

ულრიკე ფონ ლევეტცოვი



არსებობს ლეგენდა, რომ ანაბელ ლი სამხრეთ კაროლინის ერთ-ერთი მცხოვრები იყო, რომელიც მეზღვაურს უყვარდა, მისი სიკვდილის შემდეგ კი ამ მეზღვაურმა საყვარელი ქალის საფლავს ვერ მიაგნო. ასეთი ლეგენდა ნამდვილად არსებობდა, თუმცა რამდენად იცოდა მის შესახებ ედგარ ალან პომ, ცალკე საკითხია. მან ეს საოცარი ლექსი რედაქციაში გრაგინლის სახით დაუტოვა მეგობარს, იმ პატივისცემისათვის, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში მისგან იღებდა. საოცარია, რომ ეს ლექსი არ დაიკარგა მკითხველისთვის და არამარტო მათთვის – თუ გახსოვთ, „ლოლიტას“ მთავარი გმირის, ჰუმბერტ ჰუმბერტის პირველი სიყვარული, რომელმაც მის ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა, კუნძულ კორფუზე გარდაიცვალა, სრულიად ახალგაზრდა და ჰოი, საოცრებავ, მასაც ანაბელ ლი ერქვა. „ლოლიტამ“ პოეტის მუზას ახალი სიცოცხლე, ახალი სუნთქვა შესძინა.

ანაბელ ლისგან განსხვავებით, მწერალთა და პოეტთა ცხოვრებაში არსებობდნენ სრულიად რეალური მუზები და ევროპაში ედგარ ალან პოს აღმომჩენს, კაცს, რომელსაც პო მსოფლიო დიდებას უნდა უმადლოდეს, შარლ ბოდლერს, ორი ქალი უყვარდა: დედამისი და ჟან დიუვალა.

ჟან დიუვალა ჰაიტიზე დაიბადა, საფრანგეთში 22 წლის ასაკში ჩავიდა და რალაც დროს საკმაოდ ცნობილი თეატრის მსახიობი იყო, ბალერინა. სწორედ ეს მულატი გოგონა დედამიწის ზურგზე ყველაზე საყვარელი ქალი გახდა ბოდლერისთვის, რომელმაც მუზას არაერთი შედეგური მიუძღვნა, მათ შორის: „აივანი“, „ეგზოტიკური არომატი“, „ვარცხნილობა“, „შედ ნონ სატიატე“, „მოცეკვავე გველი“ და „ლეში“.

ბოდლერი მას შავ ვენერას უწოდებდა, ქალს, რომელიც პოეტისთვის საშიშ სილამაზეს წარმოადგენდა – სექსუალობა, ჰაიტიზე დაბადებული ქალის კრეოლური სახე, შავ-ბნელი სამყარო...

ამ ქალის პორტრეტი დახატა კურბემ, შემდგომ – ბოდლერის მეგობარმა, ედუარდ მანემ, 1862 წელს, სწორედ იმ წელს, როდესაც ქალი სიფილისით გარდაიცვალა. ხუთი წლის შემდეგ შარლ ბოდლერიც სიფილისით გარდაიცვალა. ეს ამბავი ნარკოტიკებს ბრალდება, ბოდლერის ნარკომანობის ამბავი ცნობილი ფაქტია.

და ამბობენ, რომ მათობელა საშუალებებს დიუვალის მოხიბვარდა. რამდენად უტყუარია ცნობა დიუვალის შესახებ, არ ვიცით. იმასაც ამბობენ, მუზა პოეტის გარდაცვალების შემდეგ დაილუპაო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ ქალის გარეშე ბოდლერის პოეზიის წარმოდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მსოფლიო მწერლობა იცნობს განსაკუთრებულ შემთხვევასაც – ულრიკე ფონ ლევეტციოვი, ახალგაზრდა ქალი, დიდი გერმანელი გენიოსის, გოეთეს უკანასკნელი სიყვარული. მშობლების განშორების შემდეგ ულრიკე ფრანგულ პანსიონში აღიზარდა. გოეთე 72 წლის იყო, როდესაც 17 წლის ეს ულამაზესი ქალიშვილი შეუყვარდა, 1821 წელს, მარიენბადაში. ეს იყო უკანასკნელი დიდი ვნება, რომელიც პოეტმა განიცადა და ორი წლის შემდეგ, 1823 წელს, დიდ ჰერცოგ კარლ ავგუსტს ეიზენახს სთხოვა, მისი სახელით ულრიკეს ხელი ეთხოვა.

ულრიკეს მშობლების უარის შემდეგ, გოეთემ „მარიენბადის ელეგია“ დაწერა, ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები, ტრაგედია უარყოფილი ქორწინებისა. ამ ლექსის არსებობის შესახებ ულრიკემ მხოლოდ პოეტის გარდაცვალების შემდეგ გაიგო. ეს ნაწარმოები იმდენად დელიკატური აღმოჩნდა, რომ



ოლია ოკუჯავა



ალფრედ აგოსტინელი

გოეთემ სიცოცხლეში არ გამოაქვეყნა. ელეგიას წინ უძღვის ტორკვატო ტასოსგან აღებული ეპიგრაფი: იქ, სადაც ტანჯვაში დუმდება ადამიანი, ღმერთმა მე მომცა ლაპარაკის საშუალება. ამ უზარმაზარი ძალის ნაწარმოებმა ულრიკეზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. მთელი ცხოვრების განმავლობაში ქალი უარყოფდა ცნობებს და ჭორებს, რომ გოეთესთან რომანი ჰქონდა. ულრიკე არასდროს გათხოვილა და 95 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გოეთეს უკანასკნელ სიყვარულზე დიდმა გერმანელმა მწერალმა, მარტინ ვალზერმა დაწერა შესანიშნავი წიგნი, „მეყვარებული კაცი“. ლევეტცოვი, რომელიც გოეთეს უკანასკნელი მუზაა, დღეს ერთ-ერთი ასტეროიდის სახელიცაა, „მარიენბადის ელეგია“ კი ამ სიყვარულის მთავარ ნიშნად და მსოფლიო ლიტერატურის შედეგად იქცა.

რიგ შემთხვევებში მუზის როლში მწერლების მეუღლეები გვევლინებოდნენ. რუსულ ლიტერატურაში, უპირველს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ სოფია ბერსი, ლევ ტოლსტოის მეუღლე, რომელიც მწერლის მუზა, რედაქტორი, მისი ნაწარმოებების გადამწერი (ნარმოიდგინეთ, რა შრომაზეა საუბარი, ტოლსტოის ყველა ნაწარმოების რამდენიმეჯერ გადანერა!), მწერლის ცამეტი ბავშვის დედა და ათი შვილის აღმზრდელიც იყო (ბავშვობის ავადმყოფობებს მხოლოდ ათი ახალშობილი გადაურჩა). როგორც ცნობილია, სიცოცხლის ბოლო წლებში სწორედ ამ ქალმა „გაუშრო სისხლი“ გენიალურ ქმარს, თუმცა ამ ამბავში არც ტოლსტოის დაუკლია ხელი. საერთოდ, არ მგონია, ყველაზე დიდი ბედნიერება გენიოსის მეუღლეობა იყოს, მაგრამ ამ

საკითხში, ალბათ, ბევრი შემომედავება.

ერთ-ერთი ასეთი, ვინც ამ საკითხზე დავას გამართავდა, ანა სნიტიკინა იყო, დოსტოევსკის მეუღლე, რომელმაც, პრინციპში, აჩუქა კიდეც კაცობრიობას ეს დიდი მწერალი, დაიხსნა რა აზარტული თამაშების ტყვეობიდან და ლიტერატურასთან დაბრუნების საშუალება მისცა.

უცნაურია, რომ პოეტების სიყვარული, პოეტური ოჯახები არსებობს. მოგეხსენებათ, ანა გორენკო, იგივე ანა ახმატოვა, პოეტ ნიკოლოზ გუმილოვის მეუღლე იყო და მიუხედავად იმისა, რომ დიდი პოეტები იყვნენ, მათი მიმონერა ჩვეულებრივი ოჯახის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამწუხაროდ, მათ სიყვარულს დიდი დღე არ ეწერა – გუმილოვი 1921 წელს დახვრიტეს. რაც შეეხება ახმატოვას, მისი პოეზია ქმრის შემოქმედებას დიდად აღემატებოდა, თუმცა მთელი ცხოვრების განმავლობაში ნახევრად, ან სრულად, აკრძალული იყო.

დიდებული მუზა ჰყავდა პოეტ სერგეი ესენინს – აისიდორა დუნკანი, მსოფლიო სახელის მოცეკვავე, თუმცა არც მათ გრძნობას ეწერა დიდი ბედნიერება და სიხარული.

განსაკუთრებულია ერთი შემთხვევა, რამაც ერთბაშად ორ სფეროზე – ლიტერატურასა და მხატვრობაზე მოახდინა დიდი ზეგავლენა – ლიტერატურამ აღმოაჩინა იგი, მხატვრობამ კი უკვდავყო.

ელენა დიაკონოვა, თავის თავს გალინას ეძახდა, პირველმა სიყვარულმა კი გალა უწოდა. გალინას პირველი სიყვარული სხვა არავინ იყო, თუ არა პოლ ელუარი, დიდი ფრანგი პოეტი. ფრანგმა პოლ ელუარმა და ყაზანში დაბადებულმა ელენამ ერთმანეთი შვეიცარიაში, სანატორიუმში, ტუბერკულოზის მკურნალობისას გაიცნეს.

ასე რომ, მთაში მკურნალობა არ მხოლოდ თომას მანის „ჯადოსნური მთის“, არამედ ამ დიდი რომანის საფუძველიცაა. პოლ ელუარს უყვარდა

გალა, გატაცებული იყო ამ ქალით და ცოლადაც შეირთო. წყვილი 1917 წელს დაქორწინდა. ერთი წლის შემდეგ შეეძინათ ქალიშვილი – სესილი. 1921 წელს ელუარმა კიოლნში გალას მხატვარი მაქს ერნსტი გააცნო. გალა მხატვრის საყვარელი გახდა, თანაც ისე, რომ ელუარის ცოლად რჩებოდა. შემდგომში ერნსტი ელუარსა და გალასთან გადავიდა საცხოვრებლად, 1929 წელს კი, ხანგრძლივი საქორწინო ურთიერთობის შემდეგ კატალონიაში გალამ ცნობილი მხატვარი, სალვადორ დალი გაიცნო. და აი, ეს ნამდვილი გაელვება აღმოჩნდა ორივესთვის – დალის შეუყვარდა გალა, გალას – დალი, მიატოვა პოლ ელუარი და გადავიდა სალვადორთან. მხატვარმა ელუარის პორტრეტიც დახატა. როგორც ამბობდა, თავს ვალდებულად მიიჩნევდა, ასე მოქცეულიყო და დაეხატა პოეტი ოლიმპოზე, საიდანაც მას ქალღმერთი მოსტაცა. ასე იქცა გალა დალის ერთადერთ მოდელად და მისი დიდი წარმატების, ფინანსური წარმატების მთავარ შემოქმედად. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ გალა ურთიერთობას არ წყვეტდა ელუართან, ყოველ შემთხვევაში, მათ მიმოწერა ჰქონდათ.

პოეტებისა და მწერალთა მუზეები აუცილებლად განსხვავებული სქესის წარმომადგენლები არ ყოფილან. გასაგებია, რომ იყვნენ დიდებული შემოქმედები, რომელთაც განსაკუთრებული ურთიერთობა თავისივე სქესის წარმომადგენლებთან ჰქონდათ.

უპირველეს ყოვლისა აქ შეგვიძლია, გავიხსენოთ ურთიერთობა რემბოსა და პოლ ვერლენს შორის. ვერლენს ჰყავდა მეუღლე, რემბო კი საყვარელი იყო. ეს ისტორია ტრაგიკულად განვითარდა და კარგი არაფერი მოჰყვა, თუმცა მათ მსოფლიო ლიტერატურას განსაკუთრებული ურთიერთობის აღმწერი ლექსები და წერილები აჩუქეს.

საოცრად საინტერესო იყო ყველაფერი, რაც მარსელ პრუსტს ეხებოდა. მან მოახერხა, რომ შემოქმედება, ძირითადად, ქალისა და კაცის სიყვარულს მიუძღვნა, მაგრამ არ დაუმალავს თავისი ჰომოსექსუალობა – მსოფლიო ლიტერატურაში პრუსტი ამ სიყვარულის ერთ-ერთი საუკეთესო აღმწერი იყო. პრუსტს განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა ალფრედ აგოსტინელთან, რომელიც მწერლის მძღოლი, მდივანი და რაც მთავარია, ფავორიტი იყო.

პიტერ ორლოვსკი უყვარდა ალენ გინზბერგს, განსაკუთრებით საოცარი კი ჰერტრუდა სტაინის სიყვარული იყო ელის ტოკლასის მიმართ. ეს ქალბატონები არასდროს მალავდნენ თავიანთ გრძნობას.

მწერლები – მათი ქალები და კაცები, ცხოვრების მთავარი თემაა, მაგრამ ჩვენ, მკითხველები, მადლობლები ვართ ჟან დიუვალეებისა, გალასი, თამარ მეფისა – რუსთაველის გამო, ლევეტოვისა და ა.შ. ჩვენ მადლობას ვუხდით მწერლებისა და პოეტების მეუღლეებს, რომელთაც თავიანთ გვერდით ეს დიდი გენიოსები აიტანეს. ■

აიხლორა დუნკანი





სცენა სპეტაკლიდან „კოლმპორი თამაშები“

არც სწრაფად, არც მაღლა, არც ძლიერად...

სამაგიეროდ, უბრალოდ, ფეხაკრეფითა
და თითქმის გამანადგურებლად

დავით ბუხრიკიძე

სამეფო უზნის თეატრში დრამატურგ ალექს ჩილენაძის უკანური, თითქმის დეტექტიური სიფხვრის პიესა, სახელწოდებით, „კოლმპორი თამაშები“ მთავარი ოლმპორი ფეივის – „სწრაფად, მაღლა, ძლიერად!“ – გარეუ დედეს ახალგაზრდა რეჟისორმა, თათა პოპაიშვილმა ამავე თეატრის კარგად ცნობილი მსახიობების დახმარებით, „საოფისე დეტექტის“ პარტერის სერჯე დოლოში და თან ირინითი ნაცვები ფსიქოლოგიაც დაერთო.

თეატრალუბმა აღმათ უნჯან, რომ სამეფო უზნის თეატრმა 2015-2016 წლები ე.წ. ქართულ სეზონად გამოაცხადა, რაც ბევრ რამეზე შეტყვევებს. ვერ უნთი, ორი წლის წინ ამავე თეატრის ბაზაზე დაარსებული თეატრ ჩვიდის სახელწინა უკვე ბოლმადე დიპლომა და ამუშავდა შერე – გარკვეული ორგანიზაციული სირთულეების მიუხედავად, მიზნობა ახალგაზრდა რეჟისორების, დრამატურგების, სცენოგრაფების წარმატებული თანამშრომლობა, შესაშვ – შექმნა თანამედროვე ქართული პიესები, რომლებიც იქვე, სამეფო უზნის სცენზე დაიდგა და იღმგება.

რაც მთავარია, ამგვარი სწავლა-შეიხვედამგმის პროცესი არა მხოლოდ ახალგაზრდა არტისტების ნაახალისებს, არამედ თავად სამეფო უზნის თეატრსაც შესქმნის დამატებით მუქტასა და ქნერყიას. რაც ნიშნავს რომ, თეატრ ჩვიდის სახელწინისა და თავად თეატრის ვერ კიდევ მსუბუქად სიმბოზური თანაცხოვრება მომავალში უფრო მნიშვნელოვან და მელსუქსაბე შედეგებს მოიტანს.

თეატრისა და რეალობის პირველი, მკაცრო რითმა მყვერებულმა ვერ კიდევ გასული წლის დეკემბერში იგრანო, როდესაც რეჟი-

სორმა გიორგი ქათამაძემ ასე ვთქვათ, ქართული სეზონი თავისი ახალი სპექტაკლით გახსნა. რეჟისორისა და დრამატურგის, დათა ფირცხალავას პიესა „დიდი შესვენება“ ერთგვარ, მცირე გამოცდად იქცა როგორც მაყურებლის, ისე მსახიობებისა და რეჟისორებისთვის.

ახლახან სამეფო უბნის თეატრში თემურ ჩხეიძის სახელოსნოს ნევრების ახალი ნამუშევარიც ვიხილეთ. ალექს ჩიღვინაძის პიესა „ოლიმპიური თამაშები“ რეჟისორმა თათა პოპიაშვილმა დადგა. მხატვრები – ნუცა ჭყონია და ავთო მოდებაძე (გოგი ალექსი-მესხიშვილის დიზაინის სკოლა), მუსიკალური გაფორმება – მუვა მარგოშვილი. სპექტაკლში მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი მსახიობები მონაწილეობენ: კატო კალატოზიშვილი, ეკა ჩხეიძე, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე, გაგა შიშინაშვილი.

პიესა „ოლიმპიური თამაშები“ მიხილ თუმანიშვილის სახელობის კონკურსის – „ახალი ქართული პიესა“ – გამარჯვებულია. წარმოდგენაში ტექსტი გვარიანად შემოკლებულია და საგრძნობლად გადამუშავებული. თითქმის აღარ დარჩა მონოლოგები, ხოლო ფრაზები გაცილებით სხარტად, ორაზროვნად და ირონიულად წარმოჩინდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პიესის ნაცვლად კინოსცენარის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს უყურებთ.

...ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ცოტა დრო რჩება. თანამედროვე ოფისში გამოკეტილი თანამშრომლები ოლიმპიადის საზეიმო ცერემონიალის მთავარ იდეაზე მუშაობენ და ცდილობენ ამისათვის რაღაც ნაციონალური არქტიპები მოძებნონ, ან ახალი და თანამედროვე იდეები გამოიხრკონ. მოქმედება ერთდროულად პარტურსა და სცენაზეა განაწილებული. ეს ერთი, მთლიანი სივრცეა, რომელშიც ერთიანდება სამუშაო ადგილიც და პროკურატურის ოთახიც. ამაზე

მკაფიოდ მიგანიშნებთ თანამედროვე ოფისის სკამები, მაგიდები, ქალაღები, პლასტმასის ბოთლები...

ოლიმპიურ თამაშებსა და პროკურატურას ერთი შეხედვით, არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, მაგრამ მოგვიანებით ირკვევა, რომ ოფისში აფეთქება მოხდა და ოთხივე თანამშრომელი – ნინო, დეა, ვახო და თემო ტერორისტულ აქტშია ეჭვმიტანილი! გამომძიებელი ქალი (რომელსაც ქეთა შათირიშვილი თამაშობს) მაყურებელთა დარბაზში ზის, თვალს ადევნებს მოქმედებას და დროთა განმავლობაში თანამშრომლებს დაკითხვას უწყობს.

რეჟისორი წარმოდგენის ბოლომდე ინარჩუნებს ნეიტრალურ თხრობას და მაყურებელს „ღია ფინალს“ სთავაზობს, რაც საშუალებას აძლევს, ინტუიციასა თუ ვარაუდებს თავისუფლად მიენდოს. ამ მოდერტივიზმ პიესაში ავტორი უანრისათვის აუცილებელ, მაგრამ ბანალურ შეკითხვას – ვინ არის დამნაშავე? – არ პასუხობს. ის თითქოს გვერდიდან, გულგრილად, მაგრამ მიზანდასახულად აკვირდება პერსონაჟებს და რეჟისორს დაახლოებით ასეთ ამოცანას უსახავს: იმგვარი ღრგვიკითა და ინტონაციით ილაპარაკოს „ჩამოხრჩობილის“ სახლზე, რომ თოკი არსად ახსენოს.

და მართლაც, „ოლიმპიური თამაშები“ არის სპექტაკლი, რომელშიც თავად დანაშაულამდე მისასვლელი ბილიკები და ამ ბილიკებზე „მორბენალი“ პერსონაჟების აკვირებები, თუ ფსიქიკური ტრავმები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად დანაშაული. ასე რომ, ჩაკეტილი სივრცე და დანაშაული (რაც ლამის იდეალური სქემაა დეტექტივებში), დრამატურგისა და შესაბამისად, რეჟისორისთვისაც მხოლოდ საშუალებაა პერსონაჟთა დასახსიათებლად; მათი შინაგანი მდგომარეობისა და თვისებების წარმოსაჩენად.

აი, ისინიც: ისტორიკოსი თემო (გაგა შიშინაშვილი) რომელსაც სპეციალურად დაწერილი სახელმძღვანელო დაუნუ-

ნეს, რომელიც მუდამ გალიზიანებულია და ქვეყნიდან გაქცევაზე ფიქრობს. ამავე დროს, დაუნის სინდრომით დაავადებული შვილი ჰყავს, ან ცინიკოსი, არაფრის გამკეთებელი, სიტყვებითა და გრძნობებით მოთამაშე ვახო (გიორგი შარვაშიძე), რომელიც სექსსა და ბიბლიას ხშირად ერთმანეთში ურევს.

ოფისში მუშაობს თემოს შეყვარებული ნინოც (კატო კალატოზიშვილი), რომელიც თავის კომპლექსებსა და სუსსტეს თავის თავზე გადაჭარბებული წარმოდგენებითა და ფსიქოლოგთან სენსებით ნიღბავს. დაბოლოს, ოფისის დირექტორი დეა (ეკა ჩხეიძე), რომლის მოფუსფუსე, მკაცრი და ვითომ საქმიანი იმიჯის მიღმა პიროვნული დრამა და გალიზიანება იმალება – მას უცხოელი ქმარი ახალგაზრდა ქალთან ღალატობს. როგორც მერე ირკვევა, სწორედ ნინოსთან.

გამომძიებლის კითხვები მთელი სპექტაკლის განმავლობაში კონტრაპუნქტივით ჩაგვესმის, თუმცა აფეთქების შემდეგ ამერიკაში განვრთნილი, ათას ტრენინგავალილი, ცივი და რაციონალური გამომძიებელი უკვე ავანსცენაზე გადაინაცვლებს. ის დაკითხვას „ლაიფში“ განაგრძობს.

რაღაც მომენტში გეჩვენებათ, რომ პიესა აგატა კრისტის დეტექტივს ემსგავსება, თუმცა სპექტაკლის ბოლომდე გაურკვეველი რჩება, ვინ ააფეთქა ოფისის სანყოფი, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. სამაგიეროდ, ცხადია, რამდენი ფსიქოლოგიური პრობლემა, უიმედობა და სასონარკვეთა იმალება ამ ცინიკური სიტყვა-პასუხით შეიარაღებულ, შინაგანად გამოცარიელებულ ადამიანებში.

და იმისათვის, რომ ეს სიცარიელე შეავსოს, რეჟისორს არ სჭირდება ხმამაღალი ოლიმპიური ლოზუნგები, რადგან ყველაფერი უბრალოდ, ფეხაკრეფითა და თითქმის გამანადგურებლად ხდება. დეაც დაახლოებით ამასვე ამბობს ფინალში: „ჯოჯობეთი – აი, რა გვაერთიანებს ქრისტიანებს!“

რალაცა

გიო ახვლედიანი



ასე შეიძლება ჩაითვალოს, რომ საზღვარგარეთის ამბავში მანჩესტერ იუნაიტედის გულშემმატკივარი ვარ. კაი ძველიც. რაც სპორტის ჟურნალ-გაზეთებში მიმუშავია, იქ ყველამ იცოდა და ახლაც ესსომება ვინმეს.

მთელი საბჭოთა კავშირის დროს ეს გულშემმატკივრობა უფრო ლიტერატურულ-ისტორიული იყო, თორემ მანჩესტერ იუნაიტედი მწვანე მინდორზე კი არა, ტელევიზორშიც არსად მენახა. ალბათ, უბრალოდ, ამბავი იყო საინტერესო: მიუნხენის ტრაგედია, ბასბის დიდი გუნდი, ჯორჯ ბესტი, ბობი ჩარლტონი, ფოტოები, სუვენირები. თორემ, მერე და

მერე დადღიში დანკან ედვარდსის საფლავიც კი ვნახე.

მოკლედ, ასეთი გულშემმატკივრობა იყო და ყოველივე ამას კი 70-იან და 80-იან წლებში ვკითხულობდი, მაშინ, როცა იუნაიტედი ერთი ჩავარდნილი გუნდი იყო. მერე დაიშალა საბჭოეთი და მანჩესტერმა ვოლგოგრადის როტორთან წააგო. საერთოდ, ვისთან აღარ აგებდა, თურქეთი გინდაო, ის გინდაო, ეს გინდაო. ოლონდ მანამდე თასების თასი მოუგო კრუიფის ბარსელონას. ჯამში კი, თანდათან მთავარი ეგ იყო, რომ იქ ერიკ კანტონა დაიჯგიმებოდა მოედანზე და ამის გარდა ლამაზი გოლებიც გაჰქონდა.

■ ფერგიუსონი ნავიდა და ის ისტორია დამთავრდა. გაგრძელება არ მოუხერხდა, მეორე წელიწადია. ჩვეულებრივ მწვრთნელი, რომელსაც თითქოს ფერგის მანჩესტერის ამბავი კარგად უნდა გაეგო და გამგრძელებელი ყოფილიყო, წელში ვერ გაიმართა, დროც არ მიეცა. ასე გაუშვეს დევიდ მოიესი და მოვიდა ლუის ვან გაალი, სახელი და დიდება, რომელმაც თითქოს შენება დაიწყო.

საბოლოოდ კი საქმე მაინც 92-ის კლუბი იყო, ანუ რამდენიმე ბიჭი, რომლებიც სწორედ 1992 წელს შევიდნენ ძირითადად და სწორედ ისინი იყვნენ, როტორთან რომ აგებდნენ. ეს გვარები ცნობილია: სქოულზი, ბატი, ნევილები, ბექემი, გიგზი. სელფორდელი ბიჭები, ზედ დამატებული ბავშვობაში გადმოყვნილი ლონდონელით.

საერთოდ კი მთელ ამ დროს, ცხადია, ფერგიუსონის დრო ერქვა და კარგი დრო იყო. სწორედ დიდი თამაშების დრო. ნააგებდნენ თუ მოიგებდნენ, სანახაობა გარანტირებული იყო. იმ დიდი თავგადასავლის მოყოლას ხომ არ დაიწყებ. არ იყო ევროპის პირველი გუნდი, არც ყველაზე ძლიერი, მაგრამ დიდი გუნდი იყო და მიაღწია კიდევ რაღაც სიგიჟეებში დიდ რამეებს. ცოტათი რომ ჩამოინია, მაშინაც კი დიდ გუნდად რჩებოდა, თითქოს ამ მარადიული მეთაურის მეოთხედსაუკუნოვანი მმართველობა ნაკლების საშუალებას არ იძლეოდა.

ჰოდა, მერე ეს ამბავი შეწყდა.

ახლა რაც არის, ხედავთ.

ფერგიუსონი ნავიდა და ის ისტორია დამთავრდა. გაგრძელება არ მოუხერხდა, მეორე წელიწადია. ჩვეულებრივ მწვრთნელი, რომელსაც თითქოს ფერგის მანჩესტერის ამბავი კარგად უნდა გაეგო და გამგრძელებელი ყოფილიყო, წელში ვერ გაიმართა, დროც არ მიეცა. ასე გაუშვეს დევიდ მოიესი და მოვიდა ლუის ვან გაალი, სახელი და დიდება, რომელმაც თითქოს შენება დაიწყო.

კვირა არ გაივლის მისი მოხსნის შესახებ არ ილაპარაკონ. აი, ახლა მოხსნიან, აი, ახლა აღარ მოხსნიან. გუნდი კი წვალბოს. ვან გაალმა ახალი ბიჭები მოიყვანა მსუბუქები, ბურთის მოყვარეები, ყმანვილები, ჭაბუკები, გუნდი კი ვერ დაალაგა და მგონი, ველარც დაალაგებს. ჩემი ჭკუით, შობას უკვე უნდა გაეშვათ, მაგრამ სახელია და ცოტა უჭირთ. თუმცა, რას ელოდებიან, ძნელი სათქმელია. სეზონის ბოლოს გაუშვებენო.

მის მმართველობაში ყველაზე საინტე-

რესო ისაა, რომ წლევეანდელ სეზონში, რაც რომ ინგლისში სტადიონებია იმათ შორის ყველაზე ცოტა გოლი ოლდ ტრეფორდზე გადის. პირველ ტაიმში კი იქ საერთოდ არ გადის გოლი. რახან ოლდ ტრეფორდისთვის ოცნებების თეატრი შეურქმევიათ, უფრო კი, ალბათ, საუკეთესოს წარმოდგენისა, გოლები საჭიროა, თორემ ინგლისურად ოცნება და ძილი ერთი და იგივე სიტყვაა (dream) და წლეულს ამ ადგილს უფრო ძილის თეატრი დაერქმეოდა.

ამის მიუხედავად, ოლდ ტრეფორდი კვლავაც სავსეა. ასეა ქომაგობა და ის, რაც სამარადისოა. სიმართლე რომ ვთქვა, მე მაინც შორეული გულშემატკივარი ვარ, სულაც ვერ ვუყურებ იუნაიტედის თამაშებს იმ ერთგულებით, როგორც ოლდ ტრეფორდის ხალხი. ასეც უნდა იყოს. ჰოდა, შევხედავ იმ იმედით, რომ ეგებ რაღაც ძველი გაკრთეს და გადაერთავ. არა კრთის.

გასულ კვირასაც შევხედე. იუნაიტედი არსენალს ეთამაშებოდა. წლევეანდელ მისუსტებულ პრემიერლიგაში, ესეც რაღაც გადასარევი არ იქნებოდა, რახან წელს პატარა გუნდებია საცქერი და არა დიდი, მაგრამ წინდანიწვე ვიცოდი, რომ მარკუს რეშფორდი უნდა დაეყენებინა. მან წინა კვირაში ევროპულ თამაშში გამოიჩინა თავი ორი გოლით, თავის სადებიუტო თამაშში და იმის დანახვა მაინტერესებდა.

ვიფიქრე, რაღაც ძველი ეგებ და გაკრთეს-თქო. თვრამეტი წლისაა და ისევ ორი გოლი შეაგდო. როგორც იტყოდნენ ხოლმე, ტექნიკური ბიჭია, თან ტომით მანჩესტერელი, ისევე, როგორც იმ ძველ დროს, მსუბუქად აკეთებს ყველაფერს და მგონი გამოირჩევა იმ უამრავი ყმანვილისგან, რომლებსაც ოლდ ტრეფორდზე გაუბრწყინიათ და მერე სადღაც გამქრალან. ნეტავ ასე იყოს.

რო ვთქვა, ძველი გაკრთა-თქო, ვერა, მაგრამ რაღაცა კი იყო. მგონი, ეს რაღაცაა, რაზეც რაღაცის დამყარება შეიძლება. ■

უკუ მოჩილაქა

ასი
მილიონი
გიჩვანქა
სტუხინგით
შოხს

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი ნიგონი



გამომცემლობა „არტანუჯი“



ლიბრაილი



WWW.LIBERALI.GE

მედიის ცენტრი



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



მედიის ცენტრი

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

მედიის ცენტრი



<http://youtube.com/LiberaliMagazine>